

აღმინისტრაციული ხელშეკრულება: ზოგის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, №4

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)**

2022, №4

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)**

2022, №4

**Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)**

2022, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

**ტექნიკური რედაქტორი
გარიგა გაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

**ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საქონელი

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება	
დამფუძნებელი ხელშეკრულების გათვალისწინებით მასში არსებული წილების რეგისტრაცია	4
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამოვლინებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა	24
ქურდობით მიყენებული მატერიალური ზიანის მომსახურების ხელშეკრულების საერთო საფასურიდან უპირობოდ გამოქვითვა	65
უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების კანონიერება	83
ხანგრძლივ სარგებლობაში ფლობის საფუძველზე უძრავი ქონების გადაცემის პირობები	108
ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი	143
2. ზიანის ანაზღაურება	
მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა	162
ზიანის სახით დაკისრებული განაცდური ხელფასის სახით ოდენობის კორექტირება	202

ადგინისტრაციული ხელშეკრულების კანონისას

დამფუძნებელი ხელშეკრულების გათვალისწინებით
გასში არსებული ცილების რეგისტრაცია

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-23(კ-20) 17 დეკემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემაღენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. წულაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 10 აპრილს ზ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სა-
აგენტოს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მი-
მართ.

მოსარჩელემ სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ, სა-
ბოლოოდ „ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის
თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013
წლის 23 მაისის №..., გადაწყვეტილების და „სარეგისტრაციო წარ-
მოების შეჩერების შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21
მარტის №....., გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო
რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ მემკვიდრეობის საფუძველ-
ზე უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ.თბილისი, ...- ის ქუჩა №55 (119
კვ. ბეტრის 99.1%-ზე) ზ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცი-
ის შესახებ (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა) ახალი ინდივი-
დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის
დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1995 წლის 4 აპრილს №..., ...ის ბაზა-
ზე შეიქმნა დროებითი ამხანაგობა, რომელსაც დაევალა ...-ის ქუჩა
№55-ში მდებარე №..., ...ს ბალანსზე რიცხული 119 კვ.მ არასაცხოვ-

რებელი ფართის პრივატიზება. შრომითი კოლექტივის წევრებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, წილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ვ. ბ-ი 99,1%; 2. ო. კ-ი 0,1%; 3. ზ. კ-ი 0,1%; 4. ვ. კ-ი 0,1%; 5. ვ. ჩ-ე 0,1%; 6. ს. ა-ი 0,1%; 7. მ. ჯ-ი 0,1%; 8. ქ. ც-ი 0,1%; 9. ზ. მ-ე 0,1%; 10. ა. ვ-ი 0,1%.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამსახურთან გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა №....პ. 2010 წელს გარდაიცვალა 99,1% წილის მფლობელი ვ. ბ-ი რის გამოც ზ. ბ-მა, როგორც კანონიერმა მემკვიდრემ, მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რათა გაეფორმებინა წილი მის სახელზე, როგორც ვ. ბ-ის კანონიერ მემკვიდრეზე. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის განცხადებაზე შეჩერდა წარმოება უფლების დამდგენი სათანადო დოკუმენტის წარდგენამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა ზ. ბ-მა, თუმცა მას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ...ის №..., ...ის ამხანაგობის წევრები: თ. კ-ი, ზ. კ-ი, ა. ვ-ი, ვ. კ-ი, ვ. ჩ-ე, ს. ჯ-ი, მ. ჯ-ი, ქ. ც-ი, ზ. მ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და შესაბამისი საპრივატიზაციო ჩანაწერების გაკეთების დავალების თაობაზე, შეჩერდა საქმის წარმოება მესამე პირების – ვ. კ-სა და მ. ჯ-ის უფლებამონაცვლების დადგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით გასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 18 ივლისისა და 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებში დაშვებული უსწორობა და „ს. ჯ-ის“ ნაცვლად მიეთითა „ს. ა-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2015 წლის 1 აპრილის განჩინებით, გარდაცვლილი მესამე პირის, ვ. კ-ს უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ მისი შვილები – რ. კ-ნი და ს-ნი, მესამე პირის – გარდაცვლილი მ. ჯ-ის

უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი ჯ. ჯ-ი ხოლო გარდაცვლილი მესამე პირის – ს. ა-ის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ მისი შვილი ს. ა-ი და მეუღლე მ. ო-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩევი არ დატაყილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩევის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა; ბათოლად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №..., გადაწყვეტილება „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“, ბათოლად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილება „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უძრავი ნივთის, მდებარე – ქ. თბილისში, ...ის ქ. №55, ფართით 119 კვ.მ – 99.1%-ზე ზ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ...ის №..., ...ის ამხანაგობის წევრებმა: თ. კ-მა, ზ. კ-მა. ზ. მ-ემ ქ. ც-მა ა. ვ-მა ვ. ჩ-ემ, ვ. კ-ს უფლებამონაცვლებმა – რ. კ-მა და ს. კ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩევის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ...ის №..., ...ის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ეს, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის. ვ. კ-ს უფლებამონაცვლების – რ. კ-სა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017

წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილ-ველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 27 თებერვლის განჩინებით, ადმინის-ტრაციულ საქმეში №..., გარდაცვლილი ზ. მ-ის უფლებამონაცვლედ მიჩნეული იქნა – 6. მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწ-ყვეტილება; ზ. ბ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნო-ბილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაი-სის №..., გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყო-ფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამ-სახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილება სარეგისტრა-ციონ წარმოების შეჩერების შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვ-ნულ სააგენტოს დაევალა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემა უძრავ ნივთზე მდებარე – ქ. თბი-ლისი, ...-ის ქუჩა №55, ფართით 119 კვ.მეტრი, 99,1%-ზე ზ.ბ-ის სა-კუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქ-ტობრივი გარემოებები:

1995 წლის 3 ივნისის ხელშეკრულებით ...ის №.., ...ის ამხანაგო-ბას პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა ...ის №..,

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სა-ხელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ გაცე-მული საკუთრების დამადასტურებელი №..., -პ მოწმობით დასტურ-დება, რომ ...ის №.., ...ის ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა ...ის №.., ..., მდებარე ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №55-ში, 119,0 კვ.მ ფართი. 1995 წლის 13 ივნისს კი გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი №..,

საქმეში წარმოდგენილი 1995 წლის 14 აპრილის №.., ...ს დამ-ფუძნებელი ხელშეკრულების (რეესტრის №.., ნოტ: ო-ე), თანახ-მად ირკვეოდა, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა გარიგე-ბის საფუძველზე წილების გადანაწილება შემდეგი სახით: 1. ვ. ბ-ი – 99,1%; 2. თ. კ-ი – 0,1%; 3. ა. ვ-ი 0,1%; 4. ვ.კ-ი – 0,1%; 5. ვ. ჩ-ე – 0,1%; 6. ს. ა-ი – 0,1%; 7. მ. ჯ-ი – 0,1%; 8. ქ. ც-ი – 0,1%; 9. ზ. მ-ე – 0,1%; 10. ზ. კ-ი – 0,1%.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ 1996 წლის 30

აპრილს №.., ...ის ამხანაგობამ მოიწვია დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ბ...ის“ დაფუძნების შესახებ. ამასთან, აღნიშნული სადამფუძნებლო დოკუმენტით (1996 წლის 30 აპრილის დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი №.,) განსაზღვრული არ იქნა შპს „ბ...ის“ სამართალმემკვიდრეობა 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით დაფუძნებულ №.., ...ის ამხანაგობასთან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2002 წელს შპს „ბ...ის“ პარტნიორების მიერ, რომელთა შორისაც იყვნენ №.., ...ის ამხანაგობის წევრები, სარჩელი აღიძრა სასამართლოში, რომელთა მოთხოვნას წარმოადგენდა 1995 წლის 4 აპრილის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და წილების გადანაწილება 1995 წლის 4 აპრილის საერთო კრების შესაბამისად. ასევე შპს „ბ...ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღიარება და წილების გადანაწილება შპს „ბ...ის“ პარტნიორებს შორის; აღნიშნული სარჩელი არ იქნა დაკამაყოფილებული, რის შესახებაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 09.12.2003 წლის №.., გადაწყვეტილება. აღნიშნული სამართალნარმოების დროს დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით საპრივატიზებო ქონებაში №.., ...ის ამხანაგობის წევრების წილები განისაზღვრა შემდეგნაირად: ვ. ბ-ი - 99.1%, ამხანაგობის დანარჩენი წევრები - 0.9%, თითოეულს - 01%. ამასთან, 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა დადგენილ იქნა კალიგრაფიული ექსპერტიზების გზით. 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა ასევე დადასტურებული იქნა ვ. ბ-ის მიმართ სისხლის სამართლის დევნის არდაწყების შესახებ 2005 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, რომელშიც მითითებულია, რომ ყველა საპრივატიზებო დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დამფუძნებელთა ხელშეკრულებაზე გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია ხელმოწერების შესრულება იმ პირთა მიერ, რომლებიც მითითებულია დოკუმენტებში, ასევე გამოძიების პროცესში ამხანაგობის წევრების დაკითხვა-დაპირისპირებისას დადგენილ იქნა ყველა საპრივატიზებო დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობა, შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა ნება წილების გადანაწილების საკითხში გამოიებამ არ მიიჩნია უკანონოდ (დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ, 17.11.2005 ნ.).

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე,

რომ 2012 წლის 3 აპრილს №. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე: ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ (99,1%-ზე).

განსახილველ საქმეზე სადაც ქცეული 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო სამსახურმა ზ. ბ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შეაჩერა (კვლავ) სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს მოსთხოვა ...ის №.., შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაციის ან ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №..., – მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმების წილების გადანაწილების შესახებ – წარდგენა.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 23 აპრილს მიღებულ იქნა №...-გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2013 წლის 22 აპრილს ზ. ბ-მა №60832/17 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 119 კვ.მ 99,1%-ზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივრი არ დაკამაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება იმ საფუძვლით, რომ განმცხადებლის მიერ დამატებით წარდგენილი უნდა ყოფილიყო ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №...-პ მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადანაწილების შესახებ, ენინააღმდეგებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული

ლი საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს იმის შესახებ, რომ თუ წარმოდგენილი იყო შრო-მითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საკუთრების მოწმო-ბა, თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, მაგრამ არ იყო წარ-მოდგენილი აღნიშნული ამხანაგობის კერძო სამართლის იურიდი-ულ პირად ჩამოყალიბების დამადასტურებელი დოკუმენტი, რე-გისტრირდებოდა ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების საკუთ-რების უფლება, რამდენადაც კანონმდებელი არ ითხოვდა ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობის მიერ რეგისტრაციის მოთხოვ-ნის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წილების გადა-ნაწილების შესახებ ახალი შეთანხმების წარდგენას, არამედ რე-გისტრაციის საფუძველი იყო ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხა-ნაგობაზე გაცემული საპრივატიზებო ობიექტის საკუთრების მოწ-მობა და თანდართული ხელშეკრულება (წილების განაწილების შე-სახებ), რის შესაბამისადაც რეგისტრირდებოდა ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების თანასაკუთრება ხელშეკრუ-ლებაში მოცემული წილობრივი მონაცემების შესაბამისად, რაც შე-იძლება ყოფილიყო როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი ამხანა-გობის წევრთა შეთანხმების შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ის გარემოება, რომ შპს „ბ...ის“ წილებთან დაკავშირებით მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებ-ში, შრომითი კოლექტივის წევრებს არ უღიარებიათ წების გამოვ-ლენა და ისინი არ ეთანხმებოდნენ წილების არათანაბარ განაწი-ლებას, თუმცა აქვე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებ-ლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრუ-ლებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანო-ნით. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩე-რება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ შპს „ბ...ის“ პარტნიორებმა, რომელთა შორისაც იყვნენ №.., ...ის ამხანაგობის წევრებიც, 2002 წელს სარჩელი აღძრეს სასამარ-თლოში, რომლითაც მოითხოვეს 1995 წლის 4 აპრილის სადამფუძ-ნებლო ხელშეკრულების ბათილად (ცნობა და წილების გადანაწი-ლება 1995 წლის 4 აპრილის საერთო კრების შესაბამისად. ასევე, შპს „ბ...ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღი-არება და წილების გადანაწილება შპს „ბ..ის“ პარტნიორებს შორის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილებით ...ის №.., ...ის შპს „ბ...ის“ პარტნიო-

რების სასარჩელო მოთხოვნა შპს „ბ...ის“ სადამფუძნებლო დოკუ-მენტების ბათილად ცნობის, გაყალბებულად ალიარებისა და წილე-ბის თანაბარ ნაწილად განაწილებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ასევე დადგენილი იყო ის გარემოება, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომი ინსტაციის სასამართლოებში, რომელთა გადაწყვეტილებების თანახმად, ძალაში დარჩა პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო პალატამ განსახილების საქმის გადაწყვეტისას, არსებითად მიიჩნია ის გარემოება, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, წილების განაწილებაზე აღძრული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ შრომითი კოლექტივის წევრებს არ მოსწონდათ წილების ამგარი განაწილება, ვერ მიიჩნეოდა მათ მიერ 1995 წლის 4 აპრილს დამფუძნებელი ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლენილი ნების გაქარწყლებლად.

სააპელაციო პალატამ არსებითად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით საპრივატიზებო ქონებაში №..., ...ის ამხანაგობის წევრების წილები განისაზღვრა შემდეგნაირად: ვ. ბ-ი – 99.1 %, ამხანაგობის დანარჩენი წევრები – 09 %, თითოეულს – 01 %. ამასთან, 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა ასევე დადასტურებული იქნა ვ. ბ-ის მიმართ სისხლის სამართლის დევნის არდაწყების შესახებ 2005 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, რომელშიც მითითებულია, რომ ყველა საპრივატიზებო დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დამფუძნებელთა ხელშეკრულებაზე გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია ხელმოწერების შესრულება იმ პირთა მიერ, რომლებიც მითითებულია დოკუმენტებში.

რაც შეეხება, მესამე პირების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას 1995 წლით დათარიღებული დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული არათანაბარი წილების მიხედვით საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ზ. ბ-ის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილები დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება. მხარის მიერ აღძრული სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არ გამომდი-

ნარეობდა ხელშეკრულების შესრულებიდან, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის გავრცელება. ზ. პ-ის უფლების დარღვევა სახეზე იყო მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ხოლო შემდგომ ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლომ ყურადღებას მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩევის მოთხოვნას არ წარმოადგენდა დამფუძნებელი ხელშეკრულების ნამდვილობა და მისით განსაზღვრული წილების განაწილება, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უცვლელად დატოვებული დამფუძნებელი ხელშეკრულების გათვალისწინებით, მასში არსებული წილების მიხედვით, რეგისტრაციის განხორციელება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ზ. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-მა, ზ. კ-მა, ნ. ბ-ემ, ქ. ც-მა, ა. ვ-მა, ვ. ჩ-ემ, რ. კ-მა და ს. კ-მა. კასატორებმა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ სადაცვო გადაწყვეტილების მომზადებისას არ გაითვალისწინა და პასუხი არ გასცა ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასმულ ერთადერთ კითხვას, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ სარეგისტრაციო მიზნებისთვის სათანადოობის თვალსაზრისით, ანუ რამდენად დგინდება ამ დოკუმენტის ბოლოს ხელმომწერი პირების ნება წინა ფურცელზე დაფიქსირებულ შინაარსთან მიმართებაში. ამ კითხვის დასმისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული საქმეზე წარდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის შპს „პ...ის“ პარტნიორებს სხვა 2002-2004 წლებში წარმოებულ სამოქალაქო დავის საქმეზე დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ ბოლოს ხელმოწერები გაკეთებულია მითითებული პირების მიერ. კასატორის მოსაზრებით, არსებით და საკვანძო საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „დამფუძნებელ ხელშეკრულების“ ხელმო-

წერის თუნდაც ნამდვილობა არ და ვერ აქცევს ამ დოკუმენტს სა-თანადო დოკუმენტად ამ სარეგისტრაციო მიზნებისთვის, რადგან, ამ დოკუმენტის მთელ შინაარსზე ნების ნამდვილობა უნდა დგინ-დებოდეს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფ-ლებამოსილი სახელმწიფო მოხელის მიერ გამოვლენილი ნების და-დასტურებული ფორმით, რომელსაც განსახილველ დავაზე ადგი-ლი არ ჰქონია და ეს არც მოსარჩელეს გადაუქცევია დავის საგნად. ამდენად, მხოლოდ დოკუმენტის ბოლოს გაკეთებული ხელმოწე-რები ვერ განიხილება ამ დოკუმენტზე ნების გამოვლენის დამა-დასტურებელ სათანადო შოქმედებად.

კასატორები მიუთითებენ, რომ ნოტარიუსთან „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ წარმდგენი ვ. ბ-ის გარდა, ხელშეკრულებაში მი-თითებული ყველა დანარჩენი პირი არ ადასტურებს ამ შინაარსით და პირობებით გარიგების დადებას, პირიქით, მხარეთა განმარტე-ბით, ხელშეკრულების მე-2 გვერდი, რომელშიც წილებია მითითე-ბული, ვ. ბ-ის მიერ ნოტარიუსთან მიტანამდე თვითხებურად არის შეცვლილი და ვ. ბ-ის მიერ ნოტარიუსთან დოკუმენტი შეცვლილი სახით აქვს მიტანილი დასამოწმებლად. დოკუმენტში მითითებული დანარჩენი პირების განმარტებით, მხარები შეთანხმდნენ ქონე-ბის თანაბარნილად შეძენაზე და ვ. ბ-ს თითოეულმა მიაწოდა პრივა-ტიზაციისთვის შეთანხმებული 250-250 აშშ დოლარი. ეს გარემოება დგინდება საქმეზე წარმოდგენილი 2005 წელს მომზადებული სის-ხლის სამართლის საქმეზე მიღებული შემაჯამებელი დადგენილე-ბით, რომელიც ვ. ბ-ის მიერ არ გასაჩინორებულა.

აღნიშნულ საკითხზე კასატორები აღნიშნავენ, რომ ამხანაგო-ბის წევრების მიერ შეთანხმებისამებრ განხორციელდა თანაბარი 250-250 აშშ დოლარის ოდენობით თანხის გადაცემა ვ. ბ-ზე. არა-ერთხელ, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოშიც განიმარტა, რომ შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის მიერ გადახდილი იქნა 250 აშშ დოლარი, ხოლო ერთ-ერთი წევრის მიერ თავისი და სხვა წევრის სასარგებლოდ იქნა 700 აშშ დოლარი. ამ გადაცემული თანხის შესაბამისად ქონების თანაბარი წილის მესაკუთრეები უნ-და გამხდარიყვნენ 1995 წლის 4 აპრილის ამხანაგობის კრების მო-ნაწილე პირები და ამ სახით უნდა ასახულიყო სახელმწიფოს მიერ გაცემულ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებში. შეთან-ხმებული ზემომითითებული თანხა გადახდილი იქნა კოლექტივის 17 წევრის მხრიდან და მთლიანობაში ვ. ბ-ს გადაეცა 4250 აშშ დო-ლარი, რომელიც აისახა კიდეც სახელმწიფო პრივატიზაციის სა-ფუძველზე გაცემულ საკუთრების მოწმობაშიც.

კასატორების მითითებით, განსახილველ დავაზე ზ. ბ-ის მიერ წარმოდგენილ ძირითად სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმო-

ადგენს 1995 წლით დათარიღებული ყოფილი ...ის №..., ...ის წევრების მიერ დადებული ე.ნ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“, რომელზეც ნოტარიუსის ო-ის მიერ დამოწმებულია მხოლოდ ამ დოკუმენტის წარმდგენის ვ. ბ-ის (კოლექტივის ერთ-ერთი წევრი) ხელმოწერა. სადაც არ არის ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტზე არ არის წარმოდგენილი დოკუმენტში მითითებული კოლექტივის დანარჩენი 9 პირის ხელმოწერის ნამდვილობა (ამას მოსარჩელეც აღიარებს). ამდენად, უდავოა, რომ არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც უფლებამოსილი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ დასტურდება დოკუმენტში მითითებული დანარჩენი 9 პირის წების ნამდვილობა. დავის განხილვის ყველა ეტაპზე ჩვენ განვმარტეთ, რომ ამ ე.ნ. „დამფუძნებელი დოკუმენტის“ შინაარსზე და მათ შორის ამ დოკუმენტში მითითებული წილების არათანაბარი გადანაწილებაზე დანარჩენი ამ 9 პირს თანხმობა არ განუცხადებია. წარმოდგენილი გარემოების ფონზე, სააპელაციო სასამართლოს ევალებოდა ეხელმძღვანელა ამ დროს მოქმედი ნორმატიული (მატერიალური) ნორმებით, კერძოდ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონით „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ და 1997 წლამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

კასატორები ყურადღებას ამახვილებენ ე.ნ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ 7.1 პუნქტზე, რომლის თანახმად: „ხელშეკრულება ძალაში შედის და შესაბამისად ამხანაგობა ითვლება შექმნილად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისა და ნოტარიულად დამტკიცების შემდეგ“. ამდენად, ე.ნ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ ერთ-ერთი პირობის თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და „ამხანაგობის შექმნის“ წინაპირობა არის მისი ნოტარიულად დამოწმება ამ დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ამდენად, აღნიშნული სავალდებულო მოთხოვნების დაცვით მომზადებული სათანადო დოკუმენტი უნდა გამხდარიყო შემდგომ ამხანაგობის შექმნის საფუძველი. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ამ ე.ნ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“, როგორც „გარიგებითი“ მნიშვნელობის დოკუმენტის მომზადები-სას არ იქნა დაცული სავალდებულო რთული წერილობითი (სანოტარო) ფორმა, აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქნება მიჩნეული სათანადო დოკუმენტად. საქმეზე მხარეების მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული დოკუმენტის შესწავლისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ არ დასტურდება პრივატიზაციის მონაწილე ...ის №..., ...ის წევრების მიერ ამხანაგობის შექმნა, როგორც ამას ითვალისწინებდა ამ დროს მოქმედი საპრივატიზაციო კანონმდებლობა, მათ შორის სახელმწიფო

მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულება „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშავთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ შესწავლით და 2002-2003 წლებში ჩატარებული ექსპერტიზით დადგენილია მხოლოდ ამ დოკუმენტში მითითებული პირების ხელმოწერის ნამდვილობა და არა ამ პირების ნება გარიგების შინაარსის მიმართ. იმის გამო, რომ თავისი მნიშვნელობით ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულებას“ ზ. ბ-ის საპროცესო მხარე ანიჭებს „გარიგების“ მნიშვნელობას და ეს ამ დოკუმენტის 7.1 პუნქტიდანაც იკითხება, აუცილებელი იყო გარიგების მინარსის დამოწმება, რაც გულისხმობს არა მარტო ვ. ბ-ის, არამედ ამ დოკუმენტში მითითებული პირების ხელმოწერების დამოწმებას სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ. როგორც ეს დადგენილი იყო 1995 წლის მდგომარეობით მოქმედი კანონით „სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ“ და „სამოქალაქო სამართლის კოდექსით“.

კასატორთა მითითებით, განსახილეველი დავის საგნის გათვალისწინებით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ კატეგორიის გამო მხედველობაშია მისაღები 6-წლიანი ვადა, თუმცა ზოგადი 10-წლიანი ვადითაც, რომ ვიხელმძღვანელოთ ზ. ბ-ის მოთხოვნა 1995 წელს დათარიღებული ე.წ. „დამფუძნებელ ხელშეკრულებით“ არა-თანაბარი წილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე მაინც ხანდაზმულია. ამ კანონით იმპერატიულად დადგენილი ვადების გათვალისწინებით, ეს მოთხოვნა არა მარტო უკანონო (უსაფუძვლო) და დაუსაბუთებელი მოთხოვნაა, არამედ იგი თითქმის ორჯერ ხანდაზმულია. კასატორთა მოსაზრებით, ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2002 წლამდე, სხვა საქმეზე სასამართლოს დავის ნარმოებამდე შრომითი კოლექტივის წევრებისათვის ცნობილი არ იყო ამ დოკუმენტის (ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“) შესახებ და ამ კოლექტივის წევრებისათვის სწორედ დავის პროცესში გახდა ცნობილი ამ დოკუმენტის თაობაზე. ამით აიხსნება ასევე ის ფაქტიც, რომ ეს დოკუმენტი უცნობია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის და დადგენილი გარემოებების საფუძველზე ეს დოკუმენტი არ იძებნება სამინისტროს დაცულ საარქივო დოკუმენტებში. ეს ფაქტი ზ. ბ-მაც აღიარა, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მოხსნა სასარჩელო და სააპელაციო მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დააფუძნა

კანონიერ ძალაში შესულ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე და გამოიყენა როგორც პრეიუდიციული ძალის მქონე დოკუმენტი, რაც წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მიიჩნევენ, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავილის ფორმაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. კ-ის, ზ. კ-ის, ნ. ბ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16¹ მუხლის შესაბამისად, სასამართლო მეგობრის სტატუსით, „...ის“ თავმჯდომარის გ. თ-ის მიერ განსახილველ საქმეზე წარმოდგენილ იქნა სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16¹ მუხლის საფუძველზე სასამართლო მეგობრის სტატუსით მოსაზრება წარმოადგინა – ააიპ „...მა“. „

მოსაზრების ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სადაც ფაქტობრივი გარემოებები მიჩნეულია უდავო გარემოებებად და მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილებზე, რომლებიც ეხება შპს „ბ...ის“ შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრებს შორის წილების გადანაწილებას.

სასამართლოს მეგობარი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებულია არსებითი უზუსტობა და უხეში სამართლებრივი შეცდომა იმ ნაწილში, სადაც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო 2003 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილებით ...ის №..., ...ის შპს „ბ...ის“ პარტნიორების სასაჩივარო მოთხოვნა შპს „ბ...ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების ბათილად ცნობის, გაყალბებულად აღიარების და წილების თანაბარ ნაწილებად განაწილებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მოსაზრებაში მითითებულია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს აღნიშნულ საქითხებზე საერთოდ არ უმსჯელია. ამდენად, დამფუძნებელი ხელშეკრულების კანონიერების საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო მოცემული დავის ფარგლებში და მისი ნამდვილობა არ უნდა ყოფილიყო.

შეფასებული როგორც პრეიუდიცია.

ამასთან, სასამართლოს მეგობრის მოსაზრების თანახმად, მითითებული და კიდევ სხვა ბევრი არსებითი ხასიათის უსწორობა ქმნიდა მესამე პირების მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და არსებითად განხილვის სამართლებრივ წინაპირობებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქეყპუნქტის შესაბამისად, თ. კ-ის, ზ. კ-ის, ნ. ბ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. კ-ის, ზ. კ-ის, ნ. ბ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. ბ-ის მიერ სასარჩელო მოთხოვნების არაერთგზის დაზუსტების და სარჩელზე ნაწილობრივ უარის თქმის შედეგად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს – „ადმინისტრაციული საჩივრის და კმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილების და „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილების ბათილად ცნობის კანონიერების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის მემკვიდრეობის საფუძველზე უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ...-ის ქუჩა №55 (119 კვ. მეტრის 99.1%-ზე) ზ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა) ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1995 წლის 3 ივნისის ხელშეკრულებით ...ის №..., ...ის ამხანაგობას პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა ...ის №...,

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №...-პ მონმობით დასტურდება, რომ ...ის №.., ...ის ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა ...ის №.., ..., მდებარე ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №55-ში, 119,0 კვ.მ ფართი. 1995 წლის 13 ივნისს კი გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი №45.

საქმეში წარმოდგენილი 1995 წლის 14 აპრილის №.., ...ს დამფუძნებელი ხელშეკრულების (რეესტრის №..., ნოტ: ო-ე), თანახმად ირკვევა, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა გარიგების საფუძველზე წილების გადანაწილება შემდეგი სახით: 1. ვ. ბ-ი – 99,1%; 2. თ. კ-ი – 0,1%; 3. ა. ვ-ი 0,1%; 4. ვ. კ-ი – 0,1%; 5. ვ. ჩ-ე – 0,1%; 6. ს. ა-ი – 0,1%; 7. მ. ჯ-ი – 0,1%; 8. ქ. ც-ი – 0,1%; 9. ზ. მ-ე – 0,1%; 10. ზ. კ-ი – 0,1%.

1996 წლის 30 აპრილს №.., ...ის ამხანაგობამ მოიწვია დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ბ...ის“ დაფუძნების შესახებ. ამასთან, აღნიშნული სადამფუძნებლო დოკუმენტით (1996 წლის 30 აპრილის დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი №1) განსაზღვრული არ იქნა შპს „ბ...ის“ სამართალმემკვიდრეობა 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით დაფუძნებულ №.., ...ის ამხანაგობასთან.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2002 წელს შპს „ბ...ის“ პარტნიორების მიერ, რომელთა შორისაც იყვნენ №.., ...ის ამხანაგობის წევრები, სარჩელი აღიძრა სასამართლოში, რომელთა მოთხოვნას წარმოადგენდა 1995 წლის 4 აპრილის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და წილების გადანაწილება 1995 წლის 4 აპრილის საერთო კრების შესაბამისად. ასევე შპს „ბ...ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღიარება და წილების გადანაწილება შპს „ბ...ის“ პარტნიორებს შორის. აღნიშნული სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული, რის შესახებაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 09.12.2003 წლის №2/190 გადაწყვეტილება. აღნიშნული სამართალწარმოების დროს დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით საპრივატიზებო ქონებაში №.., ...ის ამხანაგობის წევრების წილები განისაზღვრა შემდეგნაირად: ვ. ბ-ი – 99.1 %, ამხანაგობის დანარჩენი წევრები – 0.9%, თითოეულს – 0.1%. ამასთან, 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა დადგენილ იქნა კალიგრაფიული ექსპერტიზების გზით. 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა ასევე

დადასტურებული იქნა ვ. ბ-ის მიმართ სისხლის სამართლის დევნის არდანყების შესახებ 2005 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, რომელშიც მითითებულია, რომ ყველა საპრივატიზებო დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დამფუძნებელთა ხელშეკრულებაზე გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია ხელმოწერების შესრულება იმ პირთა მიერ, რომლებიც მითითებულია დოკუმენტებში, ასევე გამოძიების პროცესში ამხანაგობის წევრების დაკითხვა-დაპირისპირებისას დადგენილ იქნა ყველა საპრივატიზებო დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობა, შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა ნება წილების გადანაწილების საკითხში გამოძიებამ არ მიიჩნია უკანონოდ (დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ, 17.11.2005 წ.).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 3 აპრილს ზ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ წიგთზე: ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ (99,1%-ზე).

განსახილველ საქმეზე სადავოდ ქცეული 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო სამსახურმა ზ. ბ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შეაჩერა (განმეორებით) სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს მოსთხოვა ...-ის №..., შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაციის ან ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №...-მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, წილების გადანაწილების შესახებ შეთანხმების წარდგენა.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 23 აპრილს მიღებულ იქნა №..., გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2013 წლის 22 აპრილს ზ. ბ-მა №... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №..., გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №55-ში მდე-

ბარე არასაცხოვრებელი ფართის 119 კვ.მ 99,1%-ზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილებით აღმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, განსაზიდველ საქმეზე სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, 1995 წლის 4 აპრილის №..., ...ს დამფუძნებელი ხელშეკრულება (რეესტრის №...-..., ნოტ: ო-ე), მიეკუთვნება თუ არა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით (სადაცო პერიოდში მოქმედი) განსაზღვრულ – ნილების განაწილების შესახებ სათანადო შეთანხმებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად (სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქცია), თუ წარმოდგენილია შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საკუთრების მოწმობა, თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ამხანაგობის კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების დამადასტურებელი დოკუმენტი, რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების საკუთრების უფლება. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ, როგორც სადაცო პერიოდში, ისე დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარსადგენია არა წილების გადანაწილების შესახებ ახალი შეთანხმება, არამედ რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საპრივატიზებო ობიექტის საკუთრების მოწმობა და თანდართული ხელშეკრულება (წილების განაწილების შესახებ), რის შესაბამისადაც რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების თანასაკუთრება ხელშეკრულებაში მოცემული წილობრივი მონაცემების შესაბამისად, რაც შეიძლება იყოს როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი, ამხანაგობის წევრთა შეთანხმების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორები (მესამე პირები) არ ეთანხმებიან შესაბამისი წილების – 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულების მიხედვით განაწილებას და სადავოდ ხდიან შეთანხმების ნამდვილობას. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ...ის №..., ...ის

შპს „ბ...ის“ პარტნიორების სასარჩელო მოთხოვნა შპს „ბ...ის“ სა-დამფუძნებლო დოკუმენტების ბათილად ცნობის, გაყალბებულად აღიარებისა და წილების თანაპარ ნაწილად განაწილებასთან და-კავშირებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმუ-ლობის ვადის გასვლის გამო.

ამასთან, მოცემულ საქმეზე ასევე არსებოთად მნიშნელოვანია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძ-ნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმონერების ნამ-დვილობა ასევე დადასტურებული იქნა ვ. ბ-ის მიმართ სისხლის სა-მართლის დევნის არდანწყების შესახებ 2005 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, რომელშიც მითითებულია, რომ ყველა საპრივა-ტიზებო დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დამფუძნებელთა ხელშეკ-რულებაზე გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურე-ბულია ხელმონერების შესრულება იმ პირთა მიერ, რომლებიც მი-თითებულია დოკუმენტებში.

ამდენად, ცალსახაა ის გარემოება, რომ კასატორები გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმას ითხოვენ იმ პირობებში, როდესაც მათ მიერ სადაცოდ გამხდარი შეთანხმება – კანონიერ ძალაში შესული სასა-მართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ნამდვილად არის მიჩ-ნეული. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონ-სტიტუციის 62-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლოს გა-დაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით, რასაც მოცემულ შემ-თხვევაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, კასატორთა მოთხოვნა დამფუძნებელი შეთანხმების არანამდვილად მიჩნევის შესახებ სა-მართლებრივ საფუძველს მოკლებულია. აქვე, საკასაციო სასამარ-თლო ვერ გაიზიარებს კასატორებისა და სასამართლის მევობრის (Amicus Curiae) მოსაზრებას – კანონიერ ძალაში შესული 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების მოცემულ საქმესთან შემხებლო-ბაში არ არსებობს შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას მი-აქცევს იმ გარემოებას, რომ 2002 წელს დაწყებული დავის ფარ-გლებში სასამართლოს შეფასების საგანს სწორედ – 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი შეთანხმების ნამდვილობის შეფასება წარმოადგენდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღე-ბას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი „თ...ის „,-ე ...ის“ საერთო კრების ოქმის თანახმად, მიმდინარე პრი-ვატიზაციის პროცესის გათვალისწინებით, შრომით კოლექტივს შე-ეთავაზა ...ს ქონების – ვ. ბ-ის მიერ შესყიდვა, რასაც შრომითმა კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი დადგენილია ასევე ის გა-

რემონტა, რომ ობიექტის პრივატიზაცია 1994 წელს განხორციელდა 4434 აშშ დოლარის ექვივალენტის გათვალისწინებით, ხოლო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ კასატორებმა – შრომითი კოლექტივის წევრებმა განახორციელეს საპრივატიზაციო თანხის (მათ მიერ მოთხოვნილი წილის შესაბამისად) გადახდა, საქმის მასალებში არ მოიპოვება. მართალია, კასატორები მიუთითებენ, მათ მიერ საპრივატიზაციო თანხის გადახდის ფაქტზე და ამის დასტურად მოიხმობენ სისხლის სამართლის დევნის არდანყების შესახებ 2005 წლის დადგენილებას, მაგრამ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დადგენილება შეიცავს მხოლოდ კასატორთა (მე-სამე პირთა) ზეპირ განმარტებას თანხის გადახდის შესახებ, ხოლო დადასტურებული გარემოება ან ფაქტი თანხის რეალურად გადახდის შესახებ მოცემული დადგენილებით ან სხვა რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება. ამდენად, ცალსახაა, რომ 1995 წლის 4 აპრილს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების მიერ გამოიხატა ნება ...ს ვ. ბ-ის მიერ შეძენისა და წილების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად განახილების შესახებ. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულების ნამდვილობა მხარეთა მიერ სადავო გახდა 2002 წლის 20 თებერვალს, დაახლოებით 7 წლის შემდეგ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს, კასატორების პოზიციას იმის შესახებ, რომ 1997 წლამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ წერილობითი ფორმით უნდა დადებულიყო, რაც მოცემულ შემთხვევაში ცალსახად სახეზე არის. ასევე ცალსახაა ის გარემოება, რომ დამფუძნებელი შეთანხმების მე-7 პუნქტი ხელშეკრულების ძალაში შესვლას – მის ხელმოწერას და ნოტარიულად დამტკიცებას უკავშირებდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „სახელმწიფო ნოტარიის შესახებ“ კანონის 1996 წლის 3 მაისამდე მოქმედი რედაქციის მე-20 მუხლის თანახმად, გარიგების დადასტურების და ზოგიერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოწმდება გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ნამდვილობა, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედებას, ხოლო იგივე 65-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ამონმებს იმ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას, რომლის შინაარსი კანონს არ ენინააღმდეგება და რომლის შინაარსსაც არ

აქვს გარიგების ხასიათი.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაცო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსის მიერ უნდა მომხდარიყო გარიგების დადასტურება, რაც თავის მხრივ არ გულისხმობდა ყველა პირის ხელმოწერის ნამდვილობის ცალ-ცალკე დადასტურებას. ამასთან, სანოტარო აქტზე, ვ. ბ-ის ხელმოწერის არსებობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სწორედ ვ. ბ-ი წარმოადგენდა შრომითი კოლექტივის ამხანაგობის უფლებამოსილ პირს და სწორედ მას მიანიჭა შრომითმა კოლექტივმა წარმომადგნელობის სრული უფლებამოსილება.

ამასთან, გარდა ზემოაღნიშნული ფაქტებისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბუნდოვანია კასატორების (მესამე პირებს) კანონიერი ინტერესი სადაცო აქტების იურიდიული ძალის შენარჩუნების მიმართ, იმ პირობებში, როდესაც, მათ უფლების (ჰიპოთეტური) რაიმე სამართლებრივი ფორმით და საშუალებით რეალიზება დღემდე არ განუხორციელებიათ.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს განხილვის საგანს – ზ. ბ-სა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული დავა წარმოადგენს. თავის მხრივ, ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცო აქტებით იმსჯელა და შეაფასა სწორედ ზ. ბ-ის განცხადებისა და მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა, ამდენად, ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც სცდება ზ. ბ-ის მიერ წარდგენილი განცხადების ფარგლებს, ავტომატურად სცდება მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანსაც.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას ხანდაზმულობის ვადის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ზ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არ გამოდინარობს ხელშეკრულების შესრულებიდან, ვინაიდან, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს არა დამფუძნებელი ხელშეკრულების ნამდვილობის შეფასება და ხელშეკრულებით განსაზღვრული წილების განაწილება, არამედ დამფუძნებელი ხელშეკრულების გათვალისწინებით, მასში არსებული წილების რეგისტრაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. კ-ის, ზ. კ-ის, ნ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, რ. კ-სა და ს. ა-ის საკასაციო საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შე-

საბამისად უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. კ-ის, ზ. კ-ის, 6. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, რ. კ-სა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის
გამოვლინებასთან დაკავშირებით სასარჩევო
მოთხოვნის ხანდაზმულობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-658(კ-19)

25 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ა. წულაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 22 მაისს სისპ სიციალური მომსახურების სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის –

სს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო ორგანიზაციის სააგენტომ განახორციელა შპს „ა...ის“ საქმიანობის ინსპექტორების 2008 წლის 1 ნოემბრიდან – 2011 წლის აპრილამდე საანგარიშმ პერიოდზე, რაზედაც 2012 წლის 30 მაისის აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 25 თებერვლის №04/14339 ნერილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა ფულადი ვალდებულება 20 641.60 ლარის ოდენობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამედიცინო და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდგეგ სახის დარღვევა-ნაკლოვანებები: არ არის შესრულებული 0-5 წლის ჩათვლით ბავშვების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებები; 60 წლის და ზევით პაციენტების ამბოლატორიულ ბარათებში არსებული ჩანაწერი მწირია და სრულყოფილად ვერ ასაბუთებს პაციენტის ქრონიკული დაავადების მართვას; სრულად არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა, მომსახურების ღირებულება მოთხოვნილია არა აცრა-ვიზიტის, არამედ განხორციელებული ინფექციების რაოდენობის მიხედვით; არ არის ჩატარებული საჭირო გამოკვლევები და კონსულტაციები ან ვიზიტები განხორციელებულია პროგრამით დადგენილი ვადის დარღვევით, ან მომსახურება განხეულია ანტენატალური ვაუჩერის გაცემამდე, გამოკვლევების პასუხები არ არის დათარიღებული და ხელმოწერილი, არასწორად არის შევსებული პაციენტთა აღრიცხვის ჟურნალი.

მოსარჩელის მითითებით, გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 20 641.60 ლარი, მათ შორის: ა) პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსახლეობის ზოგადი ამბულატორიული დახმარების ფარგლებში – 3436.29 ლარი; ბ) ფთიზიატრიული ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული დაბმურების კომპონენტის ფარგლებში – 368.02 ლარი; გ) ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი 6-60 წ.ნ დაბაბუტიან და ონკოინკურაბელურ პაციენტთა მომსახურების ფარგლებში – 263.26 ლარი; დ) დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იმუნიზაციის კომპონენტი (აცრა-ვიზიტების) ქვეკომპონენტის ფარგლებში – 6598.00 ლარი; ე) სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურების კომპონენტის ფარგლებში 9976.03 ლარი.

მოსარჩელის აღნიშვნით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო ორგანიზაციის სააგენტომ, 2011 წლის 1 აპრილიდან – 2011 წლის

31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში განახორციელა შპს „ა...ის“ ინსპექტირება, რაზედაც 2012 წლის 9 ივნისის აქტის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა ფულადი ვალდებულება 12 564.65 ლარის ოდენობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამედიცინო და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლიოგნებები: პაციენტებს გადახდილი აქვთ პროგრამით დადგენილი თანაგადახდის წილშე მეტი ოდენობის თანხები, პაციენტის რეპოსპიტალიზაცია განპირობებულია მათივე არასწორი მომსახურებით; გამოვლენილია არასრული და უხარისხო მომსახურება, პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის დაუდასტურებლობა, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა, დიაგნოზის დაუდასტურებლობა კლინიკო-ლაბორატორიული კვლევების მონაცემებით; აგრეთვე, სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილია არასრული გამოკვლევები და კონსულტაციები.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულ საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენდა თანხამ შეადგინა 12 564.65 ლარი, მათ შორის: а) მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო ბავშვთა დახმარების კომპონენტის ფარგლებში – 1 345.45 ლარი; ბ) მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 10 676.20 ლარი; გ) სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურების კომპონენტის ფარგლებში – 543.00 ლარი.

ამას გარდა, მოსარჩელის განმარტებით, შპს „ა...ას“ გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზების გადამოწმების შედეგად ასანაზღაურებელი აქვს 12.70 ლარი. მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ 2015 წლის 14 მაისის №04/33753 წერილით, სს „...ს“ გაეგზავნა შეტყობინება დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურების თაობაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხე შპს „ა...ის“ უფლებამონაცვლის – სს „...ისათვის“ 33 218.95 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 სეტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით სსპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი სს „...ის“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა

სენაკის რაიონულ სასამართლოს.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გა-დაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი შპს „...ის“ მიმართ; მოპასუხე შპს „...ს“ (ს/კ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 33 218.95 ლარის გადახდა დაეკისრა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფა-სების შედეგად, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „ა...ა“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საინსპექციო პერიოდში (2008 წლის 1 ნოემბრიდან – 2008 წლის 1 აპრილამდე, 2011 წლის 1 აპრი-ლიდან – 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ახორციელებდა პირ-ველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახ-ლეობის ზოგადი ამბულატორიული დახმარებას, ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული დახმარე-ბის კომპონენტის ფარგლებში, ზოგადი ამბულატორიული მომსა-ხურების კომპონენტი 6-60 წწ. დიაბეტიან და ონკონკურაბელური პაციენტთა მომსახურებას, დაავადებათა პრევენციის სახელმწი-ფო პროგრამის ფარგლებში იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებ-ში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სარჩელის დაკმაყო-ფილებას ითხოვდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-ციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სა-ხელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2012 წლის 30 მაისისა და 2012 წლის 9 ივნისის შემოწმების აქტების საფუძველზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენ-ტოს უფროსის 2012 წლის 30 მაისის №02-210/მ ბრძანების საფუძ-ველზე, კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემ-ბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე სააგენტოშო პერიოდში. საქართვე-ლოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 4 მაისის №02-210/მ ბრძანების საფუძველზე, კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრუ-ლებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაც-

ვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, პროგრამების ფარგლებში მომსახურების დაფინანსება ხორციელდება კანონმდებლობისა და/ან მომსახურების/საქონლის მიმწოდებელთან საჭიროებისამებრ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 12 564.65 ლარი, მათ შორის: ა) მოსახლეობის სტაციონალურ დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა დახმარების კომპონენტის ფარგლებში – 1345.45 ლარი; გ) მოსახლეობის ურგენტანული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 10676.20 ლარი; ვ) „სამედიცინური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში – 543.00 ლარი.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების“ მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის საჯარიმო საქციები: ა) შემთხვევის სრულ ანაზღაურებაზე უარი; ბ) უკვე ანაზღაურებული შემთხვევისას თანხის უკან დაბრუნება; გ) დამატებითი ფინანსური ჯარიმა. ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ პროგრამის მოსარგებლისთვის ამავე პროგრამის/კომპონენტის/ ქვეკომპონენტის ფარგლებში გასაჩევი იმ მომსახურების არასრულად განევის შემთხვევა (როგორც ეს განსაზღვრულია მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით), რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა და კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მიმწოდებელი, ითვალისწინებს ჯარიმას, სარევიზიო პერიოდში განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებული თანხის 10%-ს. ამავე ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულება (განმახორციელებელი დაწესებულება, რეგულირების სააგენტო) ვალდებულია: ა) განახორციელოს პროგრამების ზედამხედველობა განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში; დ) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვნად შესრულებისას დააკისროს მიმწოდებელს ფინანსური ჯარიმა დადგენილი წესის შესაბამისად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუკი პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, პირის მოქმედება იყო განზრახი ან გაუფრთხილებელი (ანუ ბრალეული), უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგო, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა (ბრალეულმა) მოქმედებამ ზიანი მიაყენა სხვა პირს, კერძოდ შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები. დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია, რომ ზემოხსენებული სამივე პირობა არსებობდეს ერთდროულად.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სამივე პირობა, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო აენაზღაურებინა დამდგარი მატერიალური ზიანი. ამასთან, სარჩელით მოთხოვნილი ზიანის თანხის ოდენობა დასაბუთებული იყო, მოსარჩელე მოითხოვდა სწორედ იმ ოდენობის თანხის ანაზღაურებას (2895.72 ლარის ოდენობით), რა რაოდენობის ანაზღაურებაც სახელმწიფოს მიერ გაიცა – შეს „ა...აზე“ 2009 წლის 1 მაისიდან 2012 წლის 1 იანვრამდე საინსპექციო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარვლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ინსპექტირებისა და ადმინისტრირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ შემოწმების აქტში მითითებულის საპირისპირო დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი არ იყო.

რაც შეეხება მოპასუხე მხარის არგუმენტაციას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშვება იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-12 მუხლზე, რომლის მიხედვით, ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3

წლის ვადაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. რევიზია ითვალისწინებს მიმწოდებელ დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმწოდებლისგან ითხოვს საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებს მის დეტალურ შემოწმებას, ხოლო დაწესებულება ვალდებულია სარევიზიო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. რევიზიის დასრულების შემდეგ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ სარევიზიო ჯგუფის წევრები და მიმწოდებელი მხარის პასუხისმგებელი პირები. აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, აქტის საფუძველზე მიმწოდებელს დაეკისრება ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „ა...ის“ სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე, ასევე 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინსპექციო პერიოდზე ჩატარდა 2012 წლის 30 ივნისს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 4 მაისის №02-210/გ ბრძნების საფუძველზე, რა დროსაც გამოვლენილ იქნა მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2015 წლის 22 მაისს.

2012 წლის 15 ნოემბრის წერილით, მოსარჩელის მხრიდან მოპასუხეს ეცნობა ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბრუნების ვალდებულების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია და დაკამაყოფილა.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „...ის“

სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პროველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე ფაქტობრივი გარემობები დაადგინა სწორად, თუმცა სამართლებრივად არასწორი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის პოზიციით, სამედიცინო დაწესებულების ვალდებულება თანხის დაპრუნების თაობაზე წარმოშობილი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების (იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმრობდებლების გამოვლენამდე – (ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან)) მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება გაგრძელდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების შესაბამისად.

სააპელაციო პალატის მითით? ით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 4 მაისის №02-210/გ ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ (ს/კ ...) სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდში, ხოლო ამავე სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 მაისის №02-210/გ ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადაც არ იყო ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სათანადო ანაზღაურების მიღების მიზნით, მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება) ყოველთვიურად უგზავნიდა სააგნენტოს განხორციელებული შესრულებების (განეული მომსახურების) შესაბამის სამედიცინო და ფინანსურ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც, იგი იღებდა მომსახურების ღირებულებას (თანხას). აღნიშნული ფაქტები დასტურდება თვით შემოწმების აქტებითაც.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულების მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მოუხედავად იმისა, პირმა იციდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, კერძოდ, იმ მომენტთან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან

უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივა-რაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. სანინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი მო-სარჩელეს აწევს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სახელშეკრულებო მოთხოვ-ნების ხანდაზმულობის ვადა შეადგინს სამ წელს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკ-რულება, რომლის საფუძველზეც მხარეებს ნარმოებვათ უფლება-მოვალეობები, შეეხებოდა 2008-2011 წლებში მომსახურების გა-ნევას, ჯანდაცვის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მოსახლე-ობისათვის სამედიცინო მომსახურების განევას, რა შემთხვევაშიც, მოქმედებდა ზემოთ მითითებული ნორმით დადგენილი სასარჩე-ლო მოთხოვნის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შპს „ა...ასა“ (უფლებამონაცვლე სს „...ი“) და სსიპ სოციალური მომსა-ხურების სააგენტოს (მიმწოდებელს) შორის 2008 წელს (ისევე რო-გორც 2009 და 2010, და 2011 წლებში) გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების განევის შესახებ. თითოეული ხელშეკ-რულების მოქმედების ვადა არ აღემატებოდა 1 წელს. ხელშეკრუ-ლები დასრულდა – მხარეთა შორის შეთანხმებული მომსახურე-ბა განხორციელდა და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენ-ტები წარედგინა სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამედი-ცინო დაწესებულებას გადაეცა მომსახურების საფასური.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით დამტკიცებული 2011 წლის ჯანმრთე-ლობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესის მე-12 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ანაზღაურე-ბული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის ვადაში, რეგულირე-ბის სააგენტოს მიერ ადგილზე ნარმოებს მიმწოდებლის მიერ განე-ული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფი-კის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამედიცინო საქმია-ნობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულების შემოწმება ჩატარდა 2012 წლის 7 მაისიდან – 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით, აქტები მომზადებულ იქნა 2012 წლის 30 მაისსა და 9 ივნისს. შემოწმება შეეხო 2008 წლის 1 ნოემბრიდან – 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (სამედიცინო დაწე-სებულების მხრიდან, აღნიშნულ პერიოდში მოქმედი, ზემოთ ჩა-მოთვლილი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრუ-ლებას), ხოლო სარჩელი (დათარიღებული 2015 წლის 18 მაისით)

სასამართლოში შეტანილ იქნა 2015 წლის 22 მაისს.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2008 წლის იანვარში დადებული ხელშეკრულებისთვის დაიწყო 1 წლის შემდეგ, ანუ 2009 წლის იანვრიდან და ამოინურა – 2012 წლის იანვარში; 2009 წლის იანვარში დადებულ ხელშეკრულებაზე დავის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გავიდა 2013 წლის იანვარში, ხოლო 2010 წლის იანვრის ხელშეკრულებზე – 2014 წლის იანვარში, ხოლო 2011 წლის აპრილში დადებულ ხელშეკრულებაზე – 2015 წლის აპრილში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო, მოსარჩელის მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდებოდა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სიიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარჩელი აღძრა 2015 წლის 22 მაისს, – 2008-2011 წლების ხელშეკრულების დასრულებიდან 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციიო წესით გაასაჩივრა სიიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება იდენტურ დავებზე საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისაგან.

კასატორის მითითებით, აქტები გაფორმდა 2012 წლის 9 ივნისსა და 30 მაისს – წერილები აღიარებული ვალდებულების შესრულებაზე გაზაგნილ იქნა 2012 წლის 15 ნოემბერს (№04/71052) და 2015 წლის 14 მაისს (№04/33753). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კლინიკა ვალდებული იყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება უზრუნველეყო აღიარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, სარჩელი კი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2015 წლის 22 მაისს.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის №ბს-944-904(კ-09) განჩინებაზე, რომელშიც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელე-

ბა ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“.

კასატორი გამომარტავს, რომ ვინაიდან მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება ის დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის დენა მიმდინარეობს სააგენტოს მიერ მხარის მიმართ წერილობითი შეტყობინებებიდან და არა რეგულირების აქტების გაფორმების თარიღიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის საოქმო განჩინებებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, სს „...ის“ უფლებამონაცვლედ – სს „ე...ი“, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფლებამონაცვლედ – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა

მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიღდა დასკვნამდე, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, 2012 წლის 30 მაისის შემონბების აქტისა და მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგ ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 მაისის №02-210/ზ ბრძანების საფუძველზე, კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: 6. ჩ-ი – კონტროლის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (...ე), 6. ქ-ი – კონტროლის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან, 2011 წლის 1 აპრილამდე საანგარიშო პერიოდში.

საინსპექციო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრაციის თარიღი – 16.03.2000 წ., რეგისტრაციის ნომერი 16/7.

შპს „ა...ა“ ახორციელებდა და ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს დედათა და ბავშვთა მომსახურების სახელმწიფო პროგრამის სფეროში შემდეგი ხელშეკრულებების საფუძვლით:

– 2008 წლის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამას 2008 წლის 15 დეკემბრის №2დ 18382301შ ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2008 წლის სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა ანტენატალურ მეთვალყურეობას სამედიცინო მომსახურებას 2008 წლის 15 დეკემბრის №2დ 18382301შ ხელშეკრულების გაგრძელება – 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, 2009 წლის 22 იანვრის №2დ 18382301 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო

პროგრამის ფარგლებში სამეანო მომსახურების ანტენატალურ მეთვალყურეობას 2009 წლის 1 სექტემბრის №2დ 18382301 ხელ-შეკრულების საფუძველზე;

– 2010 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამეანო მომსახურების ანტენატალურ მეთვალყურეობას 2010 წლის 20 მაისის №2დ 18382301 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2008 წლის დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმუნიზაციის კომპონენტის მიხედვით 6-დან 27 წლამდე ასაკის ჩატვლით მოსახლეობაში წითელა წითურას საწინააღმდეგო აცრების ჩატარებას 2008 წლის 21 ოქტომბრის №5ი 18382301 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2008 წლის დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმუნიზაციის კომპონენტის აცრა-ვიზიტების ჩატარებას 2008 წლის 14 ნოემბრის №5ი 18382301შ ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2008 წლის სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით იმუნიზაციის კომპონენტის აცრა-ვიზიტების ქვე-კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურებას 2008 წლის 14 ნოემბრის №5ი 18382301შ ხელშეკრულებს გაგრძელება – 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, 2009 წლის 30 ოქტომბრის №5ი 18382301 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2008 წლის სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით იმუნიზაციის კომპონენტის აცრა-ვიზიტების ქვე-კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურებას 2009 წლის 30 ოქტომბრის №5ი 29382301შ/1 ხელშეკრულების გაგრძელება – 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, 2010 წლის 4 იანვრის №5ი 29382301შ/1 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2010 წლის დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმუნიზაციის კომპონენტის აცრა-ვიზიტების ჩატარებას 2010 წლის 1 მარტის №5ი 20382301შ/ ხელშეკრულების საფუძველზე;

შპს „ა...ა“ ახორციელებდა და ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს ფთიზიატრიული მომსახურების სფეროში შემდეგი ხელშეკრულებების საფუძვლით:

- 2009 წლის ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის მიხედვით, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოსა და მიმწოდებელს შორის 2009 წლის 6 ივლისს გაფორმებული №2ტ89382301შ ხელშეკრულების საფუძველზე;

- 2010 წლის ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება 2010 წლის 1 მარტის №2ტ80382301შ ხელშეკრულების საფუძველზე;

- 2011 წლის ტუბერკულოზის მართვის პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება 2011 წლის 1 აპრილის №2ტ81382301შ/1 ხელშეკრულების საფუძველზე.

შპს „ა...ა“ ახორციელებდა და ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს ზოგადი ამბულატორიული მომსახურების სფეროში შემდეგი ხელშეკრულებების საფუძვლით:

- სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების პირველადი ჯანდაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების განხორციელებას 2008 წლის 1 ნოემბრის №2ა2382801შ ხელშეკრულების საფუძველზე;

- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მიხედვით, 3 წლის ზემოთ ქვეყნის მოსახლეობის (გარდა იმ ოჯახის წევრებისა, რომლებიც დარევისტრირდნენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“ 2008 წლის 31 მარტიდან 1 დეკემბრამდე და ამავდროულად, მათ აუგვიანობის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე) პირველადი ჯანდაცვით მომსახურებით უზრუნველყოფა 2009 წლის 7 აპრილის №2ა59382301შ ხელშეკრულების საფუძვლზე;

- 2009 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების განხორციელება 2009 წლის 7 ოქტომბრის №2ა09382801 ხელშეკრულების საფუძვლზე;

- 2009 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის

ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტის მიხედვით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურეობის განხორციელება 6-60 წწ. დიაბეტიან და ონკოინკურა-ბელურ პაციენტთა მიმართ 2009 წლის 7 ოქტომბრის №2a09382301შ/2 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2010 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მიხედვით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურეობის განხორციელება 2010 წლის 1 მარტის №2a00382801შ/1 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2010 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მიხედვით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურეობის განხორციელება 6-60 წწ. დიაბეტიან და ონკოინკურა-ბელურ პაციენტთა მიმართ 2010 წლის 1 მარტის №2a00382801შ/2 ხელშეკრულების საფუძველზე.

შპს „ა...ა“ ახორციელებდა და ახორციელებს 0-3 წლამდე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამას შემდეგი ხელშეკრულებების საფუძვლით:

– 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების განხორციელება 2009 წლის 1 იანვრიდან – 2009 წლის 18 თებერვლის ჩათვლით, 2009 წლის 1 აპრილის №2d79382801შ/1 ხელშეკრულების საფუძველზე;

– 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მიმართ (გარდა იმ ოჯახის წევრებისა, რომლებიც დარეგისტრირდნენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“ 2008 წლის 31 მარტიდან, 1 დეკემბრამდე და ამავდროულად, მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე) წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების განხორციელება 2009 წლის 19 თებერვლიდან 2009 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, 2009 წლის 1 აპრილის №2d99382801შ ხელშეკრულების საფუძვლზე.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე „ა...ის“ საინ-

სპექციონ პერიოდში, იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში (აც-რა-ვიზიტი) მოთხოვნილია 8498.00 ლარი, მიღებულია 8494.00. სა-ინსპექციონ პერიოდში სულ ჩატარებულია 1896 აცრა-ვიზიტი, სა-შუალოდ – 77%. დაწესებულებას ზედმეტად მოთხოვნილი აქვს 6598 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „ა...ის“ საინსპექციონ პერიოდში, იმუნიზაციის კომპონენტის ფარ-გლებში (აცრა-ვიზიტი) მოთხოვნილია 500 ლარი, მიღებულია 467.00. სულ ჩატარებულია 571 აცრა-ვიზიტი, საშუალოდ – 81.8%.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე შპს „ა...ის“ საინსპექციონ პერიოდში, პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენ-ტის ფარგლებში მოთხოვნილია 96607.29 ლარი, მიღებულია 78303.99 ლარი. ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპო-ნენტის ფარგლებში 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრი-ლამდე „ა...ა“ ახორციელებდა 5 სამედიცინო ჯგუფით (2 პედიატ-რიული და 3 თერაპიული ჯგუფი) – ემსახურებოდა 1531 ბენეფიცი-არს, აქედან 0-6 წლამდე – 391 ბავშვი, საინსპექციონ პერიოდში აყ-ვანილია – 165, მათ შორის დაბადებულია 148, სხვა უბნიდან გად-მოვიდა 7, მოიხსნა აღრიცხვიდან 231 ბავშვი. 01.04.2011 წლის მო-ნაცემებით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 311 ბავშვი.

60 წლის და ზევით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 1209 ბენეფიცია-რი, ახლად აყვანილი – 47, მოკედა 32 პაციენტი, გადავიდა სხვა უბანზე – 26. 01.04.2011 წლის მონაცემებით აღრიცხვაზე იმყოფე-ბოდა 1220 ბენეფიციარი.

საინსპექციონ პერიოდში შპს „ა...ის“ მიერ პროგრამით მიღებუ-ლია 4806 პაციენტი, აქედან ექიმთან ვიზიტი – 4050, ბინაზე ვიზი-ტი – 756.

2008 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 1 აპრილამდე საინსპექციო პერიოდში შპს „ა...აში“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სა-ფინანსო და სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით, დადგინ-და, რომ არ არის შესრულებული 0-5 წლის ჩათვლით ბავშვების ამ-ბულატორიული მომსახურეობის კომპონენტით გათვალისწინებუ-ლი ღონისძიებები, კერძოდ, სმენის და მხედველობის სკრინინგი, მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკა აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე (ოფ-თალმოსკოპია, ოტოსკოპია, პიკფლუომეტრია, სფიგმომანომეტ-რია) (მაგ. ამბულატორიული ბარათები №07/03, №07/30, №07/14, №07/08, №07/33, №08/12, №08/24, №09/28, №09/25), რიგ შემთხვე-ვებში 60 წლის და ზევით პაციენტების ამბულატორიულ ბარათებ-ში (№334, №702, №80, №220, №1641, №160) არსებული ჩანაწერი

მწირია და სრულყოფილად ვერ ასაბუთებს პაციენტის ქრონიკული დაავადების მართვას, რაც გათვალისწინებულია მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში; სრულად არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა – ექიმთან ვიზიტების, ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევების სავალდებულო რაოდენობები, მაგალითად, ამბულატორიული ბარათები №1476, №48, №25, №7774, №241.

სამედიცინო მომსახურების არასრულად მიწოდების გამო, სამედიცინო დოკუმენტაციის არაჯეროვნად შევსების და სახელწიფო პროგრამით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების (ტესტ-ჩესირების გამოკვლევით უზრუნველყოფა, შარდის ანალიზი, ჰერიფერიულ სისხლში გლუკოზის განსაზღვრა, ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში) შეუსრულებლობის გამო, შპს „ა...ამ“ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს საინსპექციო პერიოდში გადარიცხული თანხის – 78303.99 ლარის 1% – 783.03 ლარი;

„სააგენტოსა“ და „დაწესებულებას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულებამ „ყოველი პროგრამის (კომპონენტის) მიხედვით, მომსახურების შესრულებისათვის დანახარჯთა დადასტურების მიზნით, ცალ-ცალკე უნდა აწარმოოს პროგრამით“ (კომპონენტით) გახარჯული მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებების (პროცედურების, მანიპულაციების), მათ შორის საოპერაციო მასალის, ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევების აღრიცხვა სპეციალურ ზონარგაყრილ, დანომრილგვერდიან უურნალში, ცალ-ცალკე სააგნარიშო პერიოდში“. 2008-2011წწ, №2ა2382301შ, №2ა59382301შ, №2ა09382801შ/1, №2ა00382301შ/1 ხელშეკრულებების პირობების თანახმად, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ მიხედვით დადგენილი პირობის (პირობების) უხეში დარღვევის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტით, მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის ჯარიმას დარღვევის ცალკეულ პუნქტებზე საინსპექციო პერიოდში პროგრამით (კომპონენტით, ქვეკომპონენტით) შესრულებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

დაწესებულების მიერ ნარმოებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ შპს „ა...ამ“ არ აწარმოა ცალ-ცალკე სააგნარიშო პერიოდზე და პროგრამის კომ-

პონენტების მიხედვით სადიაგნოსტიკო და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევების შურნალი, რითაც დაირღვა კლინიკისა და სააგენტოს შორის არსებული №2ა2382801შ, №2ა59382301შ, №2ა09382301შ/1, №2ა00382301შ/1 ხელშეკრულებების 10.5.8 პუნქტით განსაზღვრული პირობები, კერძოდ, მომსახურების შესრულების, ალრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი, როს გამოც სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 78303.99 ლარის 1% – 783.03 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე საინსპექციო პერიოდში, პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში შეპას „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 1566.06 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში, დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ა...ის“ მიერ, პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მოთხოვნილია 18702.70 ლარი, მიღებულია 18702.30 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ი“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საფინანსო და სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით, დადგინდა, რომ არ არის შესრულებული 0-5 წლის ჩათვლით ბავშვების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებები, კერძოდ, სმენის და მხედველობის სკრინინგი, მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკა აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე (ოფთალმოსკოპია, ოტოსკოპია, პიკფლუომეტრია, სფიგმომანომეტრია) (მაგ. ამბულატორიული ბარათები №10/24, №08/53, №08/13, №07/14, №08/12, №08/24, №08/16, №08/54, №08/68, №09/18, №09/01, №09/09, №10/09, №10/13); რიგ შემთხვევებში 60 წლის და ზევით პაციენტების ამბოლატორიულ ბარათებში (№3776, №620, №242, №173, №433) არსებული ჩანაწერი მწირია და სრულყოფილად ვერ ასაბუთებს პაციენტის ქრონიკული დაავადების მართვას, რაც გათვალისწინებულია მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში; სრულად არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა – ექიმთან ვიზიტების, ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევების სავალდებულო რაოდენობები, მაგალითად,

ამბულატორიული ბარათები №80008, №740, №918, №523, №1357, №8254, №3766.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის, მე-14 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ პროგრამის მოსარგებლისათვის ამავე პროგრამის ფარგლებში გასაწევი იმ მომსახურების არასრულად განვითარებული მომსახურების არასრულად განვითარებული მომსახურების შემთხვევაში, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა და კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მიმწოდებელი, ითვალისწინებს ჯარიმას, სარევიზიო პერიოდში განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებული თანხის 10%-ს. აღნიშნულ შემთხვევაში, კლინიკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს გადარიცხული თანხის – 1870.30 ლარის 10%-ს – 1870.23 ლარს.

სულ, 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში, შპს „ა...ის“ მიერ პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 3436.29 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში, შპს „ა...ას“ დიაბეტიანი და ონკოინკურაბელური პაციენტების ამბულატორიული მომსახურების პროგრამით, მოთხოვნილია 4202.00 ლარი, მიღებულია – 4201.60 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში, შპს „ა...ის“ ენდოკრინოლოგიურ კაბინეტში 6-დან 60 წლამდე აღრიცხვაზე იმყოფებოდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 62 ადამიანი, საინსპექციო პერიოდში აღრიცხვიდან მოიხსნა 2, აღრიცხვაზე აყვანილია 13, გარდაიცვალა 1 ავადმყოფი. 2011 წლის 1 აპრილის მონაცემებით, აღრიცხვაზე იმყოფებოდა 72 ავადმყოფი, მათ შორის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი I – 18 პაციენტი, ტიპი II – 42, აქედან ტიპი II ინსულინდაზოუკიდებელი 12 პაციენტი, ტიპი II ინსულინმომხმარებელი 30 პაციენტი. პაციენტების №154, №723, №22, №348, №267, №307, №591, №8910, №449, №334, №579, №48, №255, №305, №60, №589, №611, №449, №411, №305, №601, №73, №761, №35, №968, №429, №836, №750, №936, №1218, №15, №1535, №131, №3714, №1476, №162, №345, №847, №3635, №495, №312, №393, №1081, №637, №4462, №511 სამედიცინო ბარათების შესწავლით გამოვლინდა, რომ პროგრამული პაციენტებისათვის სრულად არ არის გატარებული პროგრამით გათვალისწინებული გამოკვლევები, კერძოდ, გლუკოზის განსაზღვრა

კაპილარულ სისხლში – 65 შემთხვევაში, ცილის განსაზღვრა შარდეში – 62 შემთხვევაში, კრეატინინის განსაზღვრა სისხლში – 72 შემთხვევაში, ე.კ.გ. – 65 შემთხვევაში, ოფთალმოლოგის კონსულტაცია – 54 შემთხვევაში.

სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო, დაწესებულებაშ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადარიცხოს მიღებული თანხის 4201.60 ლარის 1% X5 – 210.05 ლარი.

დაწესებულების მიერ წარმოებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ შპს „ა...ა“ არ ანარმობდა ცალ-ცალკე საანგარიშო პერიოდზე და პროგრამის კომპონენტების მიხედვით სადიაგნოსტიკო და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევების უზრნალს, რითაც დაირღვა კლინიკასა და სააგნენტოს შორის არსებული №2ა09382301შ/2, №2ა00382301შ/1, №2ა00382301შ/2 ხელშეკრულებების პირობები, კერძოდ, მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესი, რის გამოც პირველადი ჯანდაციის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 4201.60 ლარის 1% – 42.01 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე საინსპექციო პერიოდში, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი 6-60 ნ.ნ. დიაბეტიან და ონკოინჟურაბელურ პაციენტთა მომსახურეობის კომპონენტის ფარგლებში, შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 252.06 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ას“ დიაბეტიანი და ონკოინჟურაბელური პაციენტების ამბულატორიული მომსახურების პროგრამით მოთხოვნილი აქვს 1509.20 ლარი, მიღებული აქვს 112 ლარი.

პაციენტების №35, №968, №750, №1081, №937, №4462, №5117, №636, №267, №79, №22, №463, №348, №267 ბარათების შესწავლით გამოვლინდა, რომ პროგრამული პაციენტებსათვის სრულად არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული გამოკვლევები, კერძოდ, გლუკოზის განსაზღვრა კაპილარულ სისხლში – 43 შემთხვევაში, ცილის განსაზღვრა შარდეში – 56 შემთხვევაში, კრეატინინის განსაზღვრა სისხლში – 19 შემთხვევაში, ე.კ.გ – 12 შემთხვევაში, ოფთალმოლოგის კონსულტაცია – 9 შემთხვევაში.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესხებ“ საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხ-

ლის, მე-14 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ პროგრამის მოსარგებლისათვის ამავე პროგრამის ფარგლებში გასაწევი იმ მომსახურების არასრულად განევის შემთხვევაში, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა და კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მიმწოდებელი, ითვალისწინებს ჯარიმას, სარევიზიო პერიოდში განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებული თანხის 10%-ს. აღნიშნულ შემთხვევაში, კლინიკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს გადარიცხული თანხის – 112 ლარის 10%-ს – 11.20 ლარს.

სულ, 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში, ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი 6-60 წწ. დიაბეტიან და ონკოინკურაბელურ პაციენტთა მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 263.26 ლარი.

დანესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, შპს „ა...ის“ 2008 წლის 1 ნოემბრიდან, 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით, მონაწილეობდა ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით, საინსპექციო პერიოდში, დანესებულების მიერ ფთიზიატრიული ამბულატორიული დახმარებას კომპონენტის ფარგლებში მოთხოვნილია 20569 ლარი, მიღებულია 20569 ლარი.

დანესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ...ის ფთიზიატრიულ კაბინეტში სულ რეგისტრირებულია 76 პაციენტი, აქედან ახალი შემთხვევა – 57, წარსულში ნამკურნალევი – 15, ფილტვგარეშე ფორმა – 9, მათ შორის, 2 ბავშვი, მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ – 3. პაციენტების №26, №67, №29, №30, №15, №3, №25, №88, №73, №57, №48, №89, №32, №16, №51, №32, №37, №53, №33, №60, №39, №36, №34, №13, №44, №55, №89, №77, №89, №45, №1, №60, №7, №3, №79, №84, №10, №121, №133, №130, №141, №94, №129, №116, №77, №102, №10, №92, №118, №101 ამბულატორიული სამედიცინო ბარათების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საინსპექციო პერიოდში არ იყო ჩატარებული გულ-მკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა 93 შემთხვევაში, სისხლის საერთო ანალიზი – 44 შემთხვევაში, ნახველის კულტურალური გამოკვლევა – 8 შემთხვევაში, ნახველის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა – 15 შემთხვევაში.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრულებლობის გამო, დანესებულებამ ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა აანაზღაუროს გადმორიცხული თან-

ხის – 20569 ლარის 1%, რაც შეადგენს 205.69 ლარს.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ფარგლებში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და მიღებულია 8728.70 ლარი, მიღებულია 8116.70.

დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ...ის ფთიზიატრიულ კაბინეტში სულ რეგისტრირებულია 28 პაციენტი, აქედან, ახალი შემთხვევა – 19, ნარსულში ნამკურნალევი – 1, ფილტვგარეშე – 1, მკურნალობა შეწყვეტის შემდეგ 3მგბ(+). პაციენტების №37, №74, №67, №46, №31, №14, №39, №35, №25 ამბობატორიული ბარათების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სრულად არ ჩატარებულა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, კერძოდ, 11 შემთხვევაში – გულ-მეკრდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა, 6 შემთხვევაში – სისხლის საერთო ანალიზი, 5 შემთხვევაში – ნახველის კულტურალური გამოკვლევა, 7 შემთხვევაში – ნახველის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის, მე-13 პუნქტის შესაბამისად, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით, რევიზიისას საჯარიმ სანქციების ოდენობა განისაზღვრება თვის ლიმიტით გათვალისწინებული თანხის 2%-ით. შვიდ შემთხვევაში არ იყო ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები, რის გამოც დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 8116.70 ლარის 2% – 162.23 ლარი.

სულ, 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში, შპს „ა...ის“ მიერ ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 368.02 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინურო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების განხორციელება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა-ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიხედვით 01.01.2008-01.04.2011 წწ. საინსპექციო პერიოდში სამედიცინურო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაწესებულე-

ბის მიერ მოთხოვნილია 15922 ლარი, მიღებულია 15256 ლარი.

01.11.2008-01.04.2011 წწ. საინსპექციო პერიოდში სამეანო მომ-სახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყუ-რეობის კომპონენტის ფარგლებში დაწესებულების მიერ ასანაზ-ლაურებლად წარდგენილი იყო სულ 1115 ვიზიტი, კერძოდ:

– 5455 ნოზოლოგიური კოდით (I ვიზიტი) 313 შემთხვევა; -5456 ნოზოლოგიური კოდით (II ვიზიტი) 242 შემთხვევა;

– 5457 ნოზოლოგიური კოდით (III ვიზიტი) 272 შემთხვევა;

– 5458 ნოზოლოგიური კოდით (IV ვიზიტი) 288 შემთხვევა.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე საინსპექ-ციო პერიოდში ასანაზლაურებლად წარდგენილია სულ 262 ვიზი-ტი, კერძოდ:

– 5445 ნოზოლოგიური კოდით (I ვიზიტი) 60 შემთხვევა;

– 5456 ნოზოლოგიური კოდით (II ვიზიტი) 59 შემთხვევა;

– 5457 ნოზოლოგიური კოდით (III ვიზიტი) 75 შემთხვევა; -5458

ნოზოლოგიური კოდით (IV ვიზიტი) 68 შემთხვევა.

„ორსულის ან მელოგინის ინდივიდუალური ბარათების“ შესწავ-ლით გამოვლინდა, რომ საინსპექციო პერიოდში არ ჩატარებულა პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი გამოკვლევები და კონ-სულტაციები: (2008 წლის ნოემბერი, დეკემბერი);

I ვიზიტი – არ ჩატარებულ თერაპევტის კონსულტაცია 18 შემ-თხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 36 ლარს, სისხლის საერ-თო ანალიზი – 2 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 7.82 ლარს, შარდის საერთო ანალიზი – 2 შემთხვევაში, რაც თანხობრი-ვად შეადგენს 7.68 ლარს, სიფილისის დიაგნოსტიკა სწრაფი/მარ-ტივი მეთოდით – 12 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 28.32 ლარს, B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა – 7 შემთხვევაში, სწრაფი, მარტივი მეთოდით, რაც თანხობრივად შეადგენს 23.94 ლარს, აივ ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 11 შემ-თხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 37.62 ლარს, სისხლის ჯგუ-ფის და რეზუსის განსაზღვრა – 6 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 27.60 ლარს, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკ-ვლევა 3 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 13.95 ლარს.

II ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 8 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 72 ლარს, მეან-გინეკოლოგის კონსულტა-ცია – 1 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 2 ლარს, მცირე მენჯის ღრუს თრგანოების ექოსკოპია – 1 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 6 ლარი.

III ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 2 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 14 ლარს, მეან-გინეკოლოგის კონსულტა-ცია – 2 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 4 ლარს, ჰემოგ-

ლობინის განსაზღვრა სისხლში – 4 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 3.72 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 3 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 9.21 ლარი.

IV ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 2 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 14 ლარს, მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია – 1 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 1.40 ლარს, ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში – 2 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 1.86 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 1 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 3.07 ლარი.

01.11.08-01.01.09 საინსპექციო პერიოდში, „სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსაფერონმა თანხამ შეადგინა 314.19 ლარი.

2009 წლი: I ვიზიტი – არ ჩატარებულა თერაპევტის კონსულტაცია 121 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 242 ლარს, სისხლის საერთო ანალიზი – 7 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 27.37 ლარს, შარდის საერთო ანალიზი – 8 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 30.72 ლარს, სიფილისის დიაგნოსტიკა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 20 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 47.20 ლარს, B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა – 25 შემთხვევაში, სწრაფი, მარტივი მეთოდით, რაც თანხობრივად შეადგენს 85.50 ლარს, აივ ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 28 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 95.76 ლარს, სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა – 15 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 69 ლარს, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა – 10 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 46.50 ლარს.

II ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 40 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 360 ლარს, არ ჩატარებულა მცირე მენჯის ლრუს ორგანოების ექსკოპაცია – 34 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 204 ლარი.

III ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 8 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 56 ლარს, არ ჩატარებულა ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში 20 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 18.60 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 18 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 55.26 ლარი.

IV ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 3 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 21 ლარს, მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია – 1 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 2 ლარს, ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში – 15 შემთხვევაში, რამაც თანხობ-

რივად შეადგინა 13.95 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარ-დში – 16 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 49.12 ლარი.

01.01.09-01.01.10 საინსპექციო პერიოდში, „სამეანო მომსახუ-რების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 1423.98 ლარი.

2010 წელი: I ვიზიტი – არ ჩატარებულა თერაპევტის კონსულ-ტაცია 116 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 232 ლარს, სისხლის საერთო ანალიზი – 20 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 78.20 ლარს, შარდის საერთო ანალიზი – 22 შემთხვევა-ში, რაც თანხობრივად შეადგენს 84.48 ლარს, სიფილისის დიაგნოს-ტიკა სწრაფი/მარტივი მეთოდით 29 შემთხვევაში, რაც თანხობრი-ვად შეადგენს – 68.44 ლარს, B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა – 29 შემ-თხვევაში, სწრაფი, მარტივი მეთოდით, რაც თანხობრივად შეად-გენს 99.18 ლარს, აივ ანტისეხულების განსაზღვრა სწრაფი/მარ-ტივი მეთოდით – 29 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 99.18 ლარს, სისხლის ჯგუფისა და რეზუსას განსაზღვრა – 19 შემ-თხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 87.40 ლარს, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა – 23 შემთხვევაში, რაც თანხო-რივად შეადგენს 106.95 ლარს.

II ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 21 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 189 ლარს, არ ჩატარებულა მცირე მერჯის ღრუს ორგანოების ექიმოსკოპია – 35 შემთხვევაში, რამაც თანხობ-რივად შეადგინა 210 ლარი.

III ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 4 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 28 ლარს, მეან-გინეკოლოგის კონსულტა-ცია – 2 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 4 ლარს, ჰემოგ-ლობინის განსაზღვრა სისხლში – 10 შემთხვევაში, რამაც თანხობ-რივად შეადგინა 9.30 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარ-დში – 12 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 36.84 ლარი.

IV ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 4 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 28 ლარს, არ ჩატარებულა ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში – 17 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შე-ადგინა 1.86 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 1 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 15.81 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 18 შემთხვევაში, რამაც თან-ხობრივად შეადგინა 55.26 ლარი.

01.01.10-01.01.11 საინსპექციო პერიოდში, „სამეანო მომსახუ-რების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 1432.04 ლარი.

2011 წელი (1 აპრილამდე): I ვიზიტი – არ ჩატარებულა თერა-პეტის კონსულტაცია 31 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 62 ლარს, სიფილისის დიაგნოსტიკა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 4 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 9.44 ლარს, B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა – 3 შემთხვევაში, სწრაფი, მარტივი მეთოდით, რაც თანხობრივად შეადგენს 10.26 ლარს, აივ ანტისეხულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 18 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 61.56 ლარს, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა – 2 შემთხვევაში, რაც თანხობრივად შეადგენს 9.30 ლარს.

II ვიზიტი – ვადის დარღვევით ჩატარებულია 2 ვიზიტი, რაც თანხობრივად შეადგენს 18 ლარს, არ ჩატარებულა მცირე მენჯის ლრუს ორგანობის ექსპონატია 11 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 66 ლარი.

III ვიზიტი – ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში 5 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 4.65 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში 6 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 18.42 ლარი.

IV ვიზიტი – არ ჩატარებულა ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში 10 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 9.30 ლარი, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 11 შემთხვევაში, რამაც თანხობრივად შეადგინა 33.77 ლარი.

01.01.11-01.04.11 საინსპექციო პერიოდში, „სამედიცინური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 302.70 ლარი.

სულ 01.11.08-01.04.11 წწ. საინსპექციო პერიოდში, (№2დ 18382301შ, №2დ 18382301პ/1) ხელშეკრულებებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის სხვადასხვა პირობების დარღვევის გამო, შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 3472.91 ლარი.

სამედიცინო დოკუმენტაციის არაჯეროვნად და უხარისხოდ შეფასების გამო, შპს „ა...ამ“ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს 2008 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე საინსპექციო პერიოდში გადმორიცხული თანხის 15256 ლარის 1%, რამაც შეადგინა 152.56 ლარი.

01.01.08-01.04.11 საინსპექციო პერიოდში, „სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 3778.03 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული ვიზიტების, დაწესებულების მიერ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოთხოვნილია 3245 ლარი, ანაზღაურებულია 3065 ლარი.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ მიმწოდებელმა პროგრამის მოსარგებლეს, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება გაუნია არასრულად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასაწევი/განუული მომსახურების ლირებულების სამმაგი ოდენობით, ვინაიდან სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება არასრულად არის მინიჭებული, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 6 138 ლარი.

01.11.08-01.01.12 წნ. საინსპექციო პერიოდში, „სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგნენმა თანხამ შეადგინა 9 976.03 ლარი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე საინსპექციო პერიოდში შპს „...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 20 641.60 ლარი, მათ შორის:

ა) პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსახლეობის ზოგადი ამბულატორიული დახმარების ფარგლებში – 3 436.29 ლარი;

ბ) ფთიზიატრიული ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ფარგლებში – 368.02 ლარი;

გ) ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი 6-60 წ.წ დააბეტიან და ონკოინჟურაბელური პაციენტთა მომსახურების ფარგლებში – 263.26 ლარი;

დ) დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იმუნიზაციის კომპონენტი (აცრა-ვიზიტების) ქვეკომპონენტის ფარგლებში – 6 598.00 ლარი;

ე) „სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურების კომპონენტის“ ფარგლებში – 9 976.03 ლარი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

ვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოცია-ლური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 15 ნოემბრის №04/71052 ნერილით სს „ა...ას“ ეცნობა, რომ შემოწმებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით ზედმეტად მოთხოვნილია თანხა 20 641.60 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება დაბრუნებას.

მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, 2012 წლის 9 ივნისის შემოწმების აქტისა და მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 4 მაისის №02-210/მ ბრძანების საფუძველზე, კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: 6. ჩ-ი – კონტროლის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (...ე), 6. ქ-ი – კონტროლის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტორება 2011 წლის 1 აპრილიდან, 2011 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდში. კომისია მუშაობდა 2012 წლის 7 მაისიდან 30 მაისამდე.

საინსპექციო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრაციის თარიღი – 16.03.2000 წ., რეგისტრაციის ნომერი 16/7.

01.04.11-01.01.1266. სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიხედვით, 01.04.2011-31.12.2011 წწ. საინსპექციო პერიოდში სამედიცინსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 318 ლარი, მიღებულია 244 ლარი.

დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაწესებულების მიერ ასანაზღაურებლად წარდგენილი იყო სულ 22 ვიზიტი, კერძოდ:

- 5455 ნოზოლოგიური კოდით (I ვიზიტი) 6 შემთხვევა;
- 5456 ნოზოლოგიური კოდით (II ვიზიტი) 7 შემთხვევა;
- 5457 ნოზოლოგიური კოდით (III ვიზიტი) 6 შემთხვევა;
- 5458 ნოზოლოგიური კოდით (IV ვიზიტი) 3 შემთხვევა.

ინსპექტიონების შედეგად გამოვლინდა, რომ საინსპექციო პრიოდში არ ჩატარებულა პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებები: 5 შემთხვევაში არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული (I ვიზიტით) გამოკვლევები და კონსულ-

ტაციები: არ ჩატარებულა თერაპევტის კონსულტაცია 3 შემთხვევაში, აივ ანტისეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი მეთოდით – 1 შემთხვევაში, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა – 1 შემთხვევაში. 2 შემთხვევაში არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული (IV ვიზიტით) გათვალისწინებული პროგრამები: ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში – 1 შემთხვევაში, ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში – 1 შემთხვევაში.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ მიმწოდებელმა პროგრამის მომსარგებლებს, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება გაუწია არასრულად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასასწევი/განეული მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით ვინაიდან, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება არასრულად არის მიწოდებული, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 543 ლარი.

განეული მომსახურების – I ვიზიტის ღირებულება შეადგენს 32 ლარს, მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აღადგინოს) 480 ლარი (5 შემთხვევის შესაბამისი); განეული მომსახურების – III ვიზიტის ღირებულება შეადგენს 7 ლარს, მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აღადგინოს) 32 ლარი (1 შემთხვევის შესაბამისი); განეული მომსახურების – IV ვიზიტის ღირებულება შეადგენს 7 ლარს, მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აღადგინოს) 42 ლარი (2 შემთხვევის შესაბამისი).

საინსპექციო პერიოდში, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის“ (ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტი) ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 543 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ის“ მიერ სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაენია 42 ბენეფიციარს. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე საინ-

სპექციო პერიოდში მოთხოვნილია 11 669.84 ლარი, მიღებულია 9 771.18 ლარი.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ მიმწოდებელმა პროგრამის მოსარგებლებს, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება გაუწია არასრულად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასაწევი/განეული მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, ვინაიდან პაციენტთა №276, №277, №278 ბარათების მიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება არასრულად და უსარისხოდ არის მიმწოდებული, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 3 642.72 ლარი.

პაციენტთა №294, №453 ბარათების მიხედვით, ირკვევა, რომ ძირითადი დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებით, დამძიმებულია, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 1197.90 ლარი.

პაციენტთა №782, №640, №720, №511, №625, №714 ბარათების მიხედვით, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა მოსარგებლებს გადაახდევინა პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის ოდენობაზე მეტი თანხა, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 5385.00 ლარი.

პაციენტთა №279, №511 ბარათების მიხედვით, ირკვევა, რომ მომსახურება განეულია იმ დიაგნოზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით ან/და მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 10 676.20 ლარი.

მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში, 2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში შეს „ა...ის“ მიერ სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაენია 74 პაციენტს. ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში, საინსპექციო პერიოდში დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 8 474.53 ლარი, მიღებულია 7 656.93 ლარი.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.2011) ბრძანების მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ რეგიზირისას გამოვლინდა, რომ მიმწოდებელმა მოსარგებლეს პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის ოფენობაზე მეტი თანხა გადაახდევინა, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას შემთხვევის ღირებულების სამმაგიოდენობის სახით.

პაციენტთა №475, №693 ბარათების მიხედვით, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა მოსარგებლეს გადაახდევინა პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის ოფენობაზე მეტი თანხა, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 722.25 ლარი.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „თუ დასტურდება, რომ სამედიცინო დაწესებულებისათვის პროგრამით მოსარგებლის მიმართვა/გარდაცვალება განპირობებულია ამ სამედიცინო დაწესებულებაში მანამდე ჩატარებული არასრული ან/და უხარისხო სამედიცინო დახმარებით“, ასანაზღაურებელი თანხა სრულად უკან დაბრუნების საფუძველია.

პაციენტის სამედიცინო №269 ბარათის მიხედვით, ირკვევა, რომ სამედიცინო დაწესებულებისათვის პროგრამით მოსარგებლის

მიმართვა განპირობებულია ამ სამედიცინო დაწესებულებაში მანამდე ჩატარებული არასრული ან/და უსარისხო სამედიცინო დახმარებით, ამიტომ, „ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-1/6 (07.03.11) ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მიმწოდებელმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს (სახელმწიფო ბიუჯეტში აღადგინოს) 1345.45 ლარი.

2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში შპს „ა...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 12 564.65 ლარი, მათ შორის:

ა) მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა დახმარების კომპონენტის ფარგლებში – 1345.45 ლარი.

გ) მოსახლეობის ურგენტანული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 10 676.20 ლარი.

ვ) „სამედინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატულური მეთვალყურების კომპონენტის“ ფარგლებში 543.00 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მითითებით, სამედიცინო დაწესებულების ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების (იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/ მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე – (ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან)) მე-10 პუნქტის თანახმად, თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება გაგრძელდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ინსპექტორება მოიცავდა 2008 წლის 1 ნოემბრიდან – 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, რა დროსაც დადგინდა, რომ მოპასუხე კომპანია ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა 20 641.60 ლარი (30.05.2012 წ. აქტით) და 12 564.65 ლარი (09.06.2012 წ. აქტით).

დადგენილია, რომ სს „ე...ის“ (სს „...ის“ უფლებამონაცვლე) ნინამორბედის – შპს „ა...ის“ მიერ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურება ხორციელდებოდა 2008-2011 წლებში დადგებული რამდენიმე ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა ერთ წელს არ აღემატებოდა. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 4 მაისის №02-210/მ ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ (ს/კ ...) სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრიდე საანგარიშო პერიოდში, ხოლო ამავე სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 მაისის №02-210/მ ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ განახორციელა შპს „ა...ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება 2008 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე და 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008-2009, 2009-2010 და 2010-2011 წლების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ ადგენდა ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზიისათვის განსაზღვრულ კონკრეტულ ვადას. მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში, უფრო კონკრეტულად, 2008 წლიდან 2012 წლამდე დროის მონაკვეთში, რევიზიისათვის განკუთვნილი ვადა პირველად „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით იქნა გათვალისწინებული, კერძოდ, ამ ბრძანებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრი-

რების წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის ვადაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ განცეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ამასთან, ამავე წესისა და პირობების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. განსხვავებით კლასიკური სამოქალაქოსამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულება პროგრამით მოსარგებლე თითოეული პაციენტისავის სამედიცინო მომსახურების მიწოდებაში გამოიხატება. პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებათა, თავად პროგრამით მოსარგებლე პირთა და გასაწევ სამედიცინო მომსახურებათა სიმრავლე კი საგრძნობლად ართულებს ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან სამედიცინო დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხის ხშირ, პერმანენტულ კონტროლს. შესაბამისად, პერიოდული გეგმიური რევიზია წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების ჯეროვანი შესრულების შემოწმების გონივრულ გზას. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და ადმინისტრაციულ ორგანოს მენეჯერი რევიზიას მიერ განვითარებულ კონტროლს. შესაბამისად, პერიოდული გეგმიური რევიზია წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების ჯეროვანი შესრულების შემოწმების გონივრულ გზას. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკა გამოიხატება ასევე შემთხვევათა ანაზღაურების თავისებურებაშიც. კერძოდ, განცეული მომსახურების ანაზღაურება ხდება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო ის, რომ შემთხვევა არასწორად იქნა ანაზღაურებული, შესაძლებელია დადგინდეს მარტომდენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორ-

ციელებული ინსპექტირების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ასეთი სპეციფიკური ბუნება გადამწყვეტ როლს იძენს ხანდაზმულობის ათვლის მომენტის განსაზღვრაში, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის გადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

თუმცა საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008-2009, 2009-2010 და 2010-2011 წლებში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განცალკევებით არ იყო გათვალისწინებული ამგვარი რევიზიისათვის განკუთვნილი კონკრეტული ვადა. შესაბამისად, პროგრამის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებთ ცალსახად არ განისაზღვრებოდა დროის ის ზუსტი მონაკვეთი, რომელშიც უნდა გამოვლენილიყო სამედიცინო დაწესებულების მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევა. ამდენად, მითითებული, კერძოდ, 2008, 2009 და 2010 წლების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პერიოდში, რევიზიისათვის განკუთვნილი კონკრეტული ვადის არასებობის პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა სახელშეკრულებო ხანდაზმულობის 3-წლიანმა ვადამ მოიცვა როგორც ინსპექტირების განხორციელების, აგრეთვე, რევიზიის შედეგებზე დაყრდნობით, სამედიცინო დაწესებულებისათვის მოთხოვნის წარდგენისა და შემდგომში სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადაც. ამდენად, 2008, 2009 და 2010 წლების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს თითოეული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან, უფრო კონკრეტულად, 2008 წლის იანვარში დადებული ხელშეკრულებისთვის 1 წლის შემდეგ, ანუ 2009 წლის იანვრიდან, 2009 წლის იანვარში დადებულ ხელშეკრულებაზე 2010 წლიდან, ხოლო 2010 წლის იანვრის ხელშეკრულებაზე – 2011 წლიდან. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე სარჩელის წარდგენის ვადა, შესაბამისად, 2012, 2013 და 2014 წლებში ამოიწურა.

რაც შეეხება 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამ-

დეპერიოდს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების“ დამტკიცების შედეგად, 2011 წლის დაამკვიდრა 2011 წლის პროგრამის ადმინისტრირების ახალი წესი. კერძოდ, მითითებული წესისა და პირობების მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებით 3 წლის ვადაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ გაწეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიზანშეწონილად მიჩნევს განსაზღვროს მითითებული ბრძანების მოქმედების ფარგლები, კერძოდ, თავად ბრძანების სახელწოდებაც – „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, ცხადყოფს, რომ იგი არეგულირებდა მხოლოდ 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ ბრძანებით განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები არ ადგენდა წინა წლებში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესებსა და პირობებს. უფრო კონკრეტულად, უშუალოდ რევიზიის ვადებთან მიმართებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით განისაზღვრა, რომ რეგულირების სააგენტო უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა არა ბრძანების ამოქმედებამდე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სხვადასხვა წლებში მოქმედი პროგრამების ფარგლებში განხეულ მომსახურებათა რევიზია, არამედ უზრუნველყოფით უშუალოდ 2011 წლის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ განხეული მომსახურების სანაცვლოდ უკვე ანაზღაურებული შემთხვევების რევიზია შემდგომი 3 წლის განმავლობაში. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოხსენებული ბრძანების ამოქმედების მომენტისათვის მოპასუხეს უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, რის გამოც მის მიმართ მოხმობილი დანაწესი ვერ გავრცელდებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება თავისი ბუნებით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ

აქტს, რომელიც ექვემდებარება ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გასაჩივრებას. ამგვარი შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, სამედიცინო დაწესებულებას სადაც არ გაუხდია 3-წლიანი ვადით რეგულირების სააგენტოს რევიზიის უფლებით აღჭურვის დამდგენი წორმა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პროგრამის ადმინისტრირების ზოგად წესსა და პირობას, სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც შესაძლოა ამ ნორმის უშუალოდ მის მიმართ გავრცელებას სამომავლოდ გამოეწვია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ 2011 წლის პროგრამის მოქმედების მთელს პერიოდზე ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება ჰქონდათ განეხორციელებინათ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების რევიზია ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება აღნიშნულ პერიოდზე ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №ბს-590-590(კ-18) გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადა დაკავშირებული გადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყოველ კონკრეტულ სამართალუროთიერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლება და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკავშირდების შესაძლებლობას, რის შედეგადაც განსახილველი უფლების ჭრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს.“

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს

ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტილისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს იმის დადგენა, როდის უნდა დაწყებულიყო 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევებისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნის წარმოშობა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, კერძოდ, პირის მიერ საკუთარი უფლების დარღვევის ფაქტის შეტყობასთან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამედიცინო დაწესებულების ინსპექტორებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამოვლენისათვის. ასეთი შემოწმების გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, შეიტყოს სამედიცინო დაწესებულების მიერ სახელშეკრულებო პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შესახებ. ამდენად, რევიზიისათვის განკუთვნილი 3-ნლიანი ვადა ითვლება უფლების შესაძლო დარღვევის შეტყობის პერიოდად, ასეთი რევიზიის განხორციელების შემდგომ კი, წარმოშობა მიმზოდებლის მიერ დაკისრებული საძრევების შესრულების ვალდებულება (ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებუ-

ლია უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება ალიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა), ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, იწყება სასამართლოსათვის მიმართვის 3-ნლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების ნაწილში წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, რამდენადაც პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო 2012 წლის 4 მაისსა და ამავე წლის 30 მაისს გამოცემული ბრძანებების საფუძველზე, უფლებამოსილი იყო აღნიშნულ პერიოდზე განეხორციელებინა სახელშეკრულებო ვალდებულებების ინსპექტირება და ამ გზით შეეტყო, დაარღვით თუ არა სამედიცინო დაწესებულებამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ბრძანება ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულების მხრიდან დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულების 30-დღიან პერიოდს. ამდენად, უფლების დარღვევის და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად უნდა ჩაითვალოს ის დრო, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარისათვის ცხადი გახდა შეორე შეხარის მხრიდან ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული საჯარიმო სანქციების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებებას შესაბამისი თანხის გადახდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შემოწმების შედეგად 2012 წლის 30 მაისისა და 2012 წლის 9 ივნისის შემოწმების აქტების საფუძველზე მოეთხოვა, პროგრამის მიმწოდებლის მხრიდან დაკისრებული სანქციების შეუსრულებლობის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა აღნიშნული საჯარიმო სანქციების ნებაყოფლობითი შესრულებისათვის დადგენილი 30-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი კი სასამართლოს წარედგინა 2015 წლის 22 მაისს, 2011 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების მიზნებისათვის, სარჩელის წარდგენის 3-ნლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღოს საკასაციო სასამართლოს განმარტებები 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ნაწილში წარმოდგენილი სასარ-

ჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი სარჩელი 2011 წლის პროგრამების ადმინისტრირების ნაწილში არ იქნა ხანდაზმულად მიჩნეული, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში უნდა იმსჯელოს წარდგენილი სარჩელის მატერიალური საფუძვლი-ანიბა-დასაბუთებულობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საპროცესო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდ და არ საჩივრდება.

**ქურდობით მიყენებული მატერიალური ზიანის
მომსახურების ხელშეკრულების საერთო საფასურიდან
უპირობოდ გამოქვითვა**

**გადაცემის დღე
საერთო დოკუმენტი**

№ბს-669(კ-20)

24 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ა. წულაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 16 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ერთი მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა (შემდგომში „შემსრულებელი“) და მეორე მხრივ, სს „...ას“ შორის 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებულ იქნა №შს/17-175(2121) ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა ...ის ობიექტების დაცვა, საბილეთო სალაროების სიგნალიზაციით მომსახურება და საღარისების ინკასაცია (შემდგომში „მომსახურება“). აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა დღგ-ის ჩათვლით არაუმეტე 10 589 924.16 ლარს. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისად, „ანგარიშსწორება“ მიმწოდებელთან განხორციელდებოდა ყოველთვიურად, არასრული თვის შემთხვევაში კი, მომსახურების ღირებულება ანაზღაურდებოდა მომსახურების განეულ დღეთა პროპორციულად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და შემსყიდველისთვის წარდგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო 7.4. პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორებისთვის წარედგინა შემდეგი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტი, ცნობები განეული მომსახურების შესახებ, საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ხელშეკრულების მიხედვით, ...ას დაერიცხა 2017 წლის

დეკემბრის ინკასაციის მომსახურების საფასური 10 300 ლარის ოდენობით, საიდანაც მოპასუხებ გადაიხადა მხოლოდ 8 015.52 ლა-რი. შესაბამისად, მოსარჩევე მიიჩნევს, რომ სს „...ას“ დეპარტა-მენტის მიმართ წარმოეშვა დავალიანება 2 284.48 ლარის ოდენო-ბით.

ამდენად, მოსარჩევებ მოპასუხე სს „...ისათვის“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტა-მენტის სასარგებლოდ 2284.48 ლარის გადახდის დაკისრება მოით-ხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტა-მენტის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე სს „...ას“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტა-მენტის სასარგებლოდ 2 284.48 ლარის გადახდა დაეკისრო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ერთი მხრივ, საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა (შემდგომში „შემსრულებელი“) და, მეორე მხრივ, სს „...ას“ შორის 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებულ იქნა №შს/17-175(2121) ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, დაცვის პოლი-ცია იღებდა ვალდებულებას ...ის ობიექტების დაცვის თაობაზე, ასევე ვალდებულებას, განეხორციელებინა საბილეთო სალაროე-ბის სიგნალიზაციით მომსახურება და სალაროების ინკასაცია (შემ-დგომში „მომსახურება“). ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად „დამკვეთს“ უნდა გადაეხადა დაცვის მომსახურების საფასური ყო-ველთვიურად, არასრული თვის შემთხვევაში კი, მომსახურების ღი-რებულება უნდა ანაზღაურებულიყო მომსახურების განეულ დღე-თა პროპორციულად.

2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-175(2121) ხელშეკ-რულების მიხედვით, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან უნდა გან-ხორციელებულიყო ყოველთვიურად, არასრული თვის შემთხვევა-ში მომსახურების ღირებულება ანაზღაურდებოდა მომსახურება-განეულ დღეთა პროპორციულად, შესაბამისი თვის მიღება-ჩაბა-რების აქტის (დედანი) შედგენიდან და შემსყიდველისათვის წარ-დგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ სს „...ას“ სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიცი-ის დეპარტამენტის მიმართ 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-177(2121) ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 16 აპრილის მდგომარეობით ერიცხებოდა ინკასაციის, 2017 წლის დე-კემბრის თვის დებიტორული დავალიანება – 2 284.48 ლარი.

სასამართლომ განმარტა, რომ უფლება-მოვალეობა კეთილსინ-დისიერად განხორციელებულად ითვლება იქამდე, სანამ საწინა-აღმდეგო არ დადასტურდება, შესაბამისად, არსებობს კეთილსინ-დისიერი ქცევის პრეზუმუტულია. კრედიტორი, უფლებამოსილია, ვალ-დებულების ძალით, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შეს-რულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (საქართველოს სამო-ქალაქო კოდექსის 316.1 მუხლი), ხოლო კანონის ძალით – თავისი უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.2 მუხლი). ამდენად, სა-სამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს ეკისრებათ არა მხოლოდ კა-ნონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებე-ბის კეთილსინდისიერად შესრულების, არამედ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ერთმანეთის უფლე-ბებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესებისათვის პატი-ვისცემის ვალდებულება. ამდენად, ვალდებულების კეთილსინდი-სიერი შესრულება გულისხმობს არა მხოლოდ კანონით ან ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, არა-მედ ყველა იმ დამატებითი უფლება-მოვალეობების განუხრელად დაცვას, რაც ვალდებულების შინაარსიდან პირდაპირ არ მომდინა-რეობს, თუმცა, კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის გათვა-ლისწინებით, იგულისხმება. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნუ-ლი სტანდარტი სხვა არაფერია, თუ არა მეორე მხარის უფლებები-სა და ინტერესების იმ ფარგლებში პატივისცემა, რა ფარგლებშიც კონტრაპენტის მისი უფლებისა და მოვალეობების პატივსცემის გო-ნივრული მოლოდინი ჰქონდა. გონივრულ მოლოდინს მიღმა სტან-დარტი კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად არ განიხი-ლება.

სასამართლომ, ასევე, აუცილებლად მიიჩნია მოცემული სადა-ვო სამართალურთიერთობის შეფასებისას განემარტა საქართვე-ლოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწი-ლის შესაბამისად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შეს-რულების ვადა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდე-ბულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთ-ხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვ-ნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას.

სასამართლომ განმარტა, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვით-ვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებ-რივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება, მისი ქმე-დითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნა-

თა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არა-სადავოობაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. ამდენად, სადავოობის შემთხვევაში, გაქვითვა შესაძლებელია დავის გადაწყვეტის შემდგომ.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ყოფილა დადასტურებული მოსარჩევე მხარის მიერ და იმის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენდა სადავო ვალდებულებას, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია შესაძლებელი იყო სასამართლო განხილვის გზით დადასტურებით, იმისათვის, რომ მოპასუხეს სასამარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად გამოეყენებინა თავისი უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უნდა მოეთხოვა ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით შესაბამისი სარჩელის (შეგებებული სარჩელის) წარდგენით. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის ან განცხადების წარდგენის გზით დაიწყონ წარმოება კონკრეტული უფლებისა თუ ინტერესის დასაცავად, თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და თუ რა ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-189-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეს უფლება აქვს აღძრას შეგებებული სარჩელი მოსარჩელის მიმართ შესაბამისი მოთხოვნით და ის სასამართლოს მიერ მიღებული იქნება თუ: а) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, მოპასუხე მხარის მითითება ურთიერთგაქვითვასთან მიმართებით ვერ იქნებოდა გაზიარებული.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებს წარმოეშვათ ამავე ხელშეკრულებებით გათვა-

ლისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და თავად სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოსარჩევე მხარის ახსნა-განმარტებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყო ...ის ობიექტების დაცვა, საბილეთო სალაროების სიგნალიზაციით მომსახურება და სალაროების ინკასაცია. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარე თავს არიდებდა და არ იხდიდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ დავალიანების თანხას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი საფუძვლიანი იყო, იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხე სს „...ას“ მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ჯამში 2 284.48 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სს „...ის“ სააპელაციო საჩივრაში არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სს „...ას“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-177(2121) ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 16 აპრილის მდგომარეობით ერიცხება ინკასაციის, 2017 წლის დეკემბრის თვის დებიტორული დავალიანება – 2284.48 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, მოპასუხე მიუთითებდა იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო მოსარჩელისათვის გადასახდელი თანხის გაქვითვა. აღნიშნულს ასაბუთებდა იმით, რომ მხარეებს შორის 2017 წლის 27 ივნისის გაფორმებული №შს/17-175 ხელ-

შეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტებით დაცვის პოლიციამ გამოავლინა ნება, რომ თუ ქურდობით გამოწვეული ზიანი წარმოიშობოდა, მოხდებოდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (უპირობოდ). სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტი განმარტავდა, რომ დადასტურდა ქურდობის ფაქტი (რომლის მტკიცებულებებიც მოცემულია საქმეში), შესაბამისად, დადასტურდა ზიანი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევდა, რომ სს „...ის“ მიერ 2017 წლის დეკემბრის თვის მომსახურების ლირებულებიდან გამოქვითულ იქნა 2017 წლის აგვისტოში ...ის ...ში ...ისათვის ქურდობით მიყენებული შატერიალური ზარალის ოდენობა, რამაც მთლიანობაში დღგ-ის ჩათვლით შეადგინა 2 284.48 ლარი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვასთან დაკავშირებით და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი წინაპირობა: ორივე პირი ერთმანეთისათვის ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც, ე.ი. ორივეს ერთმანეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება და ასევე დამდგარი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს ორი წინაპირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე, მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულების გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ამ ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი) კონკრეტულ დავაზე ვერ გავრცელდებოდა, რადგან მოსარჩევე მხარს არ უჭერდა გაქვითვას, ე.ი. არ არსებობდა მისი ნება, რაც აუცილებელი პირობა იყო ამ ნორმით ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის საგალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება, მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღე-

ბასა და გასაქვითი ვალდებულების არასადაცონბაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადაცოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. ამდენად, სადაცონბის შემთხვევაში, გაქვითვა შესაძლებელია დავის გადაწყვეტის შემდგომ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და სს „...ას“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ მართებულად დაკაიისრა 2 284.48 ლარის გადახდა. თავის მხრივ, პეტანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც, შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი მოტივაცია არ ქმნიდა სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა სს „...ას“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მსგავსი კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, ზედაპირულად მიიღო განჩინება მოცემულ საქმეზე, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 იანვრის №ბს-371-371(კ-18) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ დაადგინა სს „...ასა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის „დაცვის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ერთგვაროვანი დავების გადაწყვეტის სამართლებრივი გარემოებები.

კასატორი მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ

გარემოებებზე, კერძოდ, სს „...ა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-175 ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე. ხელშეკრულების თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი იკისრა სს „...ის“ ობიექტების დაცვის, ინკასაციისა და საბილეთო სალაროების სიგნალზაციის მომსახურების ვალდებულება. ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის 3.5.5 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს ხელშეკრულების დანართ №2-ში აღნიშნულ ობიექტზე შემსყიდვების მიერ აღმოჩენილი მატერიალური აქტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით და დაზიანებული ნივთის საბაზრო ღირებულება, გარდა „ფორსმაჟორული“ სიტუაციით მიყენებული ზიანისა. ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-9 მუხლის 9.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს ხელშეკრულების დანართ №2-ში აღნიშნულ ობიექტზე შემსყიდვების მიერ აღმოჩენილი ქურდობით გამოწვეული მატერიალური აქტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით და დაზიანებული ნივთის საბაზრო ღირებულება, გარდა „ფორსმაჟორული“ სიტუაციებით მიყენებული ზარალისა. ამავე პუნქტის 9.2 ქვეპუნქტის თანახმად კი, შემსყიდვები (სს „...ა“) უფლებამოსილია უპირობოდ (უაქცეპტო წესით) გამოქვითოს მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხის 9.1 პუნქტში მითითებული მიზეზით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, მიმწოდებლისათვის წერილობით პრეტენზიის წარდგენიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

კასატორის განმარტებით, 2017 წლის 23 აგვისტოს, ...ის ...ო...ში, რომელიც შედის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 9.1 პუნქტით ადგილი ჰქონდა ქურდობის ფაქტს, კერძოდ, ... №...-დან დაუდგენელი პირების მიერ მოპარულ იქნა სხვადასხვა ფერადი ლითონის შემცვლელი მარაგი ნაწილები. ქურდობის ფაქტის შესახებ ...იდან წერილობით ეცნობა დაცვის პოლიციის ხაშურის სამმართველოს და იმავე დღეს შედგა აქტი დაცვის პოლიციის წარმომადგენლის მონაწილეობით. აღნიშნულ ფაქტზე ამავე დღეს შსს ხაშურის რაიონული პოლიციის სამმართველოს მიერ აღძრულ იქნა №030230817001 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანამაჟლის (ქურდობის, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარული დაუფლების) ფაქტზე.

კასატორის მითითებით, აღნიშნული ქურდობის შედეგად,

...ისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა აუდიტორულ-საკონსულტაციო კორპორაცია „...ის“ 2017 წლის 4 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, შეადგინა 1936 ლარი დღგ-ის გარეშე, ხოლო დღგ-ის ჩათვლით – 2 284.48 ლარი. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ...ას სრული უფლება ჰქონდა მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი უპირობოდ გამოექვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომა არ იყო უფლებამოსილი, მატერიალური ზიანის თანხა გამოექვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან, ვინაიდან მას არ ჰქონდა თანხმობა აღნიშნულზე. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემული განმარტება არ შეესაბამება არც ფაქტობრივ გარემოებებს და არც უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიურ დავასთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებს. კერძოდ, კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 იანვრის №ბე-371-371(კ-18) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე, მათ შორის, შესაბამისი პირობების დადგომისას სს „...ის“ მიერ მისთვის მიყენებული ზარალის უაქცეპტო წესით გაქვითვის უფლებამოსილებაზე, სააპელაციო პალატის მსჯელობა სს „...ის“ მიერ შეგებებული სარჩელის არარსებობის გამო, გამოქვითული თანხის დაკისრების თაობაზე, არ შეესაბამება მხარეთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომლის კანონიერება არ არის სადაც და მხარეები არ მიუთითებენ მისი სრულად ან ნაწილობრივ ბათილობის შესახებ.“

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 და 9.2 პუნქტები (რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაფორმების დროს და ისინი სადაც ვოდ არასდროს გაუხდიათ) არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლს და მეტიც, გამომდინარეობს აღნიშნული მუხლიდან. კასატორი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტებით დაცვის პოლიციამ გამოავლინა ქურდობით გამოწვეული ზიანის წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთმოთხოვნათა უპირობოდ გაქვითვის ნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3

ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული სს „...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით სს „...ის“ საკასა-ციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაი-ნიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილ-დეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დე-პარტამენტის სარჩელი არ უნდა დაემაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ერთი მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტა-მენტსა (შემდგომში „შემსრულებელი“) და, მეორე მხრივ, სს „...ის“ შორის 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებულ იქნა №შს/17-175(2121) ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, დაცვის პოლიცია იღებდა ვალდებულებას ...ის ობიექტების დაცვის თაობაზე, ასევე ვალდე-ბულებას, განეხორციელებინა საბილეთო სალაროების სიგნალიზა-ციით მომსახურება და სალაროების ინკასაცია (შემდგომში „მომ-სახურება“). ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად „დამკვეთს“ უნდა გადაეხადა დაცვის მომსახურების საფასური ყოველთვიუ-რად, არასრული თვის შემთხვევაში კი, მომსახურების ღირებულე-ბა უნდა ანაზღაურებულიყო მომსახურების განეულ დღეთა პრო-პორციულად.

2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-175(2121) ხელშეკ-რულების მიხედვით, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან უნდა გან-ხორციელებულიყო ყოველთვიურად, არასრული თვის შემთხვევა-ში მომსახურების ღირებულება ანაზღაურდებოდა მომსახურება-განეულ დღეთა პროპორციულად, შესაბამისი თვის მიღება-ჩაბა-რების აქტის (დედანი) შედგენიდან და შემსყიდველისათვის წარ-დგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

ამასთან, საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქ-ლაქო სასამართლოს მიერ უდაცვოდ დადგენილ ფაქტობრივ გარე-მოებად იქნა დადგენილი და შემდგომში, გასაჩივრებულ განჩინე-

ბაში სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე უდავო ფაქტობრივ გარემონებად იქნა ასახული, რომ სს „...ას“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-177(2121) ხელ-შეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 16 აპრილის მდგომარეობით ერიცხებოდა, ინკასაციის, 2017 წლის დეკემბრის თვის დებიტორული დავალიანება – 2 284.48 ლარი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა წარმოშობილია მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლის საფუძველზეც, სს „...ამ“ იკისრა ვალდებულება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ლირებულება. საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის სადავოდ იქცა 2 284.48 ლარი, როგორც მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადაუხდელი მომსახურების თანხა, თუმცა განსხვავებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისაგან, რომელიც სარჩელში მიუთითებს, რომ მოპასუხეს მის მიმართ გააჩნია დავალიანება მოთხოვნილი თანხის ოდენობით, კასატორი – სს „...ა“ მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება ჰქონდა დაცვის პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე მომხდარი ქურდობის შემთხვევით გამოწვეული დანაკლისი სარჩელით მოთხოვნილი თანხის ოდენობით უაქცეპტო ფორმით გამოექვითა მომსახურების საერთო ღირებულებიდან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ევედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ მოსარჩელის მიმართ სს „...ის“ დავალიანების არსებობის უდავო ფაქტობრივ გარემონბად მიჩნევას და აღნიშნულის საპირისპიროდ, განმარტავს, რომ სწორედ დავალიანების არსებობა-არარსებობის ფაქტი იყო ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელზე სადავოობამაც გამოიწვია მხარეთა შორის დავის წარმოშობა. ამასთან, ხსენებული გარემოება წარმოადგენს არა სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილ და მხარეთა შორის სადავოდ ქცეულ რიგით ფაქტობრივ გარემონბას, არამედ ისეთ საკითხს, რომელთან დაკავშირებით მხარეთა შეუთანხმებლობასაც უშუალოდ შედეგად მოჰყვა მხარეთა შორის დავის წარმოქმნა. აქვე, ყურადსალებია დავალიანების არარსებობასთან დაკავშირებით მოპასუხის მტკიცება, კერძოდ, სს „...ა“ მიუთითებს, რომ მის ობიექტებზე მომხდარი ქურდობის შემთხვევის გამო, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სადავო თანხა ამავე ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან უაქცეპტო ფორმით გამოიქვითა.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ და-
ვასთან მიმართებით გამართული სამართალნარმოება მთლიანად
ემსახურება იმ საკითხის გამორკვევას, გააჩნია თუ არა სს „...ას“
მოსარჩელის მიმართ დავალიანება. მითითებული საკითხის გადა-
საწყვეტად კი, არსებითია დადგინდეს, ხელშეკრულების თანახ-
მად, ჰქონდა თუ არა მოპასუხე სს „...ას“ მომსახურების საერთო
ლირებულებიდან სარჩელით მოთხოვნილი თანხის გამოქვითვის
უფლება. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხარე-
თა შორის უდავოა მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ სარჩელით მოთხოვ-
ნილი თანხს მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ გადაუხდია, თუმცა
საკითხი იმის შესახებ, აღნიშნული თანხა წარმოადგენს თუ არა და-
ვალიანებას, დამოკიდებულია სს „...ის“ მხრიდან ხსენებული თან-
ხის გამოქვითვის უფლების არსებობა-არარსებობაზე, რაც საქმეს-
თან დაკავშირებული ფაქტორივი გარემოებების მართებული სა-
მართლებრივი შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინის-
ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის
„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული და-
ვის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების და-
დება, შესრულება ან შეწყვეტა. ამავე კოდექსის 25¹ მუხლის მე-2
ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ადმინისტრაციული
ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან
დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მი-
ერ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით. ამასთან, ად-
მინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიცია ასახულია საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი
ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული
ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო
უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იური-
დიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და-
დებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ, სსიპ დაცვის
პოლიციის დეპარტამენტსა და, მეორე მხრივ, სს „...ას“ შორის 2017
წლის 27 ივნისს გაფორმებული №შს/17-175(2121) ხელშეკრულება
წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შეს-
რულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები უნდა გადაწ-
ყდეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით. საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრა-
ციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის
ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწი-

ნებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლება-მოსილია მოსთხოვოს მოვალეს რამე მოქმედების შესრულება. ამა-ვე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ვალდებუ-ლება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათ-ქმულ დროსა და ადგილას.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გა-რემოვებას, რომ ...ას სსაპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათ-ვის სრულად არ გადაუხდია 2017 წლის 27 ივნისის №შს/17-175(2121) ხელშეკრულების მომსახურების საფასური და მიუთითებს, რომ მან საერთო ღირებულებიდან გამოქვითა ...ისში ...ზე მომხდარი ქურდობის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, რომელმაც აუდიტორულ-საკონსულტაციო კორპორაცია „...ის“ 2017 წლის 4 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, დღვ-ის ჩათვლით შეადგინა 2 284.48 ლარი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადაცო, გააჩნდა თუ არა სს „...ას“ ქურდობით მი-ყენებული მატერიალური ზიანის მომსახურების ხელშეკრულების საერთო საფასურიდან უპირობოდ (უაქცეპტო ფორმით) გამოქვით-ვის უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარეებს შორის გაფორ-მებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.3 მუხლის თა-ნახმად, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებე-ბის არაჯეროვანი ან არაკეთილსინდისიერი შესრულების გამო შემ-სყიდველისათვის მიყენებულ ზიანს სრულად ანაზღაურებს მიმ-ნოდებელი.

ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.5.5 მუხლი-სა და 9.1 მუხლის თანახმად, მიმზოდებელი ვალდებულია უპირო-ბოდ ანაზღაუროს ხელშეკრულების დანართი №2-ში აღნიშნულ ობიექტებზე შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი მატერიალური აქ-ტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით და დაზია-ნებული ნივთის საბაზრო ღირებულება, გარდა „ფორსმაჟორული“ სიტუაციებით მიყენებული ზარალისა. ამასთან, ამავე ხელშეკრუ-ლების 9.2 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილია უპი-რობოდ (უაქცეპტო წესით) გამოქვითოს მიმწოდებლისათვის ასა-ნაზღაურებელი თანხიდან 9.1 პუნქტში მითითებული მიზეზით მი-ყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, მიმწოდებლისათვის წე-რილობითი პრეტენზიის წარდგენიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კო-დექსის 442-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ორ

პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება, თუმცა საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმის დისპოზიცია უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მხარეთა ურთიერთმოთხოვნები არა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, არამედ ორმხრივი ხელშეკრულებით გაიქვითოს. მართალია, აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო დანაწესებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი პირდაპირ არ შეიცავს, თუმცა ნების ავტონომიის პრინციპის შუქქვეშ მოაზრებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი აბსოლუტურად დასაშვებს ხდის მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის საკითხის სახელშეკრულებო დონეზე მოწესრიგებას.

საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის გზით შეწყვეტისათვის ნორმის ზოგადი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მოთხოვნათა შესრულების ვადა დამდგარი იყოს. თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საგამონაკლისო რეჟიმს, როდესაც ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია შესრულების ვადის დადგომამდე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის გახმარტებას მასზედ, რომ ამ ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი) განსახილველ დავზე ვერ გავრცელდებოდა, რადგან მოსარჩელე მხარს არ უჭერდა გაქვითვას, ე.ი. არ არსებოდდა მისი ნება, რაც აუცილებელი პირობა იყო ამ ნორმით ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სავალდებულო პირობად ადგენს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვასთან მიმართებით არა მხოლოდ რომელიმე მხარის მიერ ნების გამოვლენას, არამედ, ასევე, მეორე მხარის მიერ გამოვ-

ლენილ ნებაზე თანხმობის გაცხადებას. ამგვარი რეგულირება სა-გამონაკლისო რეჟიმის ამოქმედებას, ფაქტობრივად, ორივე მხა-რის მიერ ნების გამოვლენას უქვემდებარებს. შესაბამისად, ურ-თიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობაზე ხელშეკრულე-ბით მხარეთა ორმხრივი შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილის საგამონაკლისო რეჟიმის ნაირსახეობად უნდა იქნეს მიჩნეული, ორმლის საფუძველზეც, მხა-რებს ენიჭებათ სახელშეკრულებო თავისუფლება ორმხრივი შე-თანხმების გზით

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარეთა შორის გაფორმე-ბული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით (3.5.5 და 9.1 მუხ-ლებით) სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა თანხმობა განაც-ხადა ხელშეკრულების №2 დანართში გათვალისწინებულ ...ის ობი-ექტებზე შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი მატერიალური აქტი-ვების დანაკლისს (გარდა „ფორმსმაჟორული“ სიტუაციებით მიყე-ნებული ზარალისა) საპაზრო ფასის გათვალისწინებით მომსახუ-რების საფასურიდან უპირობოდ (უაქცეპტო წესით) გამოქვითვის შესაძლებლობაზე. ამდენად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენ-ტი უშუალოდ ...ის ობიექტებზე დანაკლისის აღმოჩენის შემდგომ, მართალია, არ დაეთანხმა ზარალის მომსახურების საერთო საფა-სურიდან გამოქვითვას, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს ჯერ კიდევ სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბების ეტაპზე წინასანარ ჰქონდა გამოხატული ცალსახა ნება ურთიერთმოთხოვ-ნათა უპირობო (უაქცეპტო წესით) გაქვითვის თაობაზე, რაც მას სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში, ავალდებულებდა ემოქმე-და სახელშეკრულებო დათქმების შესაბამისად. აქვე, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ 2017 წლის 27 ივნისის №შს/17-175(2121) მომსახურების ხელშეკრულება ძალაშია და მი-სი კანონიერება მხარეთა შორის სადაც არ გამხდარა, კერძოდ, მხარეებს არ მიუთითებით ხელშეკრულების ან მისი რომელიმე კონკრეტული პირობის ბათილობის შესახებ.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხა-რეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 27 ივნისის მომსახურების ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, საკასაციო სასამარ-თლო მიიჩნევს, რომ რამდენადაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარ-ტამენტმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულების ჯეროვნად შესრულება, კერძოდ, ...ის განსაზღვრული ობიექტის დაცვა, რამაც სს „...ას“ მიაყენა მატერიალური ზიანი, ხელშეკრულების 3.5.5 და 9.2 მუხლების თანახმად, სს „...ა“ უფლე-ბამოსილი იყო მიყენებული ზიანის ოდენობა (საპაზრო ღირებუ-ლების გათვალისწინებით) უპირობოდ (უაქცეპტო წესით) გამოექ-

ვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურიდან.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იდენტურ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჩამოყალიბებული აქეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და მიღვიმები. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 იანვრის №ბს-371-371(კ-18) გადაწყვეტილებით სს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე, მათ შორის შესაბამისი პირობების დადგომისას სს „...ის“ მიერ მისთვის მიყენებული ზარალის უაქცევტო წესით გაქვითის უფლებამოსილებაზე, სააპელაციო პალატის მსჯელობა სს „...ის“ მიერ შეგებებული სარჩელის არარსებობის გამო, გამოქვითული თანხის დაკისრების თაობაზე, არ შეესაბამება მხარეთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომლის კანონიერება არ არის სადაცვო და მხარეები არ შეუთითებენ მისი სრულად ან ნაწილობრივ ბათილობის შესახებ“.

განსახილველ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ სახელშეკრულები ვალდებულებათა დარღვევა, ხელშეკრულების მხარემ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე, განსაზღვრული ობიექტების დაცვა, რის შედეგადაც სს „...ას“ მიადგა მატერიალური ზიანი. შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 2 ივლისის ხელშეკრულების 9.2 პუნქტის თანახმად, სს „...ა“ უფლებამოსილი იყო უაქცევტო წესით გამოექვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გადასახდელი თანხებიდან მიყენებული ზიანის ოდენობა“.

ამასთან, საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს პასუხისაცეს მონინაალმდეგე მხარის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საკასაციო შესაგებელში გამოთქმულ პოზიციას, კერძოდ, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსაზრებით, განსახილველ საქმესთან მიმართებით კასატორი არასწორად იშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილულ №ბს-371-371(კ-18) საქმეს, როგორც იდენტურ საქმეზე მი-

ღებულ გადაწყვეტილებას. საკასაციო შესაგებელში მითითებულია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს აღებული ჰქონდა არა მხოლოდ ...ის ობიექტების დაცვის, არამედ, აგრეთვე, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების ინკასაციის ვალდებულება. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის განმარტებით, ნარმოდენილ სარჩელზე დართულია ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ხელშეკრულება შეასრულა ჯეროვნად ინკასაციის ნაწილში, თუმცა მიუხედავად ამისა, ...ამ განეული ინკასაციის მომსახურების საფასური სრულად არ ჩარიცხა. რაც შეეხება ობიექტების დაცვის მომსახურების ნაწილს, ...ამ მომსახურების ...ის ობიექტების დაცვის საფასური სამმართველოს გადაუხადა სრულად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ზემოთმითითებულ არგუმენტაციას და მის საპირისპიროდ განმარტავს, რომ მართალია, 2017 წლის 27 ივნისის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მომსახურება, რომელიც, თავის მხრივ, ...ის ობიექტების დაცვასთან ერთად მოიცავდა საბილეთო სალაროების სიგნალიზაციით მომსახურებასა და სალაროების ინკასაციის პროცედურების ჩატარების ვალდებულებასაც, თუმცა ხელშეკრულების თანახმად, განეული ყოველი კონკრეტული ტიპის მომსახურებისათვის ანგარიშსწორება სს „...ის“ მიერ უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან წარმოებდა. ამდენად, გადამზყვეტი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება იმას, თუ ტექნიკურად რომელი მომსახურებისათვის იქნა თანხა სრულად გადახდილი და რომელი მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხიდან იქნა გამოქვითული სს „...ის“ ობიექტებზე აღმოჩენილი მატერიალური ფასეულობების დანაკლისი. ფაქტია, რომ მომსახურების ღირებულების ადრესატი ყველა შემთხვევაში იყო ერთი – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. ამასთან, საკასაციო პალატა არასაკმარისად მიიჩნევს მარტო-ოდენ მომსახურების მოცულობის განსხვავებულობის საფუძვლით განსახილველ დავასთან შიმიართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-371-371(კ-18) გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტებების გამოყენების დაუშვებლობის მტკიცებას. რამდენადაც ორივე შემთხვევაში სადავო იყო ...ის ობიექტზე მომხდარი ქურდობის გამო ...ისათვის მიყენებული ზარალის (მატერიალური ფასეულობების დანაკლისის) მომსახურების საფასურიდან გამოქვითვის შესაძლებლობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოხმობილ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა სრულად შეესატყვისება განსახილველი დავის სპეციფიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ სს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩი-ნება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიცი-ის დეპარტამენტის სარჩელი არ უნდა დაქმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-გან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთ-ხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილე-ბით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთ-ხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწე-ულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწ-ყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმტეს დავის საგნის ღირებულების 4 პრო-ცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილვე-ლი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათ-ვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლი-ციის დეპარტამენტს სს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მო-პასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისათ-ვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდათი) ლარი-სა და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახ-დილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება, სულ – 450 (ოთხას ორმოცდათი) ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ დ ვ ი ლ დ ე ბ ა:

1. სს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩევი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩევეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაეკისროს მოპასუხის – სს „...ის“ მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდათი) ლარი-სა და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება, სულ – 450 (ოთხას ორმოცდათი) ლარის ოდენობით;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უსასყიდლო უზუფლუების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პრეცედენტის კანონის გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1016(კ-20)

21 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2018 წლის 31 ივლისს ა(ა)იპ ...მა სასარჩევო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

ლი სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, ...ი არის 1926 წელს დაფუძნებული ყრუ-მუნჯთა კავშირის სამართალმემკვიდრე და 50-იანი წლები-დან ფლობს მიწის ნაკვეთებს მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთებზე ფუნქციონირებდა შრომითი რეაბილიტაციის ცენტრები, რომლებიც რეესტრში რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრად, რომლის 100%-იანი წილით დამფუძნებელი არის 2009 წლიდან 2011 წლამდე მიწის ნაკვეთების 90% საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული იქნა ...ის სახელზე. დარჩენილი 10%-ის დაკანონება ვერ მოხერხდა დოკუმენტაციის განადგურების გამო. ვინაიდან ...ს მწირი შემოსავლის გამო არ შეეძლო მითითებული მიწის ნაკვეთების აუქციონის წესით შეძენა, მიმართა საქართველოს მთავრობას მიწის ნაკვეთების უსასყიდლო უზუფრუქტით მფლობელობაში გადაცემის თაობაზე, რაზედაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცა დარჩენილი მიწის ნაკვეთები ა(ა)იპ ...ისთვის 15 და 49 წლის ვადით. ...ს გადაცემული მიწის ნაკვეთები გაცემული პქონდა იჯარის ხელშეკრულებით, რომლიდანაც შიღებულ შემოსავლებს ახმარდა სწორედ ორგანიზაციის. 2018 წლის 10 აპრილს მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ ჩატარებული მოკვლევის თანახმად ...ში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღმოჩნდა სასაფლაოები, რის გამოც ითხოვა შეთანხმების გაფორმება 2014 წელს დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულების ნაწილობრივ შეწყვეტის თაობაზე, რაც 2018 წლის 12 ივლისს ხელშეკრულებით განხორციელდა, სადაც მითითებულია, რომ 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულება ...ში მდებარე მიწის ნაკვეთის გარდა სხვა უძრავ ქონებებთან მიმართებით ძალაში რჩებოდა. აღნიშნულის შემდგომ კი, სულ რაღაც ხუთ დღეში, მოსარჩელესთან უკათხავად სააგენტომ გამოსცა ბრძანება უზუფრუქტის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტის თაობაზე. მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოცემულია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რომელიც ზიანს აყენებს მათ, ვინაიდან მოპასუხემ დაიწყო ბრძანების აღსრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული მიწის ნაკვეთები კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა, ხოლო გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებები თავისითავად გაუქმებას ექვემდებარება, რაც კიდევ უფრო მძიმე ტეირთად აწვება მათ.

ამდენად, მოსარჩელემ „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებუ-

ლი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შენყვეტის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხის-თვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ა(ა)იპ ...ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინებით ა(ა)იპ ...ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადა-საწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა(ა)იპ ...ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და საქმე გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით ა(ა)იპ ...ის წარმომადგენლის სარჩელი, მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით, რომელიც შესაბამისობაში მოვიდოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულებასთან, დარჩა განუხილველი.

2019 წლის 27 ივნისს ა(ა)იპ ...მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო-სა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შენყვეტის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ...ის სარჩელი არ დაემაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2014 წლის 24 ივნისს სსიპ

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლითაც მესაკუთრე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ა(ა)იპ ...ს უსასყიდლო, უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადასცა ხელშეკრულების №1 დანართში მითითებული უძრავი ქონება 15 წლის ვადით, ხოლო ხელშეკრულების №2 დანართში მითითებული უძრავი ქონება – 49 წლის ვადით. ამავე ხელშეკრულების 2.1.7 პუნქტით განისაზღვრა, რომ „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია თავისი უფლებების განხორციელებისას არ დარღვიოს „მესაკუთრის“ უფლებები, ხოლო 2.2.1 პუნქტის შესაბამისად, „მესაკუთრის“ წერილობითი თანხმობით „ქონება“ ან მისი ნაწილი გასცეს იჯარის ან ქირავნობის უფლებით.

2015 წლის 27 აპრილს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსს მიმართა ...ის პრეზიდენტმა და წარადგინა 2015 წლის 1 აპრილის საიჯარო ხელშეკრულება.

2015 წლის 2 ივნისს ა(ა)იპ ...ს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ აცნობა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების თანახმად, უზუფრუქტუარს უფლება არ ჰქონდა სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება დაეტვირთა ან/და მესაკუთრეს-თან შეუთანხმებლად გაეცა სარგებლობის უფლებით. მითითებული ხელშეკრულების 4.2. მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ...ს დაეკისრა პირგასამტებლო 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან (2015 წლის 1 აპრილი) თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე სააგენტოს თანხმობის გაცემის დღემდე.

2018 წლის 4 ივლისის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №4/37788 წერილით ა(ა)იპ ...ს ეცნობა, რომ მესაკუთრის მიერ დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მიიჩნეოდა მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად, ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეცნიერებლო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2018 წლის 27 ივნისის №0011360620 მიმართვით ირკვეოდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლობის გადაცემული ზოგიერთი მინის ნაკვეთი უკანონოდ გასხვისდა მოქალაქეებზე სასაფლაოდ, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების 2.1.7

მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას. მოსარჩევეს მოპასუხის მიერ ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის პროცედურების დაწყების თაობაზე.

2018 წლის 19 ივლისის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის №1/1-1697 ბრძანებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის არსებული 2014 წლის 24 ივნისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეწყდა (ხელშეკრულების საგანი – ქ. ...ში, ...ის ქ. №7-ში მდებარე 13199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობები, ს.კ. ...; ქ. ...ში, ...ს ქუჩაზე მდებარე 7825 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№5 შენობა-ზაგებობები, ს.კ. ...; ქ. ...ში,ს ქუჩაზე მდებარე 2260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№3 შენობა-ნაგებობები, ს.კ. ...).

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 24 ივნისს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების 2.1.7 პუნქტით განისაზღვრა, რომ „უზუფრუქტური“ ვალდებულია თავისი უფლებების განხორციელებისას არ დაარღვიოს „მესაკუთრის“ უფლებები, ხოლო 2.2.1 პუნქტის შესაბამისად, „მესაკუთრის“ წერილობითი თანხმობით „ქონება“ ან მისი ნაწილი გასცეს იჯარის ან ქირავნობის უფლებით. მითითებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულების“ გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტურის“ დაეკისრება პირგასამტებლო ყოველი დარღვეული პირობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტური“ იღებს გაფრთხილებას, წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახადი პირგასამტებლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზედაც პირგასამტებლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი, ხოლო ხელშეკრულების 4.5 პუნქტის თანახმად, კი „მესაკუთრის“ მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, „უზუფრუქტურის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ პირობათა შეუსრულებლობა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მიიჩნევა „მესაკუთრის“ მიერ „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 27 აპრილს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსს მიმართა ...ის პრეზიდენტმა და ნარადგინა 2015 წლის 1 აპრილს ...ის შპს „ს...ასა“ და ე-ის შორის

გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება, რაზედაც 2015 წლის 2 ივნისს ა(ა)იპ ...ს ეცნობა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, უზუფრუქტუარს უფლება არ ჰქონდა სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება დაეტყორთა ან/და მესაკუთრესთან შეუთანხმებლად გაეცა სარგებლობის უფლებით და მითითებული ხელშეკრულების 4.2 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ...ს დაეკისრა პირგა-სამტებლო 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან (2015 წლის 1 აპრილი) თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე სააგენტოს თანხმობის გაცემის დღემდე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ა(ა)იპ ...ს არაერთხელ ეცნობა დაკისრებული ჯარიმის გადახდის თაობაზე და ასევე მიეცა ვადა პირგასამტებლოს გადასახდელად. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ უკანასკნელის მიერ არ მომხდარა დაკისრებული პირგასამტებლოს გადახდა, რაც მესაკუთრის მიერ მიჩნეული იქნა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანებით შეწყდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება (ხელშეკრულების საგანი ქ. ...ში, ...ის ქ. №7-ში მდებარე 13199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობები, ს.კ. ...; ქ. ...ში, ...ს ქუჩაზე მდებარე 7825 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№5 შენობა-ნაგებობები, ს.კ. ...; ქ. ...ში, ...ს ქუჩაზე მდებარე 2260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№3 შენობა-ნაგებობები, ს.კ. ...).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლომ განმარტა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უმთავრეს პრინციპს ნარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სამოქა-

ლაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. სასამართლოს მითითებით, ზოგადად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და მას უკავშირდება ვალდებულების შეწყვეტა და შესრულება. კანონმდებლობა განასხვავებს ვალდებულების ჯეროვან (სათანადო) და არაჯეროვან (არასათანადო) შესრულებას. არაჯეროვანია შესრულება, როდესაც ვალდებულება მოვალის მიერ მართალია, სრულდება, თუმცა შესრულებას ხარვეზი გააჩნია, რომ იგი არ შეესაბამება ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგების შინაარსსა და შესრულებით დაინტერესებული პირების მოლოდინს. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და როგორც წესი, შედეგად იწვევს ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელ დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეები ხელშეკრულების ყველა პირობაზე შეთანხმებული იყვნენ კანონით დადგენილი წესით, თუმცა მოსარჩელის მიერ მხარეთა შორის ხელშეკრულება არ შესრულდა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათემულ დროსა და ადგილას, კერძოდ, 2015 წლის 1 აპრილს ...ის შპს „ს...ას“ და ე. ე.-ის შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ არ იქნა გაფორმებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით, ასევე არ იქნა გადახდილი დაკისრებული პირგასამტებლო, რაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო აქტი მიღებული იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანება სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა მიჩნეული, არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების კანონით გათვალისწინებული სა-

ფუძველი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ...მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივნისის განჩინებით ა(ა)იპ ...ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით ყურადღება გააძვირილა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების 4.1 მუხლის შესაბამისად, სის 2 ივნისის №4/32578, 2015 წლის 2 ოქტომბრის №4/58471, 2015 წლის 19 ნოემბრის №4/67887, 2018 წლის 20 ივნისის №4/35046, 2018 წლის 4 ივლისის №4/37788 და 2018 წლის 30 ივლისის №4/42810 წერილებით ა(ა)იპ ...ს გაეგზავნა გაფრთხილება, თუმცა ა(ა)იპ ...ის მიერ დაკისრებული პირგასამტებლოს გადახდა არ მომხდარა, რის გამოც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება მასზედ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებითი ვადის დაწესებას ვალდებულების დარღვევისას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში რა ვალდებულება დაარღვია ...მა და რაში გამოიხატება იგი, მოსარჩელისათვის უცნობი იყო. რაც შეეხება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას. აპე-

ლანტისათვის მოცემულ შემთხვევაში გაუგებარი იყო ჰქონდა თუ არა სააგენტოს თავმჯდომარეს ეს უფლებამოსილება, თუ ჰქონდა, აპელანტის მოსაზრებით, მაშინ გამოდის, რომ მან დაარღვია ადმინისტრაციული წარმოების წესი, უხეშად გამოიყენა რა დისკრეციული უფლებამოსილება, არ დაიცვა საჯარო და კერძო ინტერესის პროპორციულობა, ყოველგარი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გააუქმა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი, როგორიც არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება უსასყიდლო უზუფრუქტის შესახებ, არ გაუთვალისწინებია მოსალოდნელი ზიანი და ...ის ინტერესები. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული მიმართვებით მათ ეცნობათ და მიეცათ ვადა პირგა-სამტკებლოს გადასახდელად, ამასთან, სააპელაციო პალატამ და-მატებით მიუთითა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 4 ივლისის №4/37788 მიმართვაზე ა(ა)იპ ...ისადმი, სადაც მითითებულია, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით 2.2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ვა-დაგადაცილებით შესრულებისათვის ხელშეკრულების 4.2. მუხლის თანახმად, დაკისრებული პირგასამტკებლონ ჯამში 3100 (სამი ათასი) ლარი გადახდილი არ არის (ხელშეკრულების 4.5 მუხლის თანახ-მად, მესაკუთრის მხრიდან დაწესებულ ვადაში პირგასამტკებლოს გადაუხდელობა, მიიჩნევა მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების (ცალმხრივ მოშლის საფუძვლად) და ამასთან, საქართველოს ფი-ნანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დე-პარტამენტის სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2018 წლის 27 ივნისის №0011360620 მიმართვის წერილით ირკვევა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლობის უფლებით გადმოცემული ზოგიერთი მინის ხაკვეთი უკანონოდ გას-ხვისდა მოქალაქეებზე სასაფლაოდ (რაც წარმოადგენს ხელშეკრულების 2.1.7. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარ-ღვევას) სააგენტო იწყებს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის პროცედურებს“, შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოს აღნიშნული მიმართვებით სააპელაციო სასამარ-თლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონე-ბის ეროვნულმა სააგენტომ მისცა შესაბამისი ვადა ხელშეკრულე-ბით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად და ამას-თან, ა(ა)იპ ...ისათვის (ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულების დარღ-ვის გამო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაწყებული იყო ადმი-ნისტრაციული წარმოება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის პროცედურების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარე-მოებაზე, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების გა-
მოცემის ერთ-ერთ საფუძველს ნარმოადგენდა საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დე-
პარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამართველოს 2018
წლის 27 ივნისის №0011360620 მიმართვის წერილი სსიპ სახელმწი-
ფო ქონების ეროვნული სააგენტოსადმი, რომლითაც დადგინდია,
რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსა-
ხურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის
სამართველოში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის
საქმეზე შპს „სა...ას“ ხელმძღვანელი პირების მხრიდან ჯგუფუ-
რად მართლასაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენო-
ბით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების მოტ-
ყუებით მიღების ფაქტზე, დანამატული გათვალისწინებული საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნა-
წილის „ა“ პუნქტითა და 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნ-
ქტით. 2014 წლის 17 ივნისს გამოიცა საქართველოს მთავრობის
№1090 განკარგულება ა(ა)იპ ...ისათვის უძრავი ქონების (ს/კ ...)
უსასყიდლო უზუფრუქტით უფლებით გადაცემის თანხმობის მი-
ცემის შესახებ, რის საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-
ნული სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორ-
მებული იქნა 15 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკ-
რულება. მოცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 4406
კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთიდან უკანო-
ნოდ გასხვისებული იქნა მოქალაქეებზე სასაფლაოსათვის მიწები
და მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ სადაც არ არის მიწების
უკანონოდ გასხვისების ფაქტი სასაფლაოებისათვის, რომელიც შე-
თანხმებული არ იყო მესაკუთრესთან, სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოსთან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე-
317-ე, 361-ე, 405-ე, 417-ე, 419-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მხა-
რები ხელშეკრულების ყველა პირობაზე შეთანხმებული იყვნენ
კანონით დადგენილი წესით, თუმცა აპელანტის/მოსარჩელის მი-
ერ მხარეთა შორის ხელშეკრულება არ შესრულდა ჯეროვნად, კე-
თილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, კერძოდ, 2015
წლის 1 აპრილს ...ის შპს „ს...ასა“ და ე. ე-ის შორის გაფორმებული
იჯარის ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ არ იქნა გაფორმებული
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით, ასე-
ვე არ იქნა გადახდილი დაკისრებული პირგასამტებლო და მოხდა
მიწის ნაკვეთის გასხვისება კერძო პირებზე სასაფლაოდ გამოყე-
ნების მიზნით მესაკუთრის თანხმობის გარეშე, რაც ხელშეკრუ-
ლების შეწყვეტის საფუძველი გახდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების გაუქმების საფუძვლად მითითება სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2019 წლის 4 აპრილის დადგენილებაზე, რომლითაც ა(ა)იპ ...ი დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან დაიწყო გამოძიება შპს „სა...ას“ ხელმძღვანელი პირების მხრიდან ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მოტყუებით მიღების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტითა და 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით, რადგან დანაშაულის ჩადენა დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით და თვით განაჩენის არსებობა ა(ა)იპ ნარმომადგენლობით/ხელმძღვანელ პირთა მიმართებაში არ გამორიცხავს თვით ა(ა)იპ პასუხისმგებლობას მესამე პირთა წინაშე, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკასრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას“ და მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახეზე ა(ა)იპ „...ის“ მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. ასევე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2020 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაზე, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ იყო შესული და ამასთან, ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულების“ გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტუარს“ დაეკისრება პირგასამტებლო ყოველი დარღვეული პირობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტუარის“ დაეკისრება პირგასამტებლო ყოველი დარღვეული პირობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტუარი“ იღებს გაფრთხილებას, წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსხორების ვადა, გადასახადი პირგასამტებლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზედაც პირგასამტებლოს თანხა უნდა იქნეს გადადილი, ხოლო ხელშეკრულების 4.5 პუნქტის თანახმად, კი „მესაკუთრის“ მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, „უზუფრუქტუ-

არის „მხრიდან „ხელშეკრულების“ პირობათა შეუსრულებლობა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მიიჩნევა, მესაკუთრის“ მიერ „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის საფუძვლად, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა და დადგენილია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივნისის №1/1-1697 ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ა(ა)იპ ...ის მიერ 2014 წლის 24 ივნისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივი დარღვევა, რის გამოც ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონიერად შეუწყვიტა 2014 წლის 24 ივნისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ...მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა არაერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, მათ მიერ წარდგენილ იქნა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, სადაც სისხლის სამართლის №092040518011 საქმეზე დაზარალებულად იქნა (ცნობილი ა(ა)იპ ..., რადგან ლ. ყმა საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გამოიყენა საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით მოახდინა ქ. ...ში, ...ის ქ. №1-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და უზუფრუქტით გადაცემული ქონებით სარგებლობა, რითაც მნიშველოვანი ზიანი მიაყენა ა(ა)იპ ...ს. ასევე წარმოდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 მარტის №2/21412-19 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის გამო პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნით.

კასატორის მითითებით, სააგენტოს მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6, მე-7, 53-ე, 96-ე მუხლები. კასატორი აღნიშნავს, რომ სადაცო ბრძანებას მოპასუხემ საფუძვლად დაუდონ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის

№391 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი, ასევე 2014 წლის 24 ივნისის უზუფრუქტის ხელშეკრულება და ორი წერილი, რომლის შინაარსიც მათვის უცნობია. კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებითი ვადის დაწესებას ვალდებულების დარღვევისას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში რა ვალდებულება დაარღვია ...მა და რაში გამოიხატება იგი კასატორისთვის უცნობია. რაც შეეხება აღნიშნული დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თაგმჯდომარის უფლებამოსილებას. მოცემულ შემთხვევაში კასატორისთვის გაუგებარია ჰქონდა თუ არა სააგენტოს თავმჯდომარეს ეს უფლებამოსილება, თუ ჰქონდა, მაშინ მან დაარღვია ადმინისტრაციული წარმოების წესი, უხეშად გამოიყენა რა დისკრეციული უფლებამოსილება, არ დაიცვა საჯარო და კერძო ინტერესის პროპორციულობა, ყოველგვარი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გააუქმა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი, როგორიც არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება უსასყიდლო უზუფრუქტის შესახებ, არ გაუთვალისწინებია მოსალოდნელი ზიანი და ...ის ინტერესები და ა.შ. კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 12 ივლისს სააგენტომ ჯერ ნაწილობრივ შეწყვიტა ხელშეკრულება, რისთვისაც თანხმობა მოითხოვა მათგან, ხოლო სულ რაღაც 5 დღეში, მათთან შეტყობინების გარეშე, სრულად შეწყვიტა ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივარი; საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის განჩინებით ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრებით, 2021 წლის 15 ივლისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის განჩინებით ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2021 წლის 30 სექტემბერს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის სხდომიდან საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე, 2021 წლის 21 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილები დავის ფარგლებში ა(ა)იპ ...ი „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის № 1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობასა და მოპასუხისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის № 1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ...სა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის არსებობდა სახელშეკრულები ურთიერთობა, ერძოდ, მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი და „არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის – ა(ა)იპ ...ისთვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის № 1090 განკარგულება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მითითებული მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტოს მიზნებია: ა) სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; ბ) სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა; გ) სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება; დ) კა-

ნონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება, ხოლო მე-3 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს ფუნქციები, რომელის თანახმადაც, სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე, კერძო სამართლის სუბიექტისთვის სახელმწიფო ქონების სარგებლობაში აუქციონის გარეშე გადაცემა. განსახილველ შემთხვევაში „ა(ა)იპ ...ისათვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისს №1090 განკარგულების შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით განხორციელდა ა(ა)იპ ...ისთვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემა.

2014 წლის 24 ივნისს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით მესაკუთრე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ა(ა)იპ ...ს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადასცა ხელშეკრულების №1 დანართში მითითებული უძრავი ქონება (ქ. ...ში, ...ის ქ. №7-ში მდებარე 13199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...; ქ. ...ში, ...ს ქუჩაზე მდებარე 7825 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№5 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...; ქ. ...ში, ...ის ქ. №1-ში მდებარე 4406 კვ.მ მინის ნაკვეთი, ს/კ ...) 15 წლის ვადით, ხოლო ხელშეკრულების №2 დანართში მითითებული უძრავი ქონება – 49 წლის ვადით (ქ. ...ში, მარჯვენა სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№3 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...). ხელშეკრულების 2.1.7 მუხლით განისაზღვრა, რომ „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია თავისი უფლებების განხორციელებისას არ დაარღვიოს „მესაკუთრის“ უფლებები, ხოლო 2.2.1 მუხლის შესაბამისად, „უზუფრუქტუარს“ უფლება აქვს „მესაკუთრის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე „ქონება“ ან მისი ნაწილი გასცეს იჯარის ან ქირავნობის უფლებით. მითითებული ხელშეკრულების 4.2 მუხლის თანახმად, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „უზუფრუქტუარს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი დარღვეული პირობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „უზუფრუქტუარი“ იღებს გაფრთხილებას წერილო-

ბითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტებლოს ოფენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტებლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი; ხელშეკრულების 4.5 მუხლის თანახმად კი, „მესაკუთრის“ მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, „უზუფრუქტულის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ პირობათა შეუსრულებლობა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მიიჩნევა „მესაკუთრის“ მიერ „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 27 აპრილს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსს მიმართა ...ის პრეზიდენტმა და ნარადგინა 2015 წლის 1 აპრილის საიჯარო ხელშეკრულება.

2015 წლის 2 ივნისს ა(ა)იპ ...ს სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ აცნობა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტულის ხელშეკრულების 2.2.1 მუხლის თანახმად, უზუფრუქტულას უფლება არ ჰქონდა სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება დაეტვირთა ან/და მესაკუთრესთან შეუთანხმებლად გაეცა სარგებლობის უფლებით. აღნიშნული მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ამავე ხელშეკრულების 4.2 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ...ს დაეკისრა პირგასამტებლო 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან (2015 წლის 1 აპრილი) თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, სააგენტოს თანხმობის გაცემის დღემდე.

სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 2 ივნისის №4/32578, 2015 წლის 2 ოქტომბრის №4/58471, 2015 წლის 19 ნოემბრის №4/67887, 2018 წლის 20 ივნისის №4/35046 და 2018 წლის 30 ივლისის №4/42810 წერილებით ა(ა)იპ ...ს გაეგზავნა მოთხოვნა პირგასამტებლოს გადახდის თაობაზე, ხოლო სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 4 ივლისის №4/37788 წერილით ა(ა)იპ ...ს ეცნობა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ პირგასამტებლო გადახდილი არ იყო, ხოლო მესაკუთრის მიერ დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მიიჩნეოდა მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად, ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2018 წლის 27 ივნისის №0011360620 მიმართვით ირკვეოდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლობის უფლებით გადაცემული ზოგიერთი მიწის ნაკვეთი უკანონოდ გასხვისდა მოქალაქეებზე სა-

საფლაოდ, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების 2.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, სააგენტო იწყებდა ხელშეკრულების ცალმხრივად მომლის პროცედურებს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეწყდა (ხელშეკრულების საგანი - 1. ქ. ...ში, ...ის ქ. №7-ში მდებარე 13199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...; 2. ქ. ...ში, ...ს ქუჩაზე მდებარე 7825 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№5 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...; 3. ქ. ...ში, მარჯვენა სანაციორო ქუჩაზე მდებარე 2260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№3 შენობა-ნაგებობები, ს/კ ...). რაც შეხება 2014 წლის 24 ივნისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებულ ქ. ...ში, ...ის ქ. №1-ში მდებარე ქონებას, აღნიშნულ ნანილში ხელშეკრულება შეწყდა 2018 წლის 12 ივლისს, საქმეში წარმოდგენილი „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების ნანილზე უზუფრუქტის შეწყვეტის თაობაზე“ ხელშეკრულების თანახმად, ხელმოწერილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ის წარმომადგენლების მიერ, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №104394 სამსახურებრივ ბარათსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2017 წლის 15 ნოემბრის №104542 სამსახურებრივ ბარათს. აღნიშნული ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ და ქ. ...ში, ...ის ქ. №1-ში მდებარე ქონების ნანილში უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა შორის სადაცო არ გამხდარა.

მოცემული დავის ფარგლებში მოსარჩელე სადაცოდ ხდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივნისის №1/1-1697 ბრძანებას, რომლითაც შეწყდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება

დანარჩენი სამი ობიექტის ნაწილში, კერძოდ, მდებარე – ქ. ...ში, ქ. ...ასა და ქ. ...ში. სადაც ბრძანება გამოცემულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს (ს/კ №...) შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების, სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2017 წლის 15 ნოემბრის №104542 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2018 წლის 27 ივნისის №0011360620 მიმართვის წერილის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 4 ივლისის №4/37788 წერილის საფუძველზე.

უფრო კონკრეტულად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ა(ა)იპ ...ს მხრიდან პირგასამტკებლოს გადაუხდელობა, ასევე მინის მესაკუთრესთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმების წინასწარი შეუთანხმებლობა და მესაკუთრის თანხმობის გარეშე მიწის ნაკვეთის კერძო პირებზე სასაფლაოდ გამოყენების მიზნით გასხვისება.

საკასაციო სასამართლო კვლავ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება ეხებოდა საქართველოს ოთხ ქალაქში მდებარე ოთხ დამოუკიდებელ ობიექტს. ამასთან, საქმის მასალების თანახმად, ქ. ...ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილში ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტილია 2018 წლის 12 ივლისს იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ქონება უკანონოდ გასხვისდა მოქალაქეებზე სასაფლაოდ. სადაც ბრძანებით კი ხელშეკრულება შეწყდა დანარჩენი სამი ობიექტის ნაწილში, მდებარე – ქ. ...ში, ქ. ...ასა და ქ. ...ში. რაც შეეხება სააგენტოს პრეტენზიას 2015 წლის 1 აპრილს ...ის შპს „ს...ასა“ და ე. ე-ს შორის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინასწარი თანხმობის გარეშე გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასა და დაკისრებული პირგასამტკებლოს ყრუთა კავშირის მიერ გადაუხდელობასთან დაკავშირებით, აღნიშნული უკავშირდება 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქ. ...ში გადაცემულ უძრავ ქონებას. საქმეზე არ დასტურდება სააგენტოს პრეტენზია ქ. ...ასა და ქ. ...ში მდებარე ობიექტებთან დაკავშირებით ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის თაობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, სადაც ბრძანებით მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელ-შეკრულება დაუსაბუთებლად იქნა შეწყვეტილი სრულად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილ-სინდისიერების ინსტიტუტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და ადასტურებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მოხანილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, ხოლო ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, თუმცა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებები გამორიცხავს ა(ა)იპ ...ის, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის არაკეთილსინდისიერებას. საქმეზე დადგენილია ის უდავო გარემოება, რომ 2015 წლის 1 აპრილს ...ის შპს „ს...ასა“ და ე. ე-ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება სააგენტოს თანხმობის მისაღებად გადაეგზავნა 2015 წლის 27 აპრილს, რაზეც სააგენტოსგან პასუხი მიიღო 2015 წლის 2 ივნისს. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული პირობის შეუსრულებლობა უცილობლად მხარის არაკეთილსინდისიერებას არ ადასტურებს, მით უფრო იმის გათვალისწინებით, როდესაც მოცემულ შემთხვევაში ყრუთა კავშირმა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2015 წლის 1 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება თავად გადაუგზავნა იმავე თვეს. რაც შეეხება პირგასამტებლოს დაკისრების მართებულობის საკითხს, რომელსაც სააგენტო აფუძნებს უზუფრუქტის ხელშეკრულების პირობების დარღვევას, დამოუკიდებელი დავის საგანს წარმოადგენს. მართალია, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 მარტის №2/21412-19 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის გამო პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნით, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნილი პირგასამტებლო მოიცავდა თანხმობის გაცემამდე პერიოდს და სააგენტო ყრუთა კავშირს თანხმობის გაცემის შემდგომ არ არიცხავდა პირგასამტებლოს. სააგენტოს მოქმედება, იჯარის ხელშეკრულების შეფასება, მისი მონონება და შემდგომ ამავე პერიოდზე პირგასამტებლოს მოთხოვნა მართლზომიერებისა და კე-

თილსინდისიერების თვალსაზრისით სასამართლომ დაუსაბუთებდა და მიიჩნია.

რაც შეეხება უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქ. ...ში გადაცემული მიწის ნაკვეთის გასხვისებას კერძო პირებზე სასაფლაოდ გამოყენების მიზნით მესაკუთრის თანხმობის გარეშე, საკასაციო სასამართლო მხარის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ყრუთა კავშირის ხელმძღვანელი პირების დანაშაულებრივი ქმედების შესახებ შეტყობინება თავად ყრუთა კავშირის მიერ განხორციელდა, ამასთან, ნარმოდგენილია დაზარალებულად ცნობის შესახებ 2019 წლის 4 აპრილის დადგენილება, სადაც სისხლის სამართლის №092040518011 საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი ა(ა)იპი, რადგან შპს „სა...ის“ დირექტორმა ლ. ყ-მა სანარმოს ნარმომადგენლობითი უფლებამოსილება გამოიყენა სანარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით მოახდინა ქ. ...ში, ...ის ქ. №1-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და უზუფრუქტით გადაცემული მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებზე სასაფლაოდ გასხვისება, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ა(ა)იპ ...ს. საგულისხმოა, რომ თავად ლ. ყ-იც აღიარებს მის მიერ ყრუთა კავშირისთვის ზიანის მიყენების ფაქტს და იღებს ვალდებულებას ყრუთა კავშირის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ხასიათი და ამ დარღვევის გამოვლენის პროცესში ყრუთა კავშირის ჩართულობა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავს ყრუთა კავშირის არაკეთილსინდისიერების ფაქტს, მით უმეტეს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული იმ ობიექტების მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც სააგნენტოს პრეტენზია არ გამოიუთქვამს. კავშირის ერთეული ხელმძღვანელი პირების დანაშაულებრივ ქმედებას კი არ შეიძლება შეენიროს მთლიანად ორგანიზაციის ინტერესები, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც იგი აერთიანებს მოწყვლად ჯგუფს, ყრუთა კავშირი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირს.

...ის წესდების მიხედვით, კავშირი წარმოადგენს დამოუკიდებელ, თვითმმართველ, საზოგადოებრივ ორგანიზაციას და თავის რიგებში წებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ცნობენ და აღიარებენ კავშირის წესდებას, მიზნებს, ამოცანებს და მონაწილეობას მიიღებენ მის საქმიანობაში (მუხ. 2.2.2). კავშირის ძირითადი მიზნება არგანიზაციული და ფინანსური განმტკიცება; სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინირება; სმენადარღვეული მოქალაქეების წებაყოფ-

ლობითი გაერთიანება და მათი კანონიერი უფლებების, თავისუფ-ლებებისა და ინტერესების დაცვის, სოციალური, შრომითი რეაბი-ლიტაციისა და თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელ-შეწყობა; სისტემატიური და თანმიმდევრული ზრუნვა კავშირის წევრების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობე-სების ხელშეწყობის მიზნით, მათი პრობლემების წარმოჩენა სა-ხელმიწოდება და სხვა იურიდიულ პირთა წინაშე; სმენადარღვეულ პირთა აღრიცხვა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩარ-თვის ხელშეწყობა; კავშირის წევრებისათვის საშუალო, სპეციალუ-რი და უმაღლესი განათლების მიღებაში ხელშეწყობა; საგანმანათ-ლებლო დანესხებულებებისათვის ხელის შეწყობა სმენადარღვეუ-ლი ბავშვების გამოვლენასა და მათი სკოლამდელ დაწესებულე-ბებში მოწყობის მიზნით; კავშირის წევრთა კვალიფიკაციის ასა-მაღლებლად მოსამზადებელი კურსების მოწყობა და სხვადასხვა სახის სემინარების ჩატარება; ჯანმრთელობის დაცვის ორგანოე-ბისათვის დახმარების აღმოჩენა სმენადარღვეულ პირთა დამატე-ბით სამედიცინო მომსახურებისა და პროფილაქტიკის, ახალი კონ-სტრუქციის სმენითი და ხმის წარმომქმნელი აპარატებით უზრუნ-ველსაყოფად; საერთაშორისო და საზღვარგარეთის მონათესავე ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაფართოება (მუხ. 5.1). კავ-შირი მისი მიზნების განხორციელებისათვის კანონით დადგენილი წესით ქმნის პირველად ორგანიზაციებს, ფილიალებს, სასწავლო-საწარმოო წარმონებებს, კომერციულ სტრუქტურებს; საწესდებო ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად აარსებს საკუთარ და ერთობლივ ფონდებს, საკუთარი ან/და ერთობლივი საზოგადო-ებების შექმნის გზით ქმნის და მონაწილეობის მატერიალურ-ტექ-ნიკურ და საფინანსო ბაზას; თანამშრომლობს საქართველოში მოქ-მედ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, კავ-შირებსა და საზოგადოებებთან; აწყობს შეხვედრებს, კონფერენ-ციებს, სიმპოზიუმებს, აყალიბებს სადისკუსიო კლუბებს თანამედ-როვეობის აქტუალურ საკითხებზე; აწყობს ფესტივალებს, კონ-კურსებს, ლატარიის გათამაშებებს, აუქციონებს, გამოფენა-პრე-ზენტაციებს, მართავს სანახაობით, მიზნობრივ საქველმოქმედო ღონისძიებებს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გა-რეთ; ორგანიზაციულად უზრუნველყოფს და ყოველმხრივ მხარს უჭერს კავშირის წევრთა მხატვრულ, თვითშემოქმედებით, ფიზ-კულტურულ-სპორტულ აღზრდა-განვითარებას. ხელს უწყობს სპორტული შეჯიბრებების, ტურისტული ლაშქრობების, ექსკურ-სიების და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში; იღებს ზომებს კავში-რის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, საკურორტო, სამ-კურნალო და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის; მო-

ნაწილეობს იმ საქველმოქმედო და მიზნობრივი პროგრამების შედგენა რეალიზებაში, რომლებიც ხელს უწყობენ კავშირის წევრების პრობლემების გადაწყვეტას საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, შრომითი მოწყობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უზრუნველყოფის სფეროში; კავშირი, პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით, კისრულობს ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობების ყრუ-ინგვალიდები უზრუნველყოს უესტური ენის მცოდნე თარჯიმებით; აღნიშნულის გარდა, კავშირს, საწესდებო ამოცა-ნების შესასრულებლად უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არაა აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

...ს აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ბუნებრივია ესაჭიროება ფინანსური მხარდაჭერა. ყრუთა კავშირის მითითებით, კავშირს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული მინის ნაკვეთები გაცემული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებით, რომლიდანაც მიღებულ შემოსავლებს ახმარდა სწორედ ორგანიზაციას.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით მოქალაქეთა ურყევ ნებად არის გამოცხადებული სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრება. ამასთან, კონსტიტუციურმა ცვლილებებმა განამტკიცა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე (მუხ. 5). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით განმტკიცებულია თანასწორობის უფლება, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს განსაკუთრებულ როლს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის, კერძოდ, კონსტიტუცია ადგენს, რომ „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“ (მუხ. 11.4). კონსტიტუციის ახალი რედაქციით სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსაკუთრებული პირობების შექმნის ვალდებულება აღიარა.

ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირებით სახელმწიფომ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და იკისრა როგო ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. კონვენციით ნაკისრი ვალდებულებისა და პრინციპების

ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით 2020 წელს მიღებულია კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 14 ივნისის კანონი, რომელიც განსაზღვრავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებს და მიზნად ისახავდა სხვა პირთა თანაბრად უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია, შეექმნა ხელსაყრელი პირობები მათი სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

განსახილვებს შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქ. ...ში გადაცემული მიწის ნაკვეთის კერძო პირებზე სასაფლაოდ გამოყენების მიზნით მესაკუთრის თანხმობის გარეშე გასხვისების გამო ხელშეკრულება აღნიშნულ ნაწილში უკვე შეწყვეტილი იყო 2018 წლის 12 ივლისს, რაც მხარეთა შორის სადაცოდ არ ქცეულა, 2018 წლის 19 ივლისის სადაცონება კი არ ასაბუთებს უზუფრუქტის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტის აუცილებლობას, სადაც ბრძანებაში არაფერია აღნიშნული ხელშეკრულების სრული გაუქმებით რა ზიანი ადგებოდა ისეთი საჭიროებების ორგანიზაციას, როგორიც ყრუთა კავშირია, რამეთუ ...ს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული მიწის ნაკვეთები გაცემული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებით, რომლიდანაც მიღებულ შემოსავლებს ახმარდა სხორცედ ორგანიზაციას. დაუსაბუთებელია ხელშეკრულების მთლიანდ შეწყვეტა სამი დამოუკიდებელი ობიექტის ნაწილში, რომელთაგან ორ შემთხვევაში, მდებარე – ქ. ...ასა და ქ. ...ში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ფაქტი საქმეზე არ დასტურდება. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული ქონება (მდებარე – ქ. ...ში, ქ. ...ასა და ქ. ...ში) მხარეს გადაეცა 15 წლის ვადით, ხოლო ხელშეკრულების №2 დანართით გათვალისწინებული ქონება (მდებარე – ქ. ...ში) გადაეცა 49 წლის ვადით. საქმეზე არ დასტურდება ხელშეკრულების შესანარჩუნებლად სააგენტოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების დაცვის მიზნით დამატებითი დაცვის ღონისძიებების გამოყენების მცდელობა. დაუსაბუთებელია ხელშეკრულებით გადაცემული ქონების სრული ჩამორ-

თმევით ყრუთა კავშირის ფინანსური მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის საკითხი, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება საზოგადოებას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რაც აღიარებულია ქვეყნის შიდა თუ საერთაშორისო აქტებით.

ამასთან, მოცემული დავის გადაწყვეტის ფარგლებში საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სადაც საკითხი უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოყენებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და მისი ხასიათი, რამდენადაც დავის განხილვისას სასამართლოს მიერ სწორედ აღნიშნული საკითხის სხვა გარემოებებთან ერთობლივობაში მართებული განსაზღვრით დგინდება სასამართლო კონტროლის არეალი. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე სასამართლო კონტროლის ფარგლებს ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული მმართველობითი ღონისძიებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნება, მისი პრინციპები განსაზღვრავს. სასამართლო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანო, უფლებამოსილია, ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით გადაწყვეტოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შეწყვეტასთან ან შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები, მათ შორის, კონტროლის შესაბამისი ფარგლების დაცვითა და საჭირო სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით დაავალდებულოს მხარე, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, თუმცა სასამართლო უფლებამოსილი არ არის, ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალის ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება. ამასთან, სახელშეკრულები ურთიერთობათა მიმართ სასამართლო კონტროლის შეზღუდული ფარგლებით არსებობა არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეების, მით უფრო, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დაასაბუთოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულების სრული გაუქმებისას ადგილი არ ჰქონია. შეფასების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ ყრუთა კავშირი სწორედ ორგანიზაციის დახმარების უზრუნველყოფის მიზნით ითხოვდა უზუფრუქტის უფლებით ქონების სარგებლობაში გადაცემას, ხოლო ხელშეკრულების მთლიანად შეწყვეტის პირობებში არ არის დასაბუთებული ხომ არ მოესპონ კავშირს ფინანსური უზრუნველყოფის წყარო სრულად. ყოველივე აღნიშნულის შეფასებასა და გათვალისწი-

ნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადაც საკითხის გადაწყვეტისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობისა და მათი სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის განხილვა მხარეთა მონაწილეობით დაინიშნა მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით, რა დროსაც კასატორის ა(ა)იპ ...ის ნარმომადგენელმა მზაობა გამოტახა მორიგების თაობაზე, თუმცა, ამ ეტაპზე სააგენტომ უარი თქვა მორიგებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნანილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ...ის სარჩელი უნდა დაკამაყოფილდეს ნანილობრივ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასაყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანება და მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალოს სადაც საკითხის ხელახლა განხილვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ ...ის საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდეს ნანილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა(ა)იპ ...ის სარჩელი დაკამაყოფილდეს ნანილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ ...ს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასაყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018

წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალოს სადაც საკითხის ხელახლა განხილვა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგრძლივ სარგებლობაში ფლობის საფუძველზე უპრავი ერთების გადაცემის პირობები

გადაცევების საქართველოს სახელით

№ბს-193(23-21)

9 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. აბუსერიძე,

ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 14 ივლისს ქ. გ.-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების – საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში მდებარეობს ორსართულიანი შენობა, სადაც განთავსებული იყო ...ის №... ვა... ა...-ი. რამდენადაც მოსარჩელეს, როგორც ...ის პედაგოგს, არ ჰქონდა ბინა, 1974 წელს იგი ოფიციალური წერილის საფუძველზე შესახლებულ იქნა პირველ სართულზე 67.83 კვ.მ ფართში, სადაც იგი რეგისტრირებულია და ცხოვრობს დღემდე. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ კომუნალურ ხარჯებს იგი პირადად ფარავს, ამასთან, იგი არის სოციალურად დაუცველი. ზემოხსენებული შენობა-ნაგებობა არსებული მდგომარეობით ირიცხება სახელმწიფოს ბალანსზე. თავდაპირველად, იგი ირიცხებოდა საქართველოს განათ-

ლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე, ხოლო შემდგომ, 2012 წლის 22 აგვისტოს, იგი აღირიცხა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. 2013 წლის 29 აპრილიდან იგი ირიცხება სახელმწიფოს საკუთრებად.

მოსარჩელის მითითებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2/16-02 გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უარი ეთქვა ქ. გ-ას გამოსახლებაზე მანამდე, სანამ იგი სხვა ფართით არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. აღნიშნული გათვალისწინებულ იქნა განათლების სამინისტროს მხრიდან, რამდენადაც 2008 წლის 25 იანვარს მათ მიმართეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა ეკონომიკის სამინისტრომ არ გაითვალისწინა სასამართლოსა და განათლების სამინისტროს მოთხოვნა და მთლიანი ქონება ჯერ თბილისის თვითმმართველობის, ხოლო შემდგომ კი სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრირა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2013 წლის 31 იანვარს თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსა და მას შორის გაფორმდა ხელშეკრულება პირდაპირი ფორმით უძრავი ქონების მისთვის მიყიდვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ხსენებული ხელშეკრულება ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამასთან, 2013 წლის 2 აპრილის დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება, რომელიც წარმოადგენდა პირდაპირი მიყიდვის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს. მოსარჩელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მას განუმარტეს, რომ 2013 წლის 31 იანვრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლად იქცა ის გარემოება, რომ სადაცო ქონება მათ საკუთრებაში აღარ ირიცხებოდა, შესაბამისად, ქ. გ-ას აღნიშნული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების თაობაზე სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის უნდა მიემართა. მიუხედავად მოსარჩელის მხრიდან სააგენტოსათვის მიმართვისა, სააგენტომ არ გაითვალისწინა ყოველივე ზემოხსენებული და მას განუმარტა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო განეხილა საკითხი მხოლოდ ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმება, რამდენადაც იგი მიიჩნევს, რომ სადაცო ქონება მას ჯერ კიდევ 1974 წელს, მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით გადაეცა სარგებლობაში, რაც კიდევ უფრო გამყარდა 2002 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით.

მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი მის მიერ გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-

ში, რომელმაც ასევე უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩევე მიიჩნევს, რომ დასახელებული ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტები უკანონო და უსაფუძვლოა.

ამდენად, სასარჩევო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, მო-სარჩევემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილისა და მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შე-სახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-მინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არ-სებული 67.83 კვ.მ ფართის ქ. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვით სა-აუთორებაში გადაცემის შესახებ საკითხის მთავრობის სხდომაზე განსახილებულად მომზადებისა და წარდგენის თაობაზე ინდივიდუ-ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და-ვალება მოითხოვა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ამოი-რიცხა მოჰასუხეთა წრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით ქ. გ-ას სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქ. გ-ა 1975 წლის 13 მაისიდან რეგისტრირებულია მისამართზე –ი, ...ის ქუჩა №34 (ყოფილი ...ის ქუჩა №18), ბინა №2. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტი-ლებით საქართველოს განათლების სამინისტროს სარჩელი ნაწი-ლობრივ დაკმაყოფილდა და იმ დროსათვის საქართველოს განათ-ლების სამინისტროს ბალანსზე არსებულ,ში, ...ის ქუჩის №...-ში (...ის ქუჩის №...-ში) მდებარე ქენობიდან ქ. გ-ასა და მასთან მცხოვ-რები პირების გარდა სამაგირო ფართის მიუცემლად ყველა პირი იქნა გამოსახლებული, ქ. გ-ასა და მისი ოჯახის წევრების გამოსახ-ლების პირობად კი მათი ფართით დაკმაყოფილება დადგინდა. და-სახელებული გადაწყვეტილება ქ. გ-ას წაწილში შევიდა კანონიერ დალაში.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში მდება-რე, №... უძრავი ქონება საქართველოს ეკონომიკური განვითარე-ბის სამინისტროს №16/838 მიმართვით სახელმწიფოს საკუთრე-ბად დარეგისტრირდა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი-ის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 13 სექტემბრის №06-8/10147 მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში მდებარე უძრავი ქონება ქალაქ თბილისის თვით-

მმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა. ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 31 იანვარს ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქ. გ-ას შორის ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საგანს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართობს ბინა (საკადასტრო კოდი №.....) შესაბამისი წილობრივი მინის ნაკვეთით. ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის №12.16.369 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება და №... ქონებაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრების მიტოვების საფუძველზე, სახელმიწიფო საკუთრება აღდგა.

2016 წლის 12 დეკემბერს ქ. გ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ის I სართულზე არსებული 67.83 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი №.....) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება მოითხოვა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 14 დეკემბრის №44412 წერილით ქ. გ-ას განცხადება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 წერილით ქ. გ-ას ეცნობა, რომ სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის ნინაშე უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ინიცირების შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია შესაბამისი პირობების შესახებ (გადაცემის ფორმა, საპრივატიზებო პირობები/საფასური). აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სააგენტო უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ქონების რაციონალურ გამოყენებაზე, ქ. გ-ას მოთხოვნა უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ინიცირების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. წერილით ქ. გ-ას, ასევე, განემარტა, რომ შესაბამისი დაინტერესების არსებობის შემთხვევაში, სააგენტო მზად იყო ემსჯელა მოთხოვნილი უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხზე.

2017 წლის 26 იანვარს ქ. გ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა

მინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილის ბათილად ცნობა და სააგენტოსათვის სადაცო უძრავი ქონების ქ. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის თაობაზე საქართველოს მთავრობისათვის მიმართვის დავალება მოითხოვა.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანებით ქ. გ-ას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სადაცო ბრძანებაში აღინიშნა, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ვერ განიხილებოდა სადაცო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქ. გ-ას საკუთრებაში გადაცემის საფუძვლად. სამინისტრომ მიიჩნია, რომ ქ. გ-ას მართლზომიერად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილის შინაარსიდან გამომდინარე, მისი შეფასებისათვის უნდა დადგენილიყო, გააჩნდა თუ არა მოსარჩელეს სახელმწიფოს კუთვნილი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში მიღების საფუძვლი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს. დასახელებული კანონის პირველი მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განვითარებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება სამინისტროში, ხოლო შემდგომ – სასამართლოში.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განკარგვის ერთ-ერთი ფორმა – პრივატიზება გულისხმობს ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარ-

მოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნას ამ კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ ასევე მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება: ა) აუქციონით; ბ) პირდაპირი მიყიდვით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით, გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით პრივატიზების შემდეგი ფორმები დაიშვება:

– ქონების მმართველის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობით ფიზიკური პირებისათვის ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა მისი ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით (კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი);

– ქონების მმართველის მიერ საქმის მომზადებისა და შესაბამისი წარდგინების საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის, აგრეთვე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემა (კანონის 6³ მუხლი).

– იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზება (კანონის მე-10 მუხლი);

– იჯარით გაცემული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შესაბამის მოიჯარეზე (კანონის 18¹ მუხლი).

მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტო უფლებამოსილი იყო, ქ. გ-სათვის ქონების გადაცემის თაობაზე წინადადებით საქართველოს მთავრობისათვის მიემართა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იქნებოდა კანონმდებლობით დაშვებული პრი-

ვატიზების კონკრეტული სახის განხორციელებაზე მოთხოვნა შესაბამის საფუძვლებზე მითითებით, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს შეფასებით, სააგენტოს არ ჰქონდა ქ. გ-ასათვის ქონების პირდაპირი მიყიდვით სიმბოლურ ფასად გადაცემის პირობა, რამეთუ ქ. გ-ა არ წარმოადგენდა სუბიექტს, რომელზეც ამ სახით პრივატიზება დაიშვებოდა – იგი არ იყო საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი. ამასთან, დადგენილი იყო, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით უძრავი ქონების გადაცემა ქ. გ-ამ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული №2-126-02 გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება სის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვალდებულებას არ ადგენდა და ამ გადაწყვეტილებით ქ. გ-ას საკუთრების უფლება არ მინიჭებია. რაც შეეხება მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარებას, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 4¹ და მე-5 მუხლების თანახმად, მის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენდა არა სის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, არამედ სის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას მოწმდება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალების განხილვის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო და არ დასტურდებოდა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანების მიღებისას ადგილი ჰქონდა პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას. მოსარჩელის მიერ არ ყოფილა დასა-

ბუთებული მითითებული პრძანების კანონმდებლობასთან შეუსაბამობა. ამასთან, ალნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობაზე მიუთითებდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილთან დაკავშირებული დასკვნებიც (პუნქტი 6.1). ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოთხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაციის შედეგად მოთხოვნილ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 წერილისა და მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 პრძანების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობების აღსრულების დავალება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ქ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქ. გ-ას მიმართ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების დაცვა დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სადაცო საკითხის გადაწყვეტის მიზნით, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2016 წლის 12 დეკემბერს ქ. გ-ამ განხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და ქალაქ თბილისში, ... ში, ...ის ქუჩის №...-ის I სართულზე არსებული 67.83 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი №...) პირდაპირი მი-

ყიდვის ფორმით პრივატიზება მოითხოვა. 2016 წლის 14 დეკემბრის №44412 ნერილით, ქ. გ-ას განცხადება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გადაეგზავნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შემდგომი რეაგირების მიზნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილით ქ. გ-ას ეცნობა, რომ სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის წინაშე უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ინიცირების შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია შესაბამის პირობების შესახებ (გადაცემის ფორმა, საპრივატიზებო პირობები/საფასური). აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სააგენტო უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ქონების რაციონალურ გამოყენებაზე, ქ. გ-ას მოთხოვნა უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ინიცირების თაობაზე, არ უნდა დაკამაყოფილებულიყო. ნერილით ქ. გ-ას, ასევე, განემარტა, რომ შესაბამისი დაინტერესების შემთხვევაში, სააგენტო მზად იყო ემსჯელა მოთხოვნილი უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხზე.

2017 წლის 26 იანვარს ქ. გ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილის ბათილად ცნობა, ასევე, სააგენტოსათვის სადავო უძრავი ქონების ქ. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის თაობაზე საქართველოს მთავრობისათვის მიმართვის დავალება მოითხოვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანებით, ქ. გ-ას უარი ეთქვა საჩივრის დაკამაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია), სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განკარგვის ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს პრივატიზება, რაც გულისხმობს ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ

დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენას ამ კანონით დადგენილი წესით (მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). იმავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება: ა) აუქციონით; ბ) პირდაპირი მიყიდვით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით, გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით.

მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაშვებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით პრივატიზების შემდეგი ფორმები: ქონების მმართველის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობით ფიზიკური პირებისათვის ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა მისი ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით (კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი); – ქონების მმართველის მიერ საქმის მომზადებისა და შესაბამისი წარდგინების საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის, აგრეთვე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემა (კანონის 6³ მუხლი). იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მისი ნაკვეთის პრივატიზება (კანონის მე-10 მუხლი); იჯარით გაცემული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შესაბამის მოიჯარება (კანონის 18⁴ მუხლი).

მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი იყო, ქ. გ-ასათვის ქონების გადაცემის თაობაზე საქართველოს მთავრობისათვის წინადადებით მიემართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იქნებოდა კანონმდებლობით დაშვებული პრივატიზების კონკრეტული სახის განხორციელებაზე მოთხოვნა შესაბამის საფუძვლებზე მითითებით, რასაც ადგილი არ ჰქონია. ამდენად, სააგენტოს არ ჰქონდა ქ. გ-ასათვის ქონების პირდაპირი მიყიდვით სიმბოლურ ფასად გადაცემის პირობა, რამეთუ ქ. გ-ა არ წარმოადგენდა სუბიექტს, რომელზეც ამ

სახით პრივატიზება დაიშვებოდა.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩევეს სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ გააჩნდა სახელმწიფოს კუთვნილი ქონების პირდაპირ მიყიდვის ფორმით საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 ნერილი და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანება ვერ იქნებოდა მიჩნეული კანონშეუსაბამოდ. ამდენად, არ არსებობდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლია-ნობას სიიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობების აღსრულების დავალების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხების - ვ. ჩ-ას, ლ. რ-ის, თ. გ-ის, ქ. გ-ას, დ. გ-ის და ლ. ა-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხვისა და მოპასუხეთა გამოსახლების შესახებ. სამინისტროს წარმომადგენელმა წარდგენილ სარჩელში მიუთითა, რომ ... ში, ...ის ქ. №...-ში მდებარეობს ორსართულიანი შენობა, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია სადაც უძრავი ქონების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე არსებობის ფაქტი და საფუძვლიანად ჩათვალა მოსარჩელის მოთხოვნა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მოპასუხეთა მფლობელობიდან (გარდა ქ. გ-ასი) გამოთხვის შესახებ. ქ. გ-ასთან მიმართებით გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მას თავისი ნებით არ მიუკუთვნებია სხვისი საკუთრება. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ მესაკუთრებ სადაც შესასახლა ქ. გ-ა, რითიც მისი საკუთრება დატვირთა პირადი სერვიციუტის უფლებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა და იმ დროისათვის საქართველოს განათლების სამი-

ნისტროს ბალანსზე არსებულ,ში, ...ის ქუჩის №...-ში (...ის ქუჩის №...-ში) მდებარე შენობიდან ქ. გ-ასა და მასთან მცხოვრები პირების გარდა, სამაგიერო ფართის მიუცემლად, ყველა პირი იქნა გამოსახლებული. ქ. გ-ასა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების პირობად კი, მოსარჩევის მიერ, მათი ფართით დაკმაყოფილება დადგინდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სადაცო ქონება გადაცემულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი მიმართვით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეტხოვა სადაცო ფართის განკარგვის დროს მხედველობაში მიღებულიყო გარდაპის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსი და დაინტერესებული პირის – ქ. გ-ას კანონიერი ინტერესი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 9 ივლისის №16/838 მიმართვის საფუძველზე, გარდაპის რაიონისში, ყოფილი ...ის, ამჟამად ...ის ქ. №...-ში სადაცო უძრავი ქონება დარეგისტრირებულ იქნა სახელმწიფოს საკუთრებად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 13 სექტემბრის №06-8/10147 მიმართვის საფუძველზე ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში მდებარე უძრავი ქონება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა. ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 31 იანვარს ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქ. გ-ას შორის ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საგანს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართობის ბინა (საკადასტრო კოდი: №... შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით. ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის №12.16.369 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება და №... ქონებაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრების მიტოვების საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრება აღდგა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევა-

ში, უდავო გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დანესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ის უნდა შესრულდეს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებებზე, ასევე ყურადღება გაამსხვილა საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ და აღნიშნა, რომ განსახილვები შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული გადაწყვეტილება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვალდებულებას არ ადგენდა. ამ გადაწყვეტილებით ქ. გ-ას საკუთრების უფლება არ მინიჭება. ამასთან, ამჟამინდელი მდგომარეობით, გასული იყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მითითება, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რაიმე სახის ვალდებულებას არ ადგენდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს მთავრობა (საქართველოს კონსტიტუციის 78.1 მუხ., სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების მეშვეობით („მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 4.1 მუხ., სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია). სამინისტროები იქმნებიან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო

მმართველობის უზრუნველსაყოფად (კანონის 14.1 მუხ.). სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება ნინასარ განსაზღვრული მიმართულებით, კონკრეტულ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით. სახელმწიფო პოლიტიკა არის სახელმწიფო მიზნების, ამოცანების, პრიორიტეტების, ძირითადი პრინციპების, სტრატეგიული პროგრამებისა და გეგმების ერთობლიობა, რომელიც მეშვეობით სახელმწიფო პოლიტიკა არის სახელისუფლების მიზნების მიზანმიმდართულ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას კონკრეტულ სფეროში მიაღწიოს ნინასარ განსაზღვრულ მიზნებს. სახელმწიფო პოლიტიკას ჰყოფენ მიმართულებებად იმის მიხედვით, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ხდება მისი შემუშავება და რეალიზაცია.

სააპელაციო პალატამ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სადაც ექნების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გადაცემის ერთ-ერთ მიზნზს წარმოადგენდა სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ გააჩნდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვის უფლებამოსილება, ვინაიდან იმ დროს მოქმედი საქართველოს მთავრობის 10.09.2004 წლის №77 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების“ (ძალადაკარგულია 01/03/2016).) თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავდა და წარმართავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითადი სფეროს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა (დებულების 2.1 მუხ.). აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვითაც, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 5.7 მუხ., საქართველოს მთავრობის 11.02.2016. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითა-

რების სამინისტროს დებულების“ 2.2 მუხ. „ე“ ქვ.პ.), რომლის საქ- მიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა სახელმწიფო ქონების მარ- თვა და განკარგვა (დებულების 2.1 მუხ.). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი და სათანადოდ განხორციელებაზე პასუხისმგე- ბელი ორგანო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან- ვითარების სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო სა- ხელმწიფო პოლიტიკას, არამედ აგრეთვე კონკრეტული ქმედებე- ბის/გადაწყვეტილებების სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში და- სახელ მიზნებთან შესაბამისობას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავ- რობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკი- ცებულ „სასიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებუ- ლებაზე“, რომლის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნუ- ლი სააგენტო შექმნილია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქარ- თველოს კანონის შესაბამისად („დებულების“ 1.1 მუხ.), სააგენტო ანგარიშებალდებულია სამინისტროს წინაშე, „სახელმწიფო ქონე- ბის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იური- დიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულე- ბით დადგენილ ფარგლებში („დებულების“ 1.3 მუხ.). მითითებული დებულების მეორე მუხლის მიხედვით, სააგენტოს მიზნებია: а) სა- ხელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; ბ) სახელმწიფო ქონე- ბის სარგებლობაში გადაცემა; გ) სახელმწიფოს წილობრივი მონა- წილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფ- ლებამოსილების განხორციელება; დ) კანონმდებლობით დადგენი- ლი სხვა საქმიანობის განხორციელება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოება- ზე, რომ სადაც პერიოდიდან დღემდე ქონების მესაკუთრეს წარ- მოადგენდა სახელმწიფო. მმართველობის სისტემის ერთიანობი- დან გამომდინარე კი, ვერ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ რომელი სამინისტროს მეშვეობით აღსრულდებოდა გა- დაწყვეტილება, ვინაიდან, რეალურად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა სახელმწიფოს ვალდებულება, გამოსახლების შემთხვევაში, ქ. გ-ა უზრუნველე- ყო საცხოვრებელი ფართით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. გ-ას გააჩნდა უფლება, გამოსახლების შემთხვევაში, სსიპ სახელ- მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსაგან, როგორც სახელმწიფო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირისაგან, მოეთხოვა გარ- დაბნის რაობული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2- 126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სსიპ სახელმწი-

ფო ქონების ეროვნული სააგენტოს მითითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და-დასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გას-ვლის შესახებ და განმარტა, რომ მითითებული ნორმის შესაბამი-სად, პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შე-უძლია, მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღ-სრულებო ფურცლის გაცემის, იძულებით აღსრულების მოთხოვ-ნით და ა.შ. სააპელაციო პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვე-ვაში, გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ად-გენდა ქ. გ-ას უფლებას, მხოლოდ სადაც ქონებიდან გამოსახლე-ბის შემთხვევაში მოეთხოვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფარ-თით დაკმაყოფილება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვე-ტილებით დადგენილი უფლების რეალიზება დამოკიდებული იყო ქონების მესაკუთრის განზრახვაზე – მოეხდინა მოსარჩელის სა-დაც ფართიდან აპელანტის გამოსახლება, რომლითაც იგი დღემ-დე უწყვეტად სარგებლობდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქ. გ-ასთვის გარდაბნის რა-იონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კა-ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლების დაკარგვის საფუძველი არ შეიძლება გამხდარიყო ხანდაზმულო-ბა, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით აპელანტს არ მინი-ჭებია უფლება, გამოსახლების ნინაპირობის გარეშე, მოეთხოვა ქო-ნების მესაკუთრისათვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილე-ბა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქ. გ-ასაკუთა-რი ნების გამოვლენით ვერ უზრუნველყოფა გარდაბნის რაიონუ-ლი სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან როგორც აღინიშნა, მისი მოთხოვნის უფლების წარმომობა სრულად იყო და-მოკიდებული ქონების მესაკუთრის – სახელმწიფოს გადაწყვეტი-ლებაზე გამოესახლებინა იგი, ხოლო თუ როდის მოისურვებდა მე-საკუთრე აღნიშნულს, არ ექვემდებარებოდა განსაზღვრას. სააპე-ლაციო პალატის შეფასებით, ქ. გ-ას ამგვარი უფლების მიმართ ხან-დაზმულობის ვადა არც ძველი და არც ახალი კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სახელ-მწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ქ. გ-ას გამოსახლების შემ-თხვევაში, გალდებულია აღსრულოს გარდაბნის რაიონული სასა-მართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები. შესაბამისად, მითითებული მოთხოვნის ნაწილში არსებობდა ქ. გ-ას სარჩელის

დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მიუჟთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს განხორციელდა არა მოთხოვნის ტრანსფორმირება, როგორც ამას თავად სააპელაციო სასამართლო უთითებს, არამედ მესამე სასარჩელო მოთხოვნის დამატებით სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა.

კასატორის განმარტებით, მოთხოვნის გაზრდის შედეგად დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის შეტანა. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას უხეშად იქნა დარღვეული ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნა, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს სახელმწიფო ქონების მმართველის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვალდებულებაზე, ადასრულოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. კასატორი მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ წარმოადგენს გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მხარეს, ამასთან, გადაწყვეტილება შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებას, რამდენადაც სწორედ ხსენებულმა სამინისტრომ შეასახლა ქ. გ-ა ფართში. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების პირობების აღსრულების დავალება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტო აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორი – ქ. გ-ა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საწყის ეტაპზე, მას მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესაძლებლობა. დაზუსტებისათვის, მოთხოვნილ იქნა 2013 წლის 31 იანვარს ქ. გ-ასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ქ. გ-ა ცნობილი ყოფილიყო ქალაქ თბილისში, ...ში, ...ის ქ. №...-ში პირველ სართულზე მდებარე 67.83 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ. ასევე, მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება, რომლის საფუძველზეც გაფორმდა პირდაპირი მიყიდვის ხელშეკრულება ქ. გ-ასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ამგვარი ფორმულირებიდან გამომდინარე, მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმეში მესამე პირად ჩაბმა, რამდენადაც ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეეხებოდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასამართლომ მას შეაცვლევინა დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა და შესთავაზა, რომ მოეთხოვა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. გ-ას სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობა. კასატორის განმარტებით, იგი მიენდო სასამართლოს და ამ კუთხით დაზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლომ კი მიიღო სულ სხვა სახის გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების დაცვა დაავალა. კასატორი მიუთითებს, რომ მისთვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იგი არ აცხადებდა, რომ სადავო ფართიდან მას ვინმე ასახლებდა, ქ. გ-ა სადავო ქონებაზე მის მესაკუთრედ ცნობას ითხოვდა.

კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებსა და განმარტებებს და მიიჩნევს, რომ ისინი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები. სააპელაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაშია შესული

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე სადაცო ბინაში დატოვებულ იქნა ალტერნატიული ბინით უზრუნველყოფამდე. კასატორის შეფასებით, მართალია, აღნიშნული არ ნიშნავდა იმ ბინით უზრუნველყოფას, რომელშიც იგი ფაქტობრივად ცხოვრობდა, თუმცა ეს არც იმას გულისხმობდა, რომ მოსარჩელე ამ ბინით არ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა კასატორს სადაცო ბინა, რომელიც შემდგომში მთავრობამ მას უკანონდ აღარ დაუმტკიცა.

ამასთან, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ არ არსებობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, რამდენადც სახეზე იყო საჩივრის დაკმაყოფილების ყველა ნინაპირობა. კასატორი აღნიშნავს, რომ 1975 წლიდან იგი მართლზომიერად ფლობს და სარგებლობს სადაცო ქონებით და მას სხვა უძრავი ქონება არ გაჩნია, ხოლო საქართველოს მთავრობა მას არც ალტერნატიული ფართით აკმაყოფილებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ქ. გ-ას საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ქ. გ-ას საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის სასამართლო სხდომიდან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ქ. გ-ას საკასაციო საჩივრების განხილვა გადაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე იმავე დღეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საა-

გენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. გ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო უპირველესად უურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მოსარჩელეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქალაქ თბილისში,ში,ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართის ქ. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვით საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკითხის მთავრობის სხდომაზე განსახილველად მომზადებისა და წარდგენის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება შეეთავაზა. ტრანსფორმირებაზე გაცხადებული თანხმობის შედეგად, მოსარჩელის საბოლოო მოთხოვნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის №2-126-02 კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების პირობების აღსრულების დავალებას დაუკავშირდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის ტრანსფორმირების პროცესუალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების თანაარსებობისა და ურთიერთშეჯერების გამოვლინებაა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის, ასევე, ამავე კოდექსის 248-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო იზღუდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით, თუმცა ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე მინიჭებული აქტიური როლის გათვალისწინებით, სასამართლო არა თუ უფლებამოსილი, არამედ ამგვარი საჭიროების შემთხვევა-

ში, ვალდებულია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ „...სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად მხარისათის მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარების განევა ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებას შეადგენს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის №ბს-294-294(კ-18) განჩინება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის მართებული ტრანსფორმირებისათვის გადამწყვეტია მოსარჩელის რეალური და საბოლოო იურიდიული ინტერესის გამორკვევა. სარჩელის ტრანსფორმირება ემსახურება მოსარჩელის საბოლოო მიზნის მიღწევის ხელშეწყობას და არა მოსარჩელის სამართლებრივი პოზიციის ან/და სარჩელის პერსპექტიულობის შესუსტებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოთხოვნის ტრანსფორმირების ექსკლუზიური უფლებით სასამართლოს აღქურვა წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ სასამართლოს მოსარჩელის რეალური, ნამდვილი იურიდიული ინტერესის ამოკითხვისა და მასთან მისადაგებული შინაარსით სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის უპირატესი შესაძლებლობა გააჩნია. ყოველივე აღნიშნული კი წარმოშობს სასამართლოს მიმართ მხარის ნდობის ლეგიტიმურ საფუძველს, კერძოდ, სასამართლოს მხრიდან მოთხოვნის ტრანსფორმირების შეთავაზებით მხარეს უჩინდება განცდა, რომ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის გარდაქმნის, სხვაგვარად ფორმულირების რეალური საჭიროება.

შესაბამისად, ამგვარ შეთავაზებაზე მხარის მხრიდან გაცხადებული, სასამართლოს მიმართ ნდობით განპირობებული დასტური სარჩელის კონკრეტული სახით ტრანსფორმირებაზე არ წარმოადგენს უპირობო გარანტს იმისა, რომ მოსარჩელეს სარჩელის სწორედ ასეთი ფორმულირებით სურდა იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილება. მხარის მიერ გაცხადებული თანხმობა არ გამორიცხავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს პროცესუალურ შესაძლებლობას, გადაამოწმონ ტრანსფორმირების მართლზომიერება, მის საფუძველზე მიღებული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების მოსარჩელის საბოლოო იურიდიულ ინტერესებთან ურთიერთმიმართება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. გ-ა სამართალნარმოების დაწყების საწყისი ეტაპიდანვე მოითხოვდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის არა უშუალოდ გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობების დაცვას თუ მისი აღ-

სრულების დავალებას, არამედ კონკრეტულად სადაც ფართის მის სახელზე პრივატიზების განხორციელებას. მოსარჩელის საბოლოო იურიდიული ინტერესი სარჩელის წარდგენის მომენტიდან მთელი სამართალწარმოების მანძილზე უკავშირდებოდა სადაც ფართზე საკუთრების უფლების მოპოვებას, მაშინ, როდესაც გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი ვინდიკაციური სარჩელის სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ სამინისტროს მხოლოდ მაშინ ჰქონდა სადაც ფართიდან ქ. გ-ას გამოსახლების უფლება, თუკი იგი მოპასუხეს (ქ. გ-ას) ალტერნატიული საცხოვრებლით დააკმაყოფილებდა. მოხმობილი გადაწყვეტილება მოსარჩელეს უპირობოდ არ ანიჭებს საკუთრების უფლებას საცხოვრებლზე. გადაწყვეტილების შინაარსის სხვა ფაქტობრივი გარემოებებისაგან განკერძოებით წაკითხვა ცხადყოფს, რომ მოსარჩელეს მხოლოდ მაშინ ექნებოდა რაიმე ფართზე უფლების მოპოვების შესაძლებლობა, თუკი სამინისტრო მისი სადაც ფართიდან გამოსახლებას გადაწყვეტდა. ამდენად, მითითებული გადაწყვეტილების აღსრულება დასაშვები იყო ორი მიმართულებით, კერძოდ, ქ. გ-ასათვის ქალაქ თბილისში, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართით სარგებლიობის დაშვებით ან ამ ფართიდან მისი გამოსახლებითა და მისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გადაცემით. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების პირობების შესრულება ავტომატურად არ გულისხმობს მოსარჩელის იმ იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც უკავშირდება კონკრეტულად სადაც ფართზე (ქალაქ თბილისში, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართი) საკუთრების უფლების მოპოვებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საწყის ეტაპზე მოსარჩელეს შეეთავაზა სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების შეცვლა და სარჩელის ახლებურად ფორმულირებისათვის მიეცა გარკვეული დრო. 2019 წლის 20 დეკემბერს ქ. გ-ას წარმომადგენელმა მოთხოვნის ტრანსფორმირების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და წაცვლად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქ. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვით საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკითხის მთავრობის სხდომაზე განსახილველად მომზადებისა და წარდგენის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავა-

ლებისა, მოითხოვა ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის № 12.16.369 დადგენილების (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის № 33.34.1192 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ქ. გ-ასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა სადავო ფართის პირდაპირი მიყიდვის თაობაზე ხელშეკრულება) ბათოლად ცნობა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქმეში მესამე პირად ჩაბმა. წარდგენილი განცხადება უტყუარად ადასტურებდა მოსარჩელის მხრიდან იმ სამართლებრივი შედეგების აღდგენის სურვილსა და მიზანს, რომელიც ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის № 12.16.369 დადგენილების გამოცემამდე არსებობდა. შესაბამისად, მოსარჩელის საბოლოო მიზანს სადავო ფართზე მუნიციპალური საკუთრების აღდგენა და მისთვის პირდაპირი ფორმით მიყიდვის შესახებ დაწყებული პრივატიზების პროცედურების წარმატებით დასრულება წარმოადგენდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, განცხადების წარდგენის შემდგომ სააპელაციო სასამართლოში გამართულ პირებელსაცე სასამართლო სხდომაზე სააპელაციო სასამართლომ მხარეს განუმარტა, რომ მისი მიზნების მიღწევისათვის უმჯობესი იქნებოდა სასარჩელო მოთხოვნის სხვაგვარად ტრანსფორმირება და საბოლოოდ, სიიც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის № 2-126-02 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობების აღსრულების დავალება. ცხადია, მოსარჩელე, რომელსაც გააჩნდა ლეგიტიმური ნდობა სასამართლოს აღნიშნული შეთავაზების მიმართ, დაეთანხმა სარჩელის ამგვარ ფორმულირებას. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ტრანსფორმირებით პრაქტიკულად შეასუსტა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობების დაცვის მოთხოვნის შედეგად, სარჩელი არც დაზუსტებულა და არც შესაბამისობაში მოსულა მოსარჩელის საბოლოო მიზანთან. პირიქით, სარჩელის ახლებურმა ფორმულირებამ ფაქტობრივად შეამცირა დავის საგანი, წაართვა მხარეს სადავო ფართზე საკუთრების უფლების შექმნის პროცესუალური შესაძლებლობა და ამით, ფაქტობრივად დაშორა სარჩელის აღმცრის ეტაპიდან არსებულ იურიდიულ ინტერესთან. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის ასეთი გარდაქმნა თავისი შინაარსით დაუშვებელია ასოციირდებოდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებულ სარჩელის ტრანსფორმირების პროცესუალურ-სამართლებრივ უფლებამოსილებასთან. მო-

ცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ შეთავაზებული მოთხოვნის ფორმულირების სარჩელის ტრანსფორმირებად მიჩნევა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უშუალოდ სადაც საპრივატიზებო ფართის მოსარჩელი-სათვის საკუთრებაში გადაცემის უპირობო აუცილებლობას გათვალისწინებდა. თუმცა საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთიებს, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვინდიკაციური სარჩელის საფუძველზე და იგი შეეხებოდა მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხვას. გადაწყვეტილება არ შეეხებოდა უშუალოდ სადაც ფართით ქ. გ-ას დაქმაყოფილებას. ამდენად, სარჩელის ამგვარი ფორმულირებით სააპელაციო სასამართლო პრაქტიკულად გასცდა დავის საგანს და სარჩელის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობის გამოყენებით ფაქტობრივად გაიმეორა ის სასამართლებრივი შედეგები, რომელიც გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქ. გ-ას ადმინისტრაციული სარჩელისაგან დამოუკიდებლადაც არსებობდა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ქ. გ-ა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარშიც არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელის ასეთ სახეცვლილებას. ამასთან, კასატორი საკასაციო საჩივარში იმეორებს იმ სასამარჩელო მოთხოვნას, რომელიც სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადებით იქნა დაყენებული. უფრო მეტიც, 2021 წლის 9 დეკემბერს ქ. გ-ას წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოსარჩელესა და ქალაქ თბილისის მთავრობას შორის 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული პირდაპირი მიყიდვის ხელშეკრულების კანონიერად მიჩნევა და სადაც ფართზე ქ. გ-ას მესაკუთრედ ცნობა მოითხვა. მართალია, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არამართებულად იქნა გამოყენებული სარჩელის ტრანსფორმირების პროცესუალური ღონისძიება, თუმცა საკასაციო სასამართლო მოვლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას საკასაციო საჩივარში მოთხოვნილი სახით სასამარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემთხვევაში იმსჯელოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის № 12.16.369 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ. უპირველესად, აღნიშნული სავალდებულოდ გახდიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოპასუხედ ჩართვას და ინსტანციური განსჯადობის წესების დაცვის საჭიროება წარმოშობდა საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის

დაბრუნების აუცილებლობას. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია, სარჩელის ასეთი ფორმულირება მოსარჩელის საბოლოო მიზანთან სრულ თანხვედრაშია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს მოთხოვნის ალტერნატიულად ჩამოყალიბების შესაძლებლობაც, რომელიც საკასაციო სასამართლოსვე მისცემს საკითხზე არსებითი მსჯელობის პროცესუალურ საშუალებას, საკასაციო სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ისეთი არაეფექტური გზის შერჩევას, რომელიც დროში არაგონივრულად და გაუმართლებლად გააჭიანურებს დავის გადაწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის საბოლოო ოურიდიული მიზანი უკავშირდება ქალაქ თბილისში, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებულ 67.83 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების მოპოვებას, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, ხსენებული უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მოსარჩელის მიზნის მხედველობაში მიღებით, იმსჯელებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 წერილისა და მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანების კანონიერებაზე, ასევე, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სადაც უძრავი ქონების მოსარჩელე ქ. გ-ასათვის საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით გადაცემის დავალებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუჰითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განკარგვის ერთერთი ფორმას წარმოადგენს პრივატიზება, რაც გულისხმობს ელექტრონული ან/და საჯარო აუცილონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოადგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების

უფლების შეძენას ამ კანონით დადგენილი წესით (მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).

ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება: ა) აუქციონით; ბ) პირდაპირი მიყიდვით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით, გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაშვებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით პრივატიზების შემდეგი ფორმები:

- ქონების მმართველის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობით ფიზიკური პირებისათვის ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა მისი ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძნებით განსაზღვრული წესით (კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი);

- ქონების მმართველის მიერ საქმის მომზადებისა და შესაბამისი წარდგინების საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის - დევნილებისათვის, აგრეთვე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემა (კანონის 6³ მუხლი).

- იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზება (კანონის მე-10 მუხლი);

- იჯარით გაცემული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შესაბამის მოიჯარეზე (კანონის 18¹ მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქ. გ-ა ქალაქ თბილისში,ში,ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებულ 67.83 კვ.მ ფართში 1970-იანი წლებიდან (ცხოვრობს. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ქ. გ-ასთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ მას თავისი წებით არ მიუკუთვნებია სხვისი საკუთრება. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ მესაკუთრემ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ) სააგვო სახლში თავად შეასახლა ქ. გ-ა, რითიც მისი საკუთრება დატ-

ვირთა პირადი სერვიტუტის უფლებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა და იმ დროისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს ბალანსზე არსებული, ... ში, ...ის ქუჩის №...-ში (...ის ქუჩის №...-ში) მდებარე შენობიდან ქ. გ-ასა და მასთან მცხოვრები პირების გარდა, სამაგიერო ფართის მიუცემლად ყველა პირი იქნა გამოსახლებული. ქ. გ-ასა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების პირობად კი, მოსარჩელის მიერ მათი ფართით დაკმაყოფილება დადგინდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ქ. გ-ას სადავო ფართიდან გამოსახლების შეზღუდვა, კერძოდ, ასეთი შესაძლებლობის დაშვება მხოლოდ ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილების პირობის სანაცვლოდ, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ქ. გ-ას სამართლებრივ კავშირს სადავო ფართთან. საგულისხმოა ისიც, რომ გადაწყვეტილება ქ. გ-ას მიმართ დაახლოებით 20 წლის მანძილზე არ აღსრულებულა, კერძოდ, არ მომხდარა მისი სადავო ფართიდან გამოსახლება. საბოლოოდ, სადავო ფართის თითქმის 50-წლიანი ფლობის მანძილზე, სახელმწიფოს არ გაუტარებია არანაირი ქმედითი, ეფექტური ღონისძიება (მათ შორის, არც გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში), რომელიც ხელს შეუწყობდა სადავო უძრავი ქონებით ქ. გ-ას სარგებლობის აღკვეთას და ცალსახად დაადასტურებდა სახელმწიფოს გარდაუგალ ინტერესს ფართის მიმართ.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სადავო ქონება გადაცემულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი მიმართვით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა სადავო ფართის განვარგვის დროს მხედველობაში მიღებულიყო გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსი და დაინტერესებული პირის – ქ. გ-ას კანონიერი ინტერესი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 9 ივლისის №16/838 მიმართვის საფუძველზე, გარდაბნის რაიონის ამჟამად ის ამჟამად ქუჩის №...-ში მდებარე სადავო უძრავი ქონება დარეგისტრირებულ იქნა სახელმწიფოს სა-

კუთრებად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 13 სექტემბრის №06-8/10147 მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში მდებარე უძრავი ქონება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა. ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 31 იანვარს ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქ. გ-ას შორის ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საგანს ნარმოადგენდა ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართეულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართობის ბინა (საკადასტრო კოდი №.....) შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით. ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის №12.16.369 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება და №... ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების მიტოვების საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრება აღდგა.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გააახვილოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 აპრილის დადგენილებაზე, რომლითაც განისაზღვრა, რომ ქ. თბილისის მთავრობის გარკვეული დადგენილებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, კოტეჯებისა და აგარაკების ტიპის უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ვინც ხანგრძლივ სარგებლობაში ფლობდა აღნიშნულ ქონებას. დადგენილებაში მითითებულია, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადება იმ უძრავი ქონებების ნაწილში, რომლებზეც არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულებები, სრულად არ განხორციელებულა საკუთრებაში გადაცემის პროცედურები და გაფორმებული ხელშეკრულებები არ შესულა ძალაში. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს ძალადაკარგულად გამოცხადების ერთადერთ მიზეზზე, კერძოდ, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიუთითა, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტების და ხელშეკრულებების ძალადაკარგულად გამოცხადება შესაძლებელს გახდიდა განხილული ყოფილიყო უძრავ ქონებაზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების მიტოვების საკითხი, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემდა სახელმწიფო ორგანოებს, საჭიროებისამებრ განეხილათ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შემდგომში მისაღები გადაწყვეტილე-

ბები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ქალაქ თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების კანონიერება, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ მითითებული დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დადგენილებები მხოლოდ იმ უძრავი ქონებების ნაწილში, რომელგანც ვერ მოესწრო ნასყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება/ძალაში შესვლა ან/და სრულად ვერ განხორციელდა საკუთრებაში გადაცემის პროცედურები. ამასთან, ყურადსალებია ისიც, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ დადგენილებები არა თუ ბათილად ცნო, არამედ ძალადაკარგულად გამოაცხადა, რითიც, ფაქტობრივად, დაადასტურა იქამდე წარმოშობილი სასამართლებრივი შედეგებისა და თავის მხრივ, უშუალოდ გაუქმებული დადგენილებების (მათ შორის, 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილება) კანონიერება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოებს ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეების მილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი

წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე პეტე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ გალდებულებას, სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს საკუთრების უფლების დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზო-

გადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინა-რე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას, ამასთან, მუხლი სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას, ჩაერიონ ამ უფლებაში: უშვებს პირის საკუთრების ჩამორთმებას „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ და შეორე პუნქტი უფლებამოსილს ხდის სახელმწიფოს, დაადგინოს „თავისი შეხედულებისამებრ აუცილებელი კანონმდებლობა“ გადასახადებთან და სხვა შემოწირულობასა თუ სახდელებთან დაკავშირებით (იხ. სპამპინატო იტალიის წინააღმდეგ (Spampinato v. Italy), No. 23123/04, განჩინება 29.3.07.).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს საკუთრების უფლების დასაცავად კონკრეტული ლონისძიებების გატარებას, „ფიზიკურ პირებსა თუ კომპანიებს შორის სამართალწარმოების შემცველ საქმეებთან მიმართებითაც კი“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 54-ე პარაგრაფი). ეს კი კონკრეტულად იმას გულისხმობს, რომ „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურები, რომლებიც სთავაზობს აუცილებელ პროცედურულ გარანტიებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ეროვნული სასამართლოებისთვისა და ტრიბუნალებისთვის, კერძო პირებს შორის ნებისმიერ დავაზე აწარმოონ სამართალწარმოება ეფექტიანად და სამართლიანად“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 96-ე პარაგრაფი).

საკასაციო სასამართლო ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის თანახმად, „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის გაუმართლებელი შერყევა ნეგატიურად აისახება სამართლის მიმართ ნდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერ საფუძველზე ნარმოშობილი ლეგიტიმური მოლოდინი. მოლოდინი, რომ ლეგიტიმურად და, შესაბამისად, საქართვე-

ლოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს კანონიერი საფუძველი და უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ ქმნის სახელმწიფოსგან მატერიალური სარგებლის უპირობოდ მოთხოვნის უფლებას. აქ ნაგულისხმევია შემთხვევა, როდესაც მატერიალური სარგებლის მოთხოვნა ეყარება კონკრეტულ, ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522, 553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43, 44).

ამასთან, ლეგიტიმური მოლოდინის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადსალებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო ორაქტიკა. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივ შინაარსზე, რომელიც „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“. (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03; პლეხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (Plechanow v. Poland), No. 22279/04, 7.7.09.).

საკუთრების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით. „...ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.07.2010წ. №1/5/489-498 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). საკუთრება მოიცავს როგორც მატერიალურად არსებულ ქონებას, ასევე აქტივებს (ქონებრივ უფლებებს), მათ შორის მოთხოვნებს რომელთა მიმართაც მომჩინეანს შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს საკუთრებით სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის სულ მცირე გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი (Hamer v. Belgium, No.21861/03, §§75, 76, ECHR 2007-V(extracts)).

„ლეგიტიმური მოლოდონის“ ცნებასთან მიმართებით, საინტერესოა საქმე რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღ-

მდეგ (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი), სადაც აღინიშნა, რომ „სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგბიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიზუალური მიედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს.“

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მოსარჩელეს სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებით გააჩნია დახსლებით 50-წლიანი სამართლებრივი კავშირი. ამასთან, არსებობს გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებამდე ქ. გ-ას გამოსახლების შეუძლებლობით განამტკიცებს მოსარჩელის სამართლებრივ კავშირს სადავო ქონებისადმი. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 2008 წელს გადადგმული ნაბიჯები ადასტურებს, რომ სადავო ფართის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსიდან მოხსნა და მისი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო-სათვის გადაცემა ქ. გ-ას ინტერესების გათვალისწინების პირობით განხორციელდა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2013 წლის 31 იანვარს ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსა და ქ. გ-ას შორის გაფორმდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ, დაეყრდნო ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის №33.34.1192 დადგენილებას, რომელიც სრულიად გაურკვეველი მიზეზებით იქნა ძალადაკარგულად გამოცხადებული.

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. გ-ას გაუჩნდა არა მხოლოდ ფუჭი იმედი მისთვის ფართის საკუთრებაში გადაცემისა, არამედ მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გატარებულმა სამართლებრივმა ღონისძიებებმა წარმომაშვა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების ლეგიტიმური მოლოდინი. სახელმწიფომ არაერთი სამართლებრივი მოქმედებით დაადასტურა, რომ ქ. გ-ას გააჩნდა მყარი სამართლებრივი კავშირი სადავო ფართის მიმართ, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გააქონურა უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმომაბა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ საქართველოს

უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებს შეეთავაზათ მორიგება და მიეცათ დრო აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, თუმცა უშედეგოდ. საგულისხმოა, რომ სწორებ მოპასუხებმა უარი თქვეს მოსარჩევე ქ. გ-ას თუნდაც ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არსებითია, მმართველობითი საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფუძნებოდეს თითოეული პირის რეალურ, ინდივიდუალურ ინტერესს. დაუშვებელია მმართველობითი ორგანოები ხელოვნური, უსაფუძვლო ბარიერების შექმნის გზით აფერხებდნენ ან ხელს უშლიდნენ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების წარმოშობასა და რეალიზაციას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს მხედველობაში უნდა მიეღოთ მოსარჩელის სამართლებრივი კავშირი სადაც ფართთან, უნდა შეეფასებინათ ყველა ის ლონისძიება, რომელიც ქ. გ-ას მიმართ სახელმწიფოს მხრიდან იქნა გატარებული. აქვე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მმართველობის სისტემის ერთიანობიდან გამომდინარე, ვერ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ კონკრეტულად რომელი ორგანოს მხრიდან რა მოქმედება იქნა განხორციელებული მოსარჩელის მიმართ, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში, არსებითია ის, რომ სადაც უძრავი ქონების პრივატიზების პროცესთან დაკავშირებული ყველა მოქმედება (სახელმწიფოს თუ მუნიციპალური ორგანოების), საბოლოოდ, სახელმწიფოს შეერაცხება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის ლეგიტიმური მოლოდინის მხედველობაში მიღებით, მას ფაქტობრივად წარმოეშვა საკუთრების მიღების მოთხოვნის უფლება, რომლის რეალიზაციაც სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებაა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უნდა მიმართოს კანონით გათვალისწინებულ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რათა უზრუნველყოს სადაც ფართის ქ. გ-ას საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. გ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის

№5/66157 წერილი და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანება და მოპასუხეს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უნდა დაევალოს ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართის ქ. გ-ასათვის საკუთრებაში გადაცემა კანონით დადგენილი წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ქ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66157 წერილი;
6. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის №1-1/254 ბრძანება;
7. მოპასუხეს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალოს ქალაქ თბილისში,ში, ...ის ქუჩის №...-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართის ქ. გ-ასათვის საკუთრებაში გადაცემა კანონით დადგენილი წესით;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულების ნამინისტრაციის ცოდნის საფუძვლი

განერიება საქართველოს სახელი

№ბა-613(კ-19)

10 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნაწი-
ლობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 23 მარტს ნ. რ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხებების – საქართველოს პრეზიდენტისა და საქარ-
თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/
08/03 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრა-
დი განვითარების სამინისტროსა და ჩ. რ-ას შორის 2012 წლის 4
სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწი-
ლობრივ ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით არის აფხაზეთიდან დევნილი და
ცხოვრობს ქირით ქ. თბილისი, ...ს ქ. №11-ში. ჰყავს მცირენლოვანი
შეილი და არის სოციალურად დაუცველი პირი. საქართველოს პრე-
ზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულებით, ჩ.
რ-ასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს შორის 2012 წლის 4 სექტემბერს დაიდო ნასყიდობის
ხელშეკრულება, რომლითაც ჩ. რ-ას გადაეცა პირობადადებული სა-
კუთრების უფლება უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქ. თბილისი, „...ო“,
..., №36, ბინა №24, ფართი 45.60 კვ.მ). აღნიშნული ხელშეკრულე-
ბის თანახმად, ჩ. რ-ამ აიღო ვალდებულება, ნ. რ-უზრუნველეყო
საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემულ ქონებაში. თუმცა,
ხელშეკრულების დადებისას დაირღვა მოსარჩელის უფლებები, ვი-
ნაიდან ხელშეკრულების გრაფაში ის დაუკითხავად და შეუთან-
ხმებლად ჩაწერეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოსარჩევისთვის არ უცნობებიათ ხელშეკრულების თაობაზე და არც წერილობითი თანხმობა მიუღიათ მისგან, რა დროსაც დაირღვა მოსარჩევის უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და ჩ. რ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით 6. რ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. რ-ამ, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის განჩინებით 6. რ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, ...ი №36, ნაკვეთი ... (ს. კ ...) , საკუთრების უფლებით 2012 წლის 8 სექტემბრიდან აღრიცხულია ჩ. რ-ას სახელზე.

6. რ-ა წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს. მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იძულებით გადაადგილებამდე იყო აფხაზეთი, ...ე, ...ის ქ. № 102. მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილია თბილისი, ...ი, ...ი №36. აღნიშნული ასევე წარმოადგენს მის ფაქ-

ტოპრივ საცხოვრებელსაც.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირ-დაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულებით დადგინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა, ამავე განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირებისათვის.

განკარგულების თანახმად, უძრავი ქონება (ქ. თბილისი, „...ო“, ... №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45.60 კვ.მ) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცათ ჩ. რ-ას, მ. რ-ას და ნ. რ-ას. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილი იქნა საპრივატიზებო პირობები: ა) მყიდველი ვალდებული იყო საპრივატიზებო თანხა გადაეხადა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში; ბ) მყიდველი ვალდებული იყო ხელშეკრულებაში მითითებული პირები უზრუნველყოფით საცხოვრებელი ფართობით; გ) მყიდველს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულს პირებს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ უნდა ესარგებლათ და მფლობელობაში არ უნდა ჰქონოდათ რაიმე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობი, მოპოვებული მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებისა; დ) მყიდველი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შემდგომ გასხვისებაზე თანხმობა გაცემულად ითვლებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გასხვისებისას ახალ შემძებნებით გადადიოდა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობები.

განკარგულების მე-4 პუნქტით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა ამ განკარგულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული

ბული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულების საფუძველზე, 2012 წლის 4 სექტემბერს, ერთიანი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (შემდეგში „გამყიდველი“) და მეორეს მხრივ ჩ. რ-ას (შემდგომში „მყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ჩ. რ-ას გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, „...ო“, ... №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45,60 კვ.მ, ს.კ.

....

ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, ჩ. რ-ამ აიღო ვალდებულება უზრუნველეყო მ. რ-ა და ნ. რ-ა საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემულ ქონებაში. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, მყიდველმა დაადასტურა, რომ ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მყიდველი და ხელშეკრულების 2.2. პუნქტში ჩამოთვლილი პირები, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე არ სარგებლობდნენ ან არ ფლობდნენ სხვა რამე სახის საცხოვრებელ ან არასაცხოვრებელ ფართს, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებისა.

ხელშეკრულების 2.5. პუნქტით დადგინდა ჩ. რ-ას ვალდებულება – საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ იგი ვალდებული იყო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება გამოეყენებინა ისე, რომ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირები უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ხელშეკრულების 3.1. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებდა წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტებლოს ოდენობა.

ხელშეკრულების 3.2. მუხლის თანახმად, მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების, გარდა ამ ხელშეკრულების 2.3. და 2.4. პუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა, შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვრა 500 ლარით.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის მოტივით სარჩელზე უარის თქმა და აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლე-

ბამოსილების ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის სა-დავო არ არის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კა-ნონის საფუძველზე პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლება სა-ხელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზა-ციის პროცესში გამოყენოს ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმა. სადაც არ არის ასევე მოსარჩევეზე გასხვისებული ქონების სა-ხელმწიფო საკუთრების ფაქტი, რაც სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნიშნავდა იმას, რომ მხარეთა შორის დადებული გარი-გება არ საჭიროებდა შემოწმებას ადმინისტრაციულ კანონმდებ-ლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საერთველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული და-მატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვ-ნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივ-თებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწი-ნებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადა-ვო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც სამოქა-ლაქო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს ხანდაზმულობის სა-ერთო და სპეციალურ ვადებს, შესაბამისად, მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მხრიდან მოცემული ურთიერთობის მი-მართ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გან-საზღვრული სამხლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება და აღ-ნიშნა, რომ ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლას კანონმდე-ბელი უკავშირებს შესაბამის სამართლებრივ შედეგს, პრინციპუ-ლი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ხანდაზმულობის ვადის დაწყე-ბის მომენტის დადგენას.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის 130-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის დანაწესი იმთავითვე გამორიცხავდა მოსარჩელის 6. რ-ას მოსაზ-რების გაზიარების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მისი სა-

სარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა უნდა დაუკავშირდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან მიღებულ 2017 წლის 1 თებერვლის №01-02/08/2237 ნერილს, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ბინის ქირით უზრუნველყოფასთან დააკავშირდით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტიდან დადასტურებულია, რომ ნ. რ-ას დროებით საცხოვრებელ ადგილს (რეგისტრაციის ადგილს) და ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს თბილისი, ...ი, ...ი №36. სწორედ აღნიშნულ მისამართზე არსებულ უძრავ ქონებაზე დაიდო ხელშეკრულება ჩ. რ-ასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ნ. რ-ა ინფორმირებული იყო ხელშეკრულების დადების თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელე და ჩ. რ-ა ერთ მისამართზე (ცხოვრობდნენ). რაც შეეხება, აპელანტის – ნ. რ-ას მითითებას იმ გარემოებაზე, რომ იგი 2012 წლის დასაწყისიდან არ ცხოვრობდა დედასთან – ჩ. რ-ასთან და მისთვის ცნობილი არ იყო 2012 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩ. რ-ას შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მითითებული არგუმენტს, გარდა მისი ახსნა-განმარტებისა არ ამყარებდა საქმეში წარმოდგენილი არცერთი სხვა სახის მტკიცებულება.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან განსახილვებულ შემთხვევაში უტყუარად დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გაშეების ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ამ.

კასატორმა – ნ. რ-ამ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დევნილთა ანკეტაზე დაყრდნობით დადგენილად ჩათვალა, რომ თითქოს იგი ინფორმირებული იყო 2012 წლის 4 სექტემბერს ჩ. რ-ასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე. თუმცა, საქმეში არსებული დევნილთა ანკეტა არ წარმოადგენს 2012 წელს

6. რ-ას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელ მტკიცებულებას. 2012 წლის დასაწყისიდან იგი ცხოვრობდა არა დედასთან ჩ. რ-ასთან, არამედ ქ. თბილისში სხვა მისამართზე, რადგან ფაქტობრივ ქორნინებაში იყო ამჟამინდელ მეუღლესთან.

საქმეში წარმოდგენილია ამონანერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთანი ბაზიდან, რომლითაც დასტურდება კასატორის ქ. თბილისში სხვა მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

კასატორი აღნიშნავს, რომ მან 2016 წლის 9 დეკემბერს №60126/01 განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ბინის ქირის საკომპენსაციო თანხა.

2017 წლის 1 თებერვალს 6. რ-ამ ზემოაღნიშნული სამინისტრო-დან მიიღო წერილი და განმარტება, რომ ვინაიდან მის ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ბინა, მის თხოვნას ბინის ქირით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ვერ დააკამაყოფილებდნენ.

2017 წლის 21 თებერვალს ჩ. რ-ამ განცხადებით მიმართა სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა 2012 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულების გადაცემა, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისში ...ი №36, ბინა №24 საკუთრების უფლებით აღირიცხა ჩ. რ-ას სახელზე.

კასატორის მითითებით, სწორედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გახდა მისთვის ცნობილი, რომ მასთან შეუთანხმებლად 2012 წლის 4 სექტემბრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩ. რ-ას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ჩ. რ-ას ოჯახს, რომელშიც შედიოდა 6. რ-ა, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში ...ი №36-ში მდებარე ბინა №24.

კასატორის მითითებით, 2012 წლის 4 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილ იქნა ერთ ეგზემპლარად და ის თავად ჩ. რ-ასთვისაც არ გადაუციათ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება კასატორისთვის ცნობილი გახდა სარჩელის შეტანის შემდეგ.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ დედასთან ერთად ცხოვრების შემთხვევაში სათანადო ორგანოების წარმომადგენლები აუცილებლად ჩამოართმევდნენ მას წერილობით თანხმობას 2012 წლის 4 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს.

კასატორი მოუთითებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 განკარგულებით დამტკიცებულ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ

ლონისძიებათა პროგრამასა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმაზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ხელთ უნდა ჰქონოდათ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მიწოდებული ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტებში რეალურად მცხოვრები დევნილების და მათი ოჯახების შემადგენლობის შესახებ და დევნილის ოჯახის წარმომადგენელთან წასყიდობის ხელშეკრულების დადებისას უნდა ეხელმძღვანელათ და დაყრდნობოდნენ ამ ინფორმაციას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მითითებით, დაუდგენელია რა დოკუმენტაციის საფუძველზე იქნა მიჩნეული იგი პრივატიზებულ ფართში მცხოვრებ პირად და ჩ. რ-ას ოჯახის წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 მაისის განჩინებით (მოსამართლე – ვასილ როინიშვილი), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული 6. რ-ას საკასაციო საჩივარი.

ამასთან, მოსამართლე – ვასილ როინიშვილის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის გამო, 2020 წლის 23 ივნისს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განანილდა მოსამართლე – ქეთევან ცინცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაცელები ცნობილი იქნა სსიპ დეენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული 6. რ-ას საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. რ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

6. რ-ა წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს. მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იძულებით გადაადგილებამდე იყო აფხაზეთი, ...ე, ს. ...ის ქ. №102. მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილია თბილისი, ...ი, ...ი №36.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულებით დადგინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა, ამავე განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირებისათვის.

განკარგულების თანახმად, უძრავი ქონება (ქ. თბილისი, „...ო“, ...ი №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45.60 კვ.მ) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემათ ჩ. რ-ას, მ. რ-ას და ნ. რ-ას. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილი იქნა საპრივატიზებო პირობები: ა) მყიდველი ვალდებული იყო საპრივატიზებო თანხა გადაეხადა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში; ბ) მყიდველი ვალდებული იყო ხელშეკრულებაში მითითებული პირები უზრუნველეყო საცხოვრებელი ფართობით; გ) მყიდველს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირებს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ უნდა ესარგებლათ და მფლობელობაში არ უნდა ჰქონოდათ რაიმე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობი, მოპოვებული მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებისა; დ) მყიდველი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირები არ მოითხოვდნენ სახელმწიფოსაგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან, ან სხვა პირებისაგან რაიმე სახის კომპენსაციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შემდგომ გასხვისებაზე თანხმობა გაცემულად ითვლებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გასხვისებისას ახალ შემძებზე არ გადადიოდა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობები.

განკარგულების მე-4 პუნქტით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ოკუპი-

რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა ამ განკარგულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულების საფუძველზე, 2012 წლის 4 სექტემბერს, ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (შემდეგში „გამყიდველი“) და მეორე მხრივ ჩ. რ-ას (შემდგომში „მყიდველი“) შორის გაფორმდა ნახილობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ჩ. რ-ას გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდგრაжე: ქ. თბილისი, „...ო“, ...ი №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45,60 კვ.მ, ს.კ.

ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, ჩ. რ-ამ აიღო ვალდებულება უზრუნველეყო მ. რ-ა და 6. რ-ა საცხოვრებელი ფართით მისოვთის გადაცემულ ქონებაში. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, მყიდველმა დაადასტურა, რომ ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მყიდველი და ხელშეკრულების 2.2. პუნქტში ჩამოთვლილი პირები, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე არ სარგებლობდნენ ან არ ფლობდნენ სხვა რამე სახის საცხოვრებელ ან არასაცხოვრებელ ფართს, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებისა.

ხელშეკრულების 2.5. პუნქტით დადგინდა ჩ. რ-ას ვალდებულება – საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ იგი ვალდებული იყო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება გამოყენებინა ისე, რომ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირები უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ხელშეკრულების 3.1. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებდა წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტებლოს ოდენობა.

ხელშეკრულების 3.2. მუხლის თანახმად, მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების, გარდა ამ ხელშეკრულების 2.3. და 2.4. პუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა, შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვრა 500 ლარით.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, ...ი №36, ნაკვეთი ... (ს.კ ...), საკუთრების უფლებით 2012 წლის 8 სექტემბრიდან აღრიცხულია ჩ. რ-ას სახელზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ოკუ-

პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველაოდ აღიარებულ პრინციპებს, განსაზღვრავს საქართველოს ოუზირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირის დევნილად ცნობის, მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეების არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა და-ეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასაბრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლო გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე ნილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შეუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: а) აუქციონი; б) პირდაპირი მიყიდვა; г) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით და პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ქონების მმართველის მიერ, ამ კანონის 18¹ მუხლით დადგინლი წესით (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებაზე, რომლითაც დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს საქართველოს მთავრობის მიდგომას იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, აანალიზებს არსებულ პრობლემებს და სახავს სახელმწიფოს ორ უმთავრეს მიზანს: 1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის; 2. დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა. დასახელებული განკარგულების მე-5 თავის თანახმად, დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის ამოცანის გადასაჭრელად სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილთათვის საბინაო და სოციალური პირობების, მათი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების, აგრეთვე აუცილებელი საკანონმდებლო ინციატივების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს დევნილთა კატეგორიების განსაზღვრას მათი სიღაცავის ხარისხის (თუ რა ტიპის ზრუნვას საჭიროებს) და უნარშესაძლებლობების (შეუძლია თუ არა თვითკმარობის მიღწევა) მიხედვით, რაც მოითხოვს შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებას. დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად მნიშვნელოვანია პროგრამების ისე დაგეგმვა, რომ მნინიმალური ზიანი მიადგეს დევნილთა შორის ჩამოყალიბებულ სოციალურ და ეკონომიკურ კავშირებს. ამავე განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა ამ განკარგულების პირველი და 1¹ პუნქტით განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე ერთ თვეში შეიმუშავოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 განკარ-

გულებით დამტკიცებული დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიდან გამომდინარე განსახორციელებელ ლონისძიებათა პროგრამაში დეტალურად იქნა მითითებული ის სახელმწიფო ორგანოები და უწყებები და ასევე მათი საქმიანობის სფერო, რომელთა მიერაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბინების დევნილთა საკუთრებაში გადაცემა; მითითებული განკარგულების მიხედვით საპრივატიზებოდ შერჩეული კომპაქტური ჩასახლების ობიექტები მათი რეაბილიტაციის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემათ ამ ობიექტებში ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილებს, ხოლო მათში რეალურად მცხოვრები დევნილების დადგენას ახდენს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო დევნილთა ჩასახლებებში ჩატარებული რეგისტრაციის შედეგად; შესაბამისად, სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო საპრივატიზებოდ შერჩეულ დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში აღნერდა ამ ობიექტში რეალურად მცხოვრებ დევნილებს, ადგენდა მათი ოჯახების შემადგენლობას და აღნიშნულ ინფორმაციას ანვდიდა შესაბამის ორგანოს, რომელიც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების შესაბამისად ახდენდა დევნილის ოჯახის წარმომადგენლთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“. დასახელებული განკარგულებით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას ახორციელებს მათთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის გზით დამტკიცებული ეტაპების მიხედვით; აღნიშნული განკარგულების 2.1.1. პუნქტის მიხედვით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია და საკუთრებაში გადაცემა არის ერთიანი პროცესი, რომლის კოორდინირებას მოახდენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ღატოლვილთა სამინისტრო; ამავე განკარგულების 2.1.5. პუნქტის მიხედვით ქონების საკუთრებაში გადაცემის პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ კომპაქტური ჩასახლების ობიექტის შერჩევა, რომლებიც სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ საცხოვრებლად ვარგისი იქნება; ბ) შერჩეული კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში რეალურად მცხოვრები დევნილების დადგენა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ დევნილთა ჩა-

სახლებებში ჩატარებული რეგისტრაციის შედეგად (სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ შესაბამისი დავალება მიიღო „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამით“); გ) შიდა აზომვითი სამუშაოების წარმართვა; დ) დევნილთავის კონკრეტული შეთავაზებების გაკეთება საცხოვრებელი ფართობებების საკუთრებაში გადასაცემად (შეძლებისდაგვარად ორივე მეუღლესთან); ე) დევნილის ოჯახის წარმომადგენლის „შესყიდვის ხელშეკრულებაზე“ ხელმონერა უზრუნველყოფს პირვატიზაციის პროცესის იურიდიულ მხარეს; ვ) საბოლოო ეტაპზე ამ ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტო ქონებას დაარეგისტრირებს, როგორც დევნილის პირად საკუთრებას და გასცემს საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილია, რომ ნ. რ-ა არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, დევნილი. შესაბამისად, მასზე ვრცელდება აღნიშნული კანონით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ამ კატეგორიის პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას, აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად აუცილებელ პროცედურებს და თვით ამ პირთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს.

უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულებით განისაზღვრა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. თბილისი, „...ო“, ...ი №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45,60 კვ.მ.) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა, ამავე განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირებისათვის (ჩ. რ-ა, მ. რ-ა და ნ. რ-ა).

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულების საფუძველზე, 2012 წლის 4 სექტემბერს, ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (შემდეგში „გამყიდველი“) და მეორე მხრივ ჩ. რ-ას (შემდგომში „მყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ჩ. რ-ას გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, „...ო“, ...ი №36, მე-2 სართული, ბინა №24, ფართობი 45,60 კვ.მ, ს.კ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ამავე კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. რ-ას მიერ სადავოდაა ქცეული მისი საცხოვრებელი ფართით დაკამაყოფილებულად ჩათვლის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩ. რ-ას შორის 2012 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ჩ. რ-ასთვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულება ნაწილობრივ. შესაბამისად, სადავოა საკითხი იმის შესახებ, ნ. რ-ა როგორც დევნილი, ითვლება თუ არა სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართით დაკამაყოფილებულად იმ პირებში, როდესაც ჩ. რ-ასთან გაფორმდა საცხოვრებელი ფართის შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით ჩ. რ-ამ აიღო ვალდებულება ნ. რ-ა და მ. რ-ა უზრუნველეყო სახელმწიფოს მიერ მისთვის გადაცემული ბინით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულების 2.4. პუნქტით ნ. რ-ას ისე აეკრძალა უფლება, როგორც დევნილმა, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან რაიმე სახის კომპენსაცია, ასევე უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა, რომ ამის შესახებ სახელმწიფოს მისთვის უცნობებია, არ მიუწვევია იგი ად-

მინისტრაციულ წარმოებაში და შესაბამისად, მას არ გაუცია შესაბამისი თანხმობა – წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლიდან გამომდინარე, სადაცო ხელშეკრულებისა და აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადაცო საკითხების სასამართლო ხანდაზმულობის ვადა 3 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ ცალსახად ცნობილი იყო მოსარჩელე ნ. რ-ასთვის. აღნიშნული მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცებულებები ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. ხელშეკრულებაშივე მითითებულია, რომ ხელშეკრულება შედგენილ იქნა ერთ ეგზიმპლარად. ხელშეკრულება გადაეგზანა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციოდ, არ გადასცემით მხარეებს. ასევე საჯარო რეესტრის მონაცემებში, კერძოდ ამონანერში, მითითებულია მხოლოდ მესაკუთრე ჩ. რ-ა. დამატებით რაიმე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბინას სხვა მოსარგებლები ჰყავს ან რომ ბინაზე რაიმე უფლება აქვს ნ. რ-ას რეგისტრირებული მონაცემებით არ დასტურდება. ამდენად, ვარაუდი, რომ ნ. რ-ას უნდა სცოდნოდა სადაცო ხელშეკრულების თაობაზე, არ დასტურდება.

ამასთან დგინდება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულება, რომლის შესაბამისადაც ჩ. რ-ასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ნ. რ-ას არ ჩაბარებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და ამ ნაწილში მოპასუხე მხარემ ვერ მიუთითა გასაჩივრების ვადის გაშვების გამო სარ-

ჩელზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (კანონით დადგენილი წესით), ამცენად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შებოჭილი არა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და ნარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია ნარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების ნარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას წარმოადგენს, მათ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ. თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეებს მისცეს მტკიცებულებათა წარდგენისა და საკუთარი პოზიციების დაცვის პროცესუალური შესაძლებლობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი მოსამართლეს პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საქმის მართვებული გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებათა დამატებით მოპოვებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს 2012 წლის დასაწყისიდან მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ამონანერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლითაც დასტურდება მისი არა დედასთან ჩ. რ-ასთან (ქ. თბილისი, „...ო...ი №36), არამედ ქ. თბილისში, სხვა მისამართზე – ...ის რაიონი, ...ს ქ. №11-ში ცხოვრების ფაქტი, ვინაიდან, ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფება გ. ც-ესთან.

რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტას, რომელშიც 6. რ-ას ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია – ქ. თბილისი, ...ი, ...ი №36, აღნიშნული ანკეტით უდავოდ არ დასტურდება 2012 წელს – ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, 6. რ-ას სადაც მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი. საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას, საპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, 6. რ-ას ქორწინების პერიოდი, ვინაიდან, კასატორი ცალკე ცხოვრების ფაქტს სწორედ ქორწინებას უკავშირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებში წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/03 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩ. რ-ას შორის 2012 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის კანონიერების საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მხიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე
მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. რ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერლის განჩინება და საქ-
მე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-
ოა და არ საჩივრდება.

2. ზიანის ანაზღაურება

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-919(2კ-20)

16 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 19 ნოემბერს ლ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს მიმართ.

2019 წლის 28 თებერვალს ლ. მ-ემ და ც. ბ-მა დაზუსტებული
სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათი შვილი – ლ. მ-ე მუშაობდა
ქალაქ თბილისის-....ს შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-... გან-
ყოფილებაში-ისის თანამდებობაზე.

2008 წლის 3 აპრილს ხელმძღვანელობის მიერ სამსახურებრივი
მივლინებით იგი, გამომძიებელი ა. გ-ი და დეტექტივი ლ. მ-ი დამნა-
შავის დასაკავებლად გაგზავნილ იქნენ ქალაქ ქუთაისში. მათ დამ-
ნაშავის დაკავება ვერ შეძლეს და ამავე წლის 5 აპრილს ლ. მ-ის
მითითებით წამოვიდნენ ქალაქ თბილისში, ლ. მ-ის „....-ის“ მარკის
ავტომანქანით (სახ. ნომრით ...). ავტომანქანას მართავდა ნასვამ
მდგომარეობაში მყოფი ლ. მ-ი.

მოსარჩელეთა განმარტებით, 19:30 სთ-ზე, ქალაქ თბილისში,
დავით ...ის ...ზე სასტუმრო „....ის“ წინ ლ. მ-მა მოახდინა ავტოსაგ-
ზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა მათი შვილი – ლ. მ-
ე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-
6 ნაწილის საფუძველზე, ლ. მ-ი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის
პასუხისმგებაში. 2018 წლის 18 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე

ლ. მ-მა აღიარა ჩადენილი დანაშაული, განმარტა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა სწორედ მისი ბრალით მოხდა, რაშიც იგი სრულად დამნაშავედ ცნობდა თავს და საბოლოოდ, მან პატიება ითხოვა.

მოსარჩელეთა მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილებაში აღინიშნა, რომ ლ. მ-ე დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, იგი იყო თავისი ოჯახის მარჩენალი, მას დარჩა მოხუცი მშობლები, მეუღლე და 2008 წლის 19 მარტს დაბადებული ჩვილი ბავშვი – მ. მ-ე. ლ. მ-ე ვალდებული იყო თავისი ცოლ-შვილისათვის ეყიდა საცხოვრებელი ბინა, ერჩინა ისინი თავის მშობლებთან ერთად, რაც მან ვერ შეძლო, რადგანაც იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ის ბრალეული ქმედებით დაიღუპა.

მოსარჩელები მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლზე და აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშავის მართლასაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი/სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც შედეგი სახელმწიფოს მუშავის ბრალით არის გამოწვეული.

მოსარჩელეთა განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დადგენილია, რომ ლ. მ-ე დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ის ბრალეული ქმედების შედეგად. შესაბამისად, მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა აანაზღაუროს ზიანი.

ამდენად, მოსარჩელეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ ოროთახიანი ბინის საყიდლად – საბაზრო ღირებულებით – 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების, ლ. მ-ის დაღუპვის დღიდან – ... წლის ...პპრილიდან სიცოცხლის მანძილზე სარჩოს სახით 200 ლარის ანაზღაურებისა და მორალური ზიანისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 20 ოქტომბრის №7/2/7-4171 წერილის თანახ-

მად, ლ. მ-ე 2008 წლის 3 აპრილის №576პ/შ მივლინების ბრძანების საფუძველზე, ოთხი დღით მივლინებული იყო ქალაქ ქუთაისში და მასზე გაიცა სადღელამისო ნორმა 4 დღეზე – 60 ლარი.

ლ. მ-ე გარდაიცვალა ... წლის ... აპრილს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2008 წლის 29 სექტემბრის დასკვნის თანახმად, ლ. მ-ეს 2008 წლიდან დაკავებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ...-....ოს სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების დეტექტივისის თანამდებობა. 2008 წლის 7 აპრილიდან, იგი ამორიცხეს შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის სიებიდან გარდაცვალების გამო.

დასკვნის მიხედვით, 2008 წლის 5 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოში, ქალაქ თბილისში, დ.ის ...ზე სასტუმრო „...ასთან“ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების – ა. გ-ის ჯანმრთელობის დაზიანებისა და ლ. მ-ის გარდაცვალების ფაქტზე, დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2008 წლის 7 აპრილს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაიგზავნა ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წლის 5 აპრილს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ...-....ოს პოლიციის მე-... განყოფილების ...-.... – ლ. მ-ი ნასვამ მდგომარეობაში მისი მართვის ქვეშ მყოფი „...-ის“ მარკის ავტომანქანით (სახ. ნომრით ...), თანამშრომლებთან – ლ. მ-ესთან და ა. გ-იანთან ერთად მოძრაობდა ქალაქ მცხეთიდან ქალაქ თბილისის მიმართულებით. დაახლოებით 19:30 საათზე, ...ის ...ზე, სასტუმრო „...ას“ მიმდებარე ტერიტორიაზე ლ. მ-მა შენიშნა ავტომობილის სავალ გზაზე გადმომავალი ბავშვი. ქვეითად მოსაიარულესთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად, მან საჭე მკვეთრად მომართა მარჯვნივ, აიცილა ამ უკანასკნელზე შეჯახება, მაგრამ ვეღარ მოახერხა ავტომობილის დამორჩილება, გადავიდა სავალი გზიდან, დაეჯახა ბორდიურს და შემდეგ ელ. განათების ბოძს. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს ავტომანქანის მგზავრებმა – ა. გ-იანმა და ლ. მ-ემ. მიუხედავად დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისა, ლ. მ-ე ... წლის ... აპრილს ქალაქ თბილისის №5 სააგადმყოფოში გარდაიცვალა.

დასკვნის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებუ-

ლი კომპლექსური ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის ... წლის ... მაისის დასკვნის შესაბამისად, „დადგენილ ვითარებაში მძღოლ ლ. მ-ს ტექნიკური თვალსაზრისით ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება“. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის ...-....ოს სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილებიდან შემოსული წერილით ირკვევა, რომ ...-....ოს პოლიციის მე-... განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2008 წლის 3 აპრილიდან 6 აპრილის ჩათვლით ...-.... - ლ. მ-ი და მისი თანაშემწები - ა. გ-იანი და ლ. მ-ე სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდნენ ქალაქ ქუთაისში, რათა ეჭვმიტანილ ი.ხ-ის ოჯახის წევრებთან ჩაეტარებინათ საგამოძიებო მოქმედებები. აღნიშნული წერილით, ასევე, ირკვევა, რომ ლ. მ-ი, ა.გ-იანი და ლ. მ-ე მიმდინარე წლის 5 აპრილს ქალაქ ქუთაისიდან ბრუნდებოდნენ ქალაქ თბილისში.

დასკვნაში ასევე აღინიშნა, რომ ლ. მ-ე დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. პოლიციის ... ლ. მ-ის ოჯახზე უნდა გავრცელებულიყო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით და „საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირით, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სასამართლომ, ასევე, დადგენილ ფაქტორივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ... წლის ... ეჭტომბრის №8189პ/შ ბრძანებით შინაგან საქმეთა ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ...-....ოს სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების დეტექტივის ... ის, პოლიციის ... ის - ლ. მ-ის დალუპვა ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად და მის ოჯახზე გავრცელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების 21-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით 2008 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებიდან ლ. მ-ის მეუღლეზე - ი. ლ-ზე 2008 წლის 4 ნოემბრის №1000 საგადახდო დავალებით გაიცა 15 500 ლარი ერთჯერადად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 4 ივნის №MIA01801316537 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 500 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის №112763/შ ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ს. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №839176 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყნებაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №1609536 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ლ. მ-სის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 დეკემბრის №1754433 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლ. მ-სის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 დეკემბრის №2625852 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლ. მ-სის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კამაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 22 სექ-
ტემბრის №1870738 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება
მიეცა 1250 ლარის ოდენობით ლ. მ-სის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს
(მემკვიდრეს) ან მის კმაყოფზაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №2630835 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 დეკემბრის №2870442 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №1005 ბრძანებით ლ. მ-სი ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კაცულფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს გადაეცა ლეპტოპი (ღირებულებით 740 ლარი) და 100-ლარიანი სასაჩუქრე ბარათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 21 მარტს №705440 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1250 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის №3221450 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №3135984 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 700 ლარის ოდენობით ლ. მ-ის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამასახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 სექტემბრის №1/41 გადაწყვეტილებით ი. ლ-ს უარი ეთქვა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-... მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამასახურე ლ. მ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ მუხლი) დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაზე/დადგენაზე.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ „პირის ბრალდების შესახებ“ 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილების თანახმად, ლ. მ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. დადგენილების მიხედვით, ლ. მ-მა დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის აკრძალვა (სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლურ, სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა) და ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები (სიჩქარის გადაჭარბება). აღნიშნული მოთხოვნების უგულებელყოფის შედეგად, ლ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა გადავიდა მარჯვნივ, ავარდა ბორდიურზე, შეეჯახა ელექტრო განათების ბოძს, ასევე ე.წ. „გარე განათების კარადას“, ქვე-

ითთა მიწისქვეშა გადასასვლელის რკინა-ბეტონის კონსტრუქციას, დაუბრკოლებლად გადალახა იგი, ავარდა ჰაერში და საბოლოოდ გაჩერდა ამობრუნებულ მდგომარეობაში. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად აღნიშნული ავტომანქანის მგზავრი – ლ. მ-ე მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 5 სექტემბრის ბრალდებულის დაკითხვის ოქმის მიხედვით, ლ. მ-მა თავი დამნაშავედ არ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. ამასთან, 2018 წლის 18 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმიდან ამონაწერის თანახმად, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-... მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ლ. მ-ის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში შეწყდა სისხლისამართლებრივი დევნა.

სასამართლომ, ასევე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 15 მარტის №650188 წერილის თანახმად, ლ. მ-ის ხელფასს 2008 წლის აპრილის თვის შესაბამისად კომპონენტების მიხედვით შეადგენდა: თანამდებობრივი სარგო – 1030 ლარი, წოდებორივი სარგო – 30 ლარი, წელთა ხამსახურების დანამატი – 159 ლარი, სულ დარიცხვა – 1219 ლარი, აქედან საშემოსავლო გადასახადი – 304.75 ლარი, ხელზე მისაღები კი – 914.25 ლარი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ლ-ე და ლ. მ-ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორნინებაში 2008 წლის 16 იანვრიდან. მ. მ-ე (დაბადებული 2008 წლის 19 მარტს) არის ი. ლ-ისა და ლ. მ-ის შვილი.

სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 2 ოქტომბრის №0111718030500 წერილის თანახმად, ლ. მ-ის რეგისტრაციის ადგილს წარმოადგენდა ქ. თბილისი, ...ის ..., ... მკ/რ, კორპ. №...., ბინა

ამასთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 21 თებერვლის №01/48297 წერილის თანახმად, ლ. მ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრისში (მის: ქალაქი თბილისი, ...ის ..., ... მკ/რ, კორპ. №...., ბინა ..., ს.კ. ...), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2017 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 4 პირი, მათ შორის, ც. ბ-ი, ლ. მ-ე და მ. მ-ე.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ლ. მ-ე დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს, ც. ბ-ი კი – 1955 წლის 31 იანვარს.

ამასთან, 2019 წლის 19 მარტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, ლ. მ-ის დიაგნოზად განსაზღვრულია გიდ. მოციმციმე არითმია, პერმანენტული არტ. ჰიპერტენზია I, გულის უკმარისობა, პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი ტ.2 დეკომპენსირებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსანინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსანინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში. ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ გალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზინობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსანინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზინობრივი კავშირის არსებობა კი, სასამართლოს განმარტებით, წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩევის იმ არგუმენტზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მართლსანინააღმდეგო და ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია მისი შვილის გარდაცვალება, რომელიც მშობლებს უზრუნველყოფდა მატერიალურად, რის გამოც იგი მოპასუხისათვის სარჩოს დაკისრებას ითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩოს დაკისრების სავალდებულო წინაპირობებს წარმოადგენდა ზიანის მიმყენებლის მართლსანინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც მიზეზინობრივ კავშირში უნდა ყოფილიყო დამდგარ შედეგთან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, პირს სარჩოს მოთხოვნის უფლება წარმოეშვას, უნდა დადგინდეს, რომ დაზარალებულის გარდაცვალებით აღნიშნულმა პირმა/პირებმა დაკარგეს მარჩენალი, რაც გულისხმობს, რომ სარჩოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებულს ევალე-

ბოდა მათი რჩენა. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარე-მოება, რომ გარდაცვალების მომენტისათვის აღნიშნული პირები უნდა ყოფილიყვნენ გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე.

სასამართლოს შეფასებით, უნდა დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა ადგილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, რომელმაც ლ. მ-ის გარდაცვალება გამოიწვია. სასამართლომ მიუთითა, რომ ამნისტიის შედეგად ლ. მ-ის მიმართ შეწყდა სისხლისამართლებრივი დევნა, რის გამოც სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ის პოზიცია, რომ ლ. მ-ის ბრალეულობა კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო დადგენილი. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ზიანის გამომწვევი ბრალეული ქმედება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან არ დადასტურდა კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპასუხის ბრალეული ქმედება დამდგარ შედეგში, არ არსებობდა სარჩოს დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადგენილად არ მიიჩნია ლ. მ-ის მიერ მის გარდაცვალებამდე მოსარჩელების რჩენის ფაქტი. სასამართლოს მოსაზრებით, ლ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სასამართლოში წარდგენილი ცნობა იძლეოდა მხოლოდ ინფორმაციას სარჩელის განხილვის დროს მოსარჩელის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იყო თუ არა იგი შრომისუუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი ლ. მ-ის გარდაცვალების დროს. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ლ. მ-ის გარდაცვალების დროისათვის ლ. მ-ე და ც. ბ-ი არ იყენებს საპენსიონ ასაქს მიღწეულნი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მატერიალური ზიანის 150 000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე, 412-ე და 1005-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელებს არ წარუდგენიათ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ლ. მ-ის მიერ მათვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტს, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ლ. მ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ბინა. სასამართლომ, ასევე მიუთითა, რომ საქმეში არ იყო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას ორითახიანი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ლირებულების შესახებ.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვ-

ნის ნაწილში, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებზე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინებაზე (საქმეზე №ას-1156-1176-2011) და აღნიშნა, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ იმ ფაქტს, რომ შვილის გარდაცვალებით მათ მიადგათ ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს შეფასებით, მორალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაცია შეიძლება მისცემოდა მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს. ამდენად, სასამართლომ სარჩელი აღნიშნულ ნაწილშიც დაუსაბუთებლად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასასაჩივრეს ლ. მ-ემ და ც. ბ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 50 000 (ორმოცდათი ათასი) ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილზე (ახალი რედაქციით მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამავე კოდექსის 997-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სადაც საკითხს ეხებოდა სწორედ 997-ე მუხლი, წინამდებარე დავისათვის კონკრეტული და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი ნორმაა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი

ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსანინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზნმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებლი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსანინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა კი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (*უმოქმედობის*) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მოსარჩევეთა მიერ საცხოვრებელი ბინის შესაძენად საჭირო თანხის – 150 000 ლარის მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნის ნაწილზე მსჯელობის მიზნით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ სახეზე ზიანი, ზიანი მიყენებულია სახელმწიფოს/სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცულეული სამივე კომპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობდა მის მიუღებლობაში, მაგრამ უნდა შეფასებულიყო, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიი-

ლებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აპსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ ხსენებული უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ მოსაზრებელებს არ წარუდგენიათ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ლ. მ-ის მიერ მათვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტს, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ლ. მ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ბინა (მის: ქალაქი თბილისი, ...ის ..., მკ/რ, კორპ. №..., ბინა ..., ს.კ. ...). ამასთან, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტების მიერ არც საქმის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არ წარდგენილა, ასევე, საქმეში არ იყო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მოსაზრებლის მიერ მითითებულ გარემოებას – ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ლირებულების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები არ იკვეთებოდა, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და შედეგს.

რაც შეეხება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლ. მ-ის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ლ. მ-ის გარდაცვალების დროისათვის ლ. მ-ე არ იყო სააპენსიო ასაკს მიღწეული. მის მიერ წარმოდგენილი ცნობა, რომ იგი იღებდა კომპენსაციას, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, არ ადასტურებდა მის საპენსიო ასაკს და არც მის შრომისუუნარობას. ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა მის მიერ კომპენსაციის მიღებას არა ასაკის, არამედ შრომითი სტაჟის გამო. ამასთან, საქმეში მხარეთა მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. მ-ის მიერ მის გარ-

დაცვალებამდე მოსარჩელეთა რჩენის ფაქტი. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მითითებული მუხლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო დაზარალებულის ცალსახად დადასტურებული ვალდებულება – არჩინოს ან სარჩო გადაუხადოს პირს, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ლ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, სააპელაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული ცნობა იძლეოდა მხოლოდ ინფორმაციას დავის მიმდინარეობის დროს აპელანტის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო, იყო თუ არა იგი შრომისუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლ. მ-ის გარდაცვალების დროს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ აღნიშნულ ნაწილშიც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი და დამატებით მიუთითა, რომ თითოეულ საკითხზე/მოთხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, რამდენადაც მოსარჩელეები მიუთითებდნენ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მათ უნდა წარედგინათ შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ უპირველესად უნდა გადაწყვეტილიყო, ჩადენილი იყო თუ არა მართლსაზიანალმდეგო ქმედება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავო იყო, რომ ლ. მ-ი ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტისათვის იყო სამინისტროს თანამშრომელი. უდავო იყო ისიც, რომ აღნიშნული შემთხვევის მომენტისათვის იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას – ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში. უდავო იყო ასევე ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმის თანახმად, ლ. მ-მა იმ დილით დალია 4 ბოთლი ლუდი, მას ჰქონდა ალკოჰოლის მკვეთრი სუნი და დაუდგინდა ნასვამობა – 0.8 პრომილე. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული, ლ. მ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმის თანახმად, იგი აცხადებდა, რომ საჭეს მართავდა ნასვამ მდგომარეობაში, თუმ-

ცა შემდეგ განმარტავდა, რომ იყო წინა დღის ნასვამი.

სააპელაციო პალატის მითითებით, უდავო იყო ისიც, რომ 2018 წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ლ. მ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, 17:25 წუთზე, მან თავი დამნაშავედ სცნო, აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია იგი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისას აღსანიშნავი იყო შემდეგიც: ლ. მ-ემ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ თუ იგი დათანხმდებოდა ლ. მ-ის მიმართ საქმის შეწყვეტას ამნისტიის საფუძველზე, მას შესაძლოა დაეკარგა შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ მისი თანხმობის შემთხვევაში, საქმე შეწყდებოდა არა პირის გამართლების, არამედ ამნისტიის გამოყენების გამო. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის (მოსარჩევლის) აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გატარებაზე თანხმობას და არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმას. ზემოაღნიშნული და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური თვალსაზრისით, ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისათვის საკმარისობის კუთხით, სახეზე იყო სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სახეზე იყო შედეგიც – პირის გარდაცვალება. ამასთან, უდავო იყო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და ლ. მ-ის ბრალიც, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა. ლ. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ მასზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე... მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებოდა პირი, რომელმაც ჩაიდინა გაუფრთხოებობითი „დანაშაული“... სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ადმინისტრაციული სამართლწარმოების ფარგლებში ვერ მოხდებოდა პირის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, თუმცა სააპელაციო პალატისათვის ნათელი იყო კანონმდებლის მიზანი, პირისათვის ეპატიებინა დადასტურებულად მიჩნეული უკანონობა, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ადასტურებდა ლ. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულის შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო მოცემული დავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, უნდა ანაზღაურებოდა თუ არა მშობელს მორალური

ზიანი შვილის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ ძირი-თადად ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს სამსახუ-რებრივი მოვალეობის განზრას ან გაუფრთხილებლობით დარღვე-ვით ზიანის მიყენება, თუმცა რიგ შემთხვევებში, ზიანის მიყენება ხდება მოხელის ქმედებით, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის გარეშე (ევროპულ სამართალში ასეთი შემთხვევები მოიხსენიება, როგორც „Administrative Damages in Tort“). სააპელა-ციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ აღნიშნულს ჰქონდა ად-გილი განსახილველ შემთხვევაში – ზიანი დადგა, ლ. მ-ე გარდაიც-ვალა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ლ. მ-ს არ დაურღვევია სამსახურებრივი მოვალეობები. ეს კი იმ ადმინისტრაციული ორგა-ნოს მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძველია, სადაც მოხელე მუ-შაობდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი).

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შვილის გარდაცვალების გამო მშობლის ენითგამოიუთქმები მორალური ტრავმა უდავოდ სა-ხეზეა. ეს უკანასკნელი გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფი-ზიკურ ტანჯვასთან. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომე-ლიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატე-რიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზი-ანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ანუ როგორც ქონებ-რივი ზიანის ანაზღაურებისას, ისე მისგან დამოუკიდებლად. ამას-თან, მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაუ-რების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა ეფუძნებო-დეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნე-ობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში წევატიური ცვლილების არ-სებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზია-ნის ანაზღაურებისას გადამწვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძი-მე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნე-ლია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. როგო-რიცაა ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის, დედის, მამის, დის, ძმის) გარდაცვალება, მოქმედებს ე.ნ. მორალური ზიანის პრეზუმ-ცია და ზიანის მიმყენებლის მიერ სანინააღმდეგოს დადასტურე-ბი.

ბამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკი-ვილი განიცადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად, სამართლის სისტემები მოიცავენ წესებსა და პრინციპებს – მორალურ მტკი-ცებებს. მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა შეხედუ-ლებები და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართალს აქ-ცევს, რაც შეიძლება, მორალურად საუკეთესოდ. ობიექტური სა-მართალი, რომელიც დავას არ იწვევს, არის მხოლოდ კანონმდებ-ლებისა და მოსამართლეების მიერ მიღებული წარსულის ოფიცია-ლური გადაწყვეტილებების კრებული. მორალური შეფასება არის სამართლის განუყოფელი ნაწილი (დვორკინის თეორია).

სააპელაციო პალატის შეფასებით, სწორედ მოცემულ შემთხვე-ვაში იყო სასამართლო ვალდებული, მშობლისათვის შვილის გარ-დაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სა-კითხი პოზიტიური სამართლის გვერდით ბუნებითი სამართლის გათვალისწინებითაც შეეფასებინა, რომლიდან გამომდინარეც, ნე-ბისმიერი ქცევა, რომელიც ლაბავს ან არღვევს ადამიანის თანდა-ყოლილ ბუნებით უფლება-მოვალეობებს, მორალურად გაუმარ-თლებელ „დანაშაულად“ ითვლება. ეს ისეთი უფლება-მოვალეობე-ბია, რომლებიც ადამიანს თავისთვად ეკუთვნის, რომელთა დაც-ვასაც გვაკისრებს მისი ცოცხალ, გონიერ არსებად ყოფნა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიღებომა საუკუნეთა წინ ჩაისახა და დამკვიდრდა, იგი დღევანდელი რეალობისთვისაც ცოცხალია. ადამიანის გონი, როგორც მოაზროვნე სუბსტანცია, პოზიტიური სამართლის მიღმა ასევე შეიმეცნებს იმ ფუნდამენტურ, თანდაყოლილ ვალდებულე-ბებსა თუ უფლებებს, რაც ადამიანად ყოფნას განაპირობებს და ამართლებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემ-თხვევაში, ამ პრინციპების სანინაალმდეგო იქნებოდა იმის მტკი-ცება, რომ შვილის გარდაცვალებით მშობელს მორალური ზიანი არ განუცდია და რომ ამგვარი ზიანის დასადასტურებლად მას მტკი-ცებულებები უნდა წარმოედგინა; სააპელაციო სასამართლომ მი-იჩინა, რომ მორალური ზიანი მტკიცებულებების გარეშეც სახეზე იყო.

თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, საქმეში წარმოდგენილი იყო ლ. მ-ის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ცნობა, რომ-ლის თანახმადაც, მას აქვს გიდ. მოციმციმე არითმია, პერმანენ-ტული არტერიული ჰიპერტენზია I, გულის უკმარისობა, პროსტა-ტის ადენომა, შექრიანი დიაბეტი ტ.2. დეკმბენსირებული, რაც, სა-აპელაციო პალატის შეფასებით, ალბათობის მაღალი ხარისხით გა-მოწვეული იყო შვილის ტრაგიკულად დაღუპვით განცდილი მორა-

ლური ტრაგმით, ამ ფაქტთან დაკავშირებული ჩვეული სულიერი ტკივილით, რაც გრძელდება ხანგრძლივად, ქმნის ცოცხალი ნათე-სავის (ამ შემთხვევაში მშობლის) ჯანმრთელობის, მისი ფსიქო-ნერ-ვული მდგომარეობის დაზიანების წინაპირობას.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გაუ-ბათილებელი პრეზუმაცია შეიღის გარდაცვალების გამო მოსარ-ჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონისმიერ წინაპირობას წარ-მოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასა-მართლომ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი დაასაბუთა იმითაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი მორალური ზია-ნის ანაზღაურებას ითვალისწინებს კანონით მხოლოდ ზუსტად გან-საზღვრულ შემთხვევებში, ხოლო შეიღის გარდაცვალების გამო მშობლისათვის ამ ზიანის ანაზღაურებას კანონმდებლობა არ იც-ნობდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებისას მიუთითა, რომ ჯან-მრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანი აუნაზღაურდე-ბოდა თავად დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, ამას-თან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სიკედილის შემდეგ მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელი იყო.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ განმარ-ტა, რომ პირველ რიგში, მოსარჩევებმა მორალური ზიანი მოით-ხოვს არა როგორც გარდაცვლილი შეიღის უფლებამონაცვლებ-მა, არამედ პირადად, როგორც შეიღის გარდაცვალებით მორალუ-რად დაზარალებულებმა, რაც ერთმანეთისაგან პრინციპულად გან-სხვავებულ შემთხვევებს წარმოადგენდა. გარდა ამისა, შეიღის გარდაცვალების გამო მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღა-ურების შესაძლებლობაზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწ-ყვეტილებაზე, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც სახეზეა კონვენციის ძირითადი მუხლების (მე-2 და მე-3 მუხლები) დარღვევა და აღნიშნულისათვის ეროვნული კანონ-მდებლობა არ ითვალისწინებს მორალური კომპენსაციის შესაძ-ლებლობას, ამგვარი გაუთვალისწინებლობა არღვევს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს – ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლებას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, სააპელაციო პალა-

ტამ განმარტა, რომ ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შეღატული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩინა. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკიფილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარსხის მიხედვით. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშევლოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოწყვეტილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ გარდაცვლილი ლ. მ-ე იყო 24 წლის, მას დარჩა შეუღლება და მცირენლოვანი შეიღლი, ასაქში შესული შშობლები, ერთადერთი მცირე ფართის მქონე საცხოვრებელი ქალაქ თბილისში, გლდანში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საყურადღებოდ მიიჩნია ისიც, რომ გამოძიება 2009 წლის 19 მაისს შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო მოსარჩელე ლ. მ-ის დაახლოებით 4-წლიანი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად განახლდა 2013 წლის 11 თებერვალს. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2008 წლის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დასრულდა და განაჩენი დადგა 10 წლის შემდეგ – 2018 წელს, რა პერიოდშიც ლ. მ-ემ გამოძიებაში

სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა და საქმის განახლების მოთხოვნით დაწერა რამდენიმე ათეული განცხადება, ამასთან, იგი აქტიურად იბრძოდა სიმართლის დასადგენად, რაც მისთვის და მისი მეუღლისათვის (ც. ბ-ისთვის) უდავოდ დიდი მორალური სტრესის მატარებელი იყო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მორალური ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის 50 000 (ორმოცდათი ათასი) ლარის აპელანტებისათვის სრულად ანაზღაურება.

ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე გავლენას ვერ მოახდენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნინა წლებში, წელიწადში ერთხელ ოჯახისათვის გადაცემული მცირე სიმბოლური თანხები, ძირითადად 1000 ლარის ოდენობით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით უნდა დაკისრებოდა 50 000 (ორმოცდათი ათასი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსათვის არ უნდა დაეკისრებინა პასუხისმგებლობა. რამდენადაც ლ. მ-ი იყო პოლიციელი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. მოხელის ბრალეული ქმედება-დან გამომდინარე კი ზიანის ანაზღაურების საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი. კასატორი აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლის დისპოზიცია როგორც ზიანის მიმყენებელ, ასევე, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად სპეციალურ სუბიექტს განსაზღვრავს. „სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის“ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისას პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან იმ ორგანოს, სადაც ხსენებული მოსამსახურე მუშაობს.

კასატორის მითითებით, საყურადღებოა ისიც, რომ სააპელაციო

სასამართლომ ზიანის დადგომა ლ. მ-ის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გარეშე დაადგინა. მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კი აუცილებელია დელიქტური პასუხისმგებლობის დადგენისათვის საჭირო ყველა კომპონენტის არსებობა, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს მოხელის ბრალეული ქმედება, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ მძიმე შედეგთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურება მოხელის ქმედებით, თუმცა სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის გარეშე დაადგინა, კასატორისათვის გაუგებარია დელიქტური პასუხისმგებლობის კომპონენტების მხედველობაში მიღებით, რატომ უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურება.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დადგა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისმობრივი მოსარჩევების – ლ. მ-ისა და ც. ბ-ის მიერ ზიანის მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ყოფილიყო, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ეხება. ხსნებული მუხლის თანახმად, მათ შორის, სატრანსპორტო სამუალების მფლობელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება დამდგარი შედეგის გამო. ამდენად, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 999-ე მუხლებს შორის მოსარჩევების არჩევანის თავისუფლებაზე და მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ეფუძნებოდა სატრანსპორტო დანამაულს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა მხოლოდ სპეციალური ნორმა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ყოფილიყო.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულ საქმეში ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა დადგინდება, სადაც საკითხს ნარმოადგენს ასევე მორალური ზიანის ის ოდენობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა. კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ოდენობა სცდება გონივრულ ფარგლებს და მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკას, გადაწყვეტილება არღვევს სამართლიანობის ბალანსს.

კასატორი მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი – ლ. მ-ი

პასუხისმგებაში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მიეცა. ამასთან, იგი არ ასრულებდა მასზე ფუნქციურად დაკისრებულ ვალდებულებას, მას არ დაურღვევია მისი სამსახურებრივი მოვალეობა. მართალა, ფაქტი დადგა მისი მივლინების პერიოდში, თუმცა არა უშუალოდ სამსახურებრივად მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, არამედ მივლინებიდან უკან დაბრუნებისას, ავტოვარიით. მის მიზანს არ წარმოადგენდა ლ. მისათვის ზიანის მიყენება.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქმეში არ იკვეთება არც თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახი ქმედება. ლ. მ-ის მიმართ გამოძიებას ანარმონებდა პროკურატურა. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ლ. მ-ის მორალურ განცდებს აღრმავებდა მის მიერ სამართლიანობის წლების განმავლობაში ძიება, ვერ იქნებოდა მიმართულ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, ვინაიდან ამ კუთხით მოჰასუხე ვერანაირ სამართლებრივ ღონისძიებას ვერ განახორციელებდა.

ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს 2019 წელს ლ. მ-ის სახელზე გაცემულ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაზე. სამინისტრო განმარტავს, რომ პირის გარდაცვალების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება მისი ოჯახის წევრისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ უშუალოდ მასაც მიადგებოდა ზიანი. თუმცა არც ერთ მანამდე არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში სასამართლო არ დაყრდნობია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მსგავს ცნობას. ლ. მ-ის მიმართ 2019 წელს გაცემული ცნობის ანამნეზში საუბარია ჯანმრთელობის ისეთ მდგომარეობაზე, რომელიც თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო გამოიწვეო ლ. მ-ის ასაკის გამო. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ 2019 წლის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და 2008 წლის ფაქტს შორის კავშირის დადგენა ხსენებული მტკიცებულებით შეუძლებელია.

კასატორი გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმასაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ლ. მ-ის ოჯახზე საკომპენსაციოდ გაღებულ იქნა ხარჯებიც. კერძოდ, პოლიციის ... ლ. მ-ის გარდაცვალება შინაგან საქმეთა მინისტრის ... წლის ... ოქტომბრის ბრძანებით ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალებად და მისი ოჯახის წევრებზე (მემკვიდრეებზე) გავრცელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ პერიოდში მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნ-

ველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ალნიშნულის საფუძველზე კი, სოციალური დახმარების სახით ოჯახზე გაიცა თანხა – 15 500 ლარი. ამასთან, 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, ოჯახზე გაიცა მატერიალური დახმარება 1 000 ლარის ოდენბით, 2010 წლიდან დღემდე კი ლ. მ-ის ოჯახი (მულლე, შვილი) ყოველწლიურად იღებს ფულად დახმარებებს. ჯამში დამატებით გაიცა 10 300 ლარი და 740 ლარის ლირებულების ლეპტოპი. მითითებული თანხები ოჯახს სწორედ ლ. მ-ის გარდაცვალების გამო გამოწვეული მორალური ტრავმის ფონზე მიეცა.

კასატორი შეჯამების სახით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ფაქტი მოცყვა არა რომელიმე სამოხელეო, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენილ სატრანსპორტო დანაშაულს. იდენტობის განსაზღვრის კუთხით კი კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს მხრიდან ოჯახზე მორალური ტრავმის საკომპენსაციოდ პერიოდულად გაღებულ იქნა ფულადი სახსრები, რომელმაც ჯამში 25 000 ლარს გადააჭარბა. ამდენად, განსაზილევლი საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკის ფონზე, კასატორი გადაჭარბებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. მ-ის მშობლების სასარგებლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის 50 000 ლარის ოდენბით დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. მ-ემ და ც. ბ-მა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკამაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა განმარტებით, ლ. მ-ის გარდაცვალების მომენტში, ლ. მ-ე იყო პენსიონერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიცე პოლკოვნიკი. მას აღნიშნება სხვადასხვა დაავადებები, რის გამოც მას ესაჭიროება მკურნალობა. ამასთან, იგი ალრიცხვაზე იმყოფება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების პოლიკლინიკაში. კასატორთა მითითებით, დანიშნული საპენსიო თანხები არ არის საკმარისი წამლების შესაძენად. ლ. მ-ე კი ლ. მ-ეს თავისი სურვილით უზრუნველყოფდა წამლების შესაძენად საჭირო თანხით. მას ჰქონდა ხელფასი 1219 ლარი, საიდანაც ხელზე იღებდა 914.25 ლარს. იმ შემთხვევაში კი, თუკი ლ. მ-ე წამლებისათვის საჭირო თანხას ლ. მ-ეს ნებაყოფლობით არ მისცემდა, ეს უკანასკნელი მიმართავდა სასამართლოს, რათა წამლებისათვის განკუთვნილი თანხები ლ. მ-ეს სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბით დაკისრებოდა.

ამასთან, კასატორები მიუთითებენ, რომ ოჯახს აქვს ერთოთა-სიანი ბინა, მდებარე ქალაქ თბილისში, ...ის მასივში, მე-8 მ/რ-წში, მე-13 კორპუსი, ბინა №.... მითითებულ მისამართზე ჩაწერილები არიან ლ. მ-ე, ც. ბ-ი, ასევე, მათი მეორე შვილი – გ. მ-ძე საკუთარ ცოლ-შვილთან ერთად და ლ. მ-ის შვილი – მ. მ-ე. კასატორის გან-მარტებით, ოჯახის წევრები შეთანხმებული იყვნენ, რომ ლ. მ-ეს, როგორც საჯარო მოსამსახურეს, ბანკიდან უნდა გამოეტანა სეს-ხი. სესხის სახით აღებულ თანხას ოჯახის დანარჩენი წევრები და-ამატებდნენ დაახლოებით 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარს, რის საფუძველზეც ლ. მ-ე მათ უყიდდა ორთახიან საცხოვრებელ ბი-ნას. ნაყიდ ბინაში გადავიდოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები, ხო-ლო თვითონ კი საკუთარ მეუღლესთან და შვილთან ერთად ზემოხ-სენებულ ერთოთახიან ბინაში დარჩებოდა. კასატორები მიიჩნევენ, რომ გარდაცვალების გამო ლ. მ-ემ ყოველივე აღნიშნული ვერ შეძ-ლო.

კასატორები ასევე განმარტავენ, რომ ლ. მ-ის მეუღლე – ი. ლ-სამუშაოდ მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. მას წახალისების მიზნით საქართველოს შინაგან საქ-მეთა სამინისტრომ გამოუყო მშენებარე ბინა შესყიდვის მიზნით. ბინის ღირებულების 40% – 33 273.2 ლარი გადაიხადა საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ღირებულების დანარჩენი 60% – 49 909.8 ლარი კი უნდა გადაეხადა ი. ლ-ს. ამ მიზეზით მოსარჩე-ლები იძულებული გახდნენ ქ. თბილისში, ... მასივში, მე-8 მ/რ-წში, კორპ. №13-ში მდებარე №... საცხოვრებელი ბინა გაეყიდათ გამოსყიდვის უფლებით – 19 800 აშშ დოლარად, ეროვნულ ვალუ-ტაში ექვივალენტით 58 554.54 ლარი. ამჟამად, ოჯახი დარჩა უბი-ნაოდ, რამდენადაც მათ ბინის გამოსყიდვის თანხა არ გააჩნიათ. ამდენად, კასატორები წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში ამცი-რებენ მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სა-სარჩელო მოთხოვნას და მოითხოვენ საქართველოს შინაგან საქ-მეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო 19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრებას.

რაც შეეხება სარჩიოს სახით თანხის დაკისრების მოთხოვნას, კასატორები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც არის უკანონო, რამდენადაც, ლ. მ-ის გარდაცვალე-ბის დროს ლ. მ-ე იყო 60 წლის და 11 თვის. ამასთან, იგი 2004 წლის 13 მაისიდან წარმოადგინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსი-ონერს. კასატორი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ ორგანოში მან 35 წელი იმუშავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა უპირველესად იმსჯელებს ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი იყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოთათვის მატერიალური ზიანის სახით 150 000 ლარის ანაზღაურება და სარჩოს სახით 100 (ასი) ლარის ანაზღაურება ... წლის ...აპრილიდან სიცოცხლის მანძილზე. თუმცა კასატორებმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შეამცირეს მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო 19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის

სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილზე (მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი), რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელმიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად კი, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსანინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობს შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დაგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ განსახილველი შემთხვევისათვის რელევანტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი. ამასთან, საკაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას,

რომ მოსარჩელებს უფლება ჰქონდათ ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ არა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის გამოყენებით, არამედ ლ. მ-ისათვის ამავე კოდექსის 999-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მე-3 მუხლში რეგლამენტირებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე აღჭურვილია დავის საგნისა და შესაბამისი მოთხოვნის ადრესატის განსაზღვრის არჩევანის თავისუფლებით. ამდენად, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს ჰქონდათ უფლება, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ უშუალოდ ზიანის მიმყენებელი ფიზიკური პირის – ლ. მ-ის მიმართ, ვერ გამორიცხავს წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობას.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა კი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განცალკევებით იმსჯელოს მოსარჩელეთა თითოეული მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. კერძოდ, მოსარჩელეების – ლ. მ-ისა და ც. პ-ის ერთერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე აღმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებოდა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 150 000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა განმეორებით ამახვილებს

ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კასატორებმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შეამცირეს მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო 19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შინაარსი-დან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია სახელმწიფო/სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცემული სამიცე კომპონენტი, ნინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიულია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მის დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ არსებითია განისაზღვროს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ საარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს

აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. მ-ის მიერ მათვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტი. ამასთან, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება კასატორების მიერ არც საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის დროს არ წარმოდგენილა. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ ლ. მ-ის გარდაცვალების ფაქტი არ არის პირდაპირ კავშირში მოსარჩელეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებით წარმოშობილ ვალდებულებებთან. შესაბამისად, კასატორთა მოთხოვნა მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები არ იკვეთება. ამდენად, აღნიშნულ წარმოშობის საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს მსჯელობებს და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს.

რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლ. მ-ის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ლ. მ-ის გარდაცვალების დროისათვის ლ. მ-ე არ იყო საპენსიო ასაკს მიღწეული. მის მიერ წარმოდგენილი ცნობა, რომ იგი იღებს კომპენსაციას, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, არ ადასტურებს მის საპენსიო ასაკს და არც მის შრომისუნარობას. ეს დოკუმენტი ადასტურებს მის მიერ არა ასაკის გამო, არამედ შრომითი სტაჟის გამო კომპენსაციის მიღებას. ამასთან, საქმეში მხარეთა მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. მ-ის მიერ მის გარდაცვალებამდე კასატორთა რჩენის ფაქტი. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს

სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მითითებული მუხლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს დაზარალებულის ცალსახად დადასტურებული ვალდებულება – არჩინოს ან სარჩო გადაუხადოს პირს, რისი დამტკიცებაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევებმა ვერ უზრუნველყოვეს. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ღ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ აღნიშნული ცნობა იძლევა მხოლოდ ინფორმაციას დავის მიმდინარეობის დროს კასატორის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს, იყო თუ არა იგი შრომისუუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ღ. მ-ის გარდაცვალების დროს. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას და სამართლებრივ დასკვნებს აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სარჩელის მითითებულ წაზილში დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ღ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი ვერ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსაფუძვლობას მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, რის გამოც წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრისა და მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის ანაზღაურების დავალების თაობაზე ღ. მ-ის და ც. ბ-ის მიერ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილეველი საკითხის გადაწყვეტილისათვის არსებითია განისაზღვროს მშობლის მიერ შევილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, დადგინდეს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია თუ არა მშობლისათვის ამგვარი ზიანის ანაზღაურება და ამგვარი შესაძლებლობის დადასტურების პირობებში, განისაზღვროს, თუ რა წინაპირობები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, უდავოა, რომ ღ. მ-ი ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტისათვის იყო სამინისტროს თანამშრომელი. ხსენებული შემთხვევის მომენტისათვის იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას – ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში. სისხლის სამართლის საქმის მასალებში

მოთავსებული ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმის თანახმად კი, ლ. მ-მა იმ დილით დალია 4 ბოთლი ლუდი, აქვს ალკოჰოლის მკვეთრი სუნი და დაუდგინდა ნასვამობა – 0.8 პრომილე. ასევე, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული, ლ. მ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმის თანახმად, იგი აცხადებს, რომ საჭეს მართვდა ნასვამ მდგომარეობაში, თუმცა შემდეგ განმარტავს, რომ იყო წინა დღის ნასვამი.

საგულისხმოა ისიც, რომ 2018 წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ლ. მ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, 17:25 წუთზე, მან თავი დამნაშავედ სცნო, აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია იგი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისას აღსანიშნავია შემდეგიც: ლ. მ-ებ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ თუკი იგი დათანხმდებოდა ლ. მ-ის მიმართ საქმის შეწყვეტას ამნისტიის საფუძველზე, მას შესაძლოა დაეკარგა შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ მისი თანხმობის შემთხვევაში საქმე შეწყდებოდა არა პირის გამართლების, არამედ ამნისტიის გამოყენების გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

როგორც ზემოაღნიშნული, ასევე სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასებით, საკასაციო სასამართლო იზარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სახეზეა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სახეზეა შედეგიც – პირის გარდაცვალება, უდავოა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და ასევე ლ. მ-ის ბრალიც, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველია. ლ. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მასზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-... მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი „დანაშაული“... მართალია, ადმინისტრაციული სამართალნარმოების ფარგლებში ვერ მოხდება პირის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, თუმცა საკასაციო სასამართლოსათვის ნათელია კანონმდებლის მიზანი, პირს აპატიოს დადასტურებულად მიჩნეული უკანონობა, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ადასტურებს ლ. მ-ის მიერ

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი კომპონენტების დადასტურების შემდგომ, აუცილებელია შეფასდეს უშუალოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამართლებრივი რეგულირება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვწების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მოხმობილი მუხლის დასპოზიცია ცხადყოფს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, კანონმდებლობა პირდაპირ იცნობდეს კონკრეტული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ არა-თანმიმდევრულად ყალიბდებოდა წლების განმავლობაში, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018ნ. გადაწყვეტილებით საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08) მიღობმა საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, მოხმობილ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ქართული კანონმდებლობა, რომელიც ყველა შემთხვევაში „უპირობო უარს“ აცხადებდა შვილის გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩინანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩინანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის სამუალება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018ნ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08); §97).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფულველზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლანი დაცვის ერთ-ერთი ფორმა (ჭ96). სასამართლომ აღნიშნა, რომ მსაკავშირი კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოქმედმა საკანონმდებლო შეზღუდვამ მოსარჩევეს ჩამოართვა მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ევროპულ სასამართლოს არ დაუდასტურებია დავის განმხილველი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენა და სხვ., სახელმწიფოს მიერ კონვენციის ნორმების დარღვევა სათანადო საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოს არარსებობის გამო დადგინდა (ჭ95-97).“

საკასაციო სასამართლო ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ მიღომებზე. კერძოდ, ევროპული სასამართლო ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს საჯარო მოხელის და კერძო პირის ქმედებით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევებს. ორივე შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს მიღომა არის განსხვავებული, უფრო კონკრეტულად, ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ავალდებულებს, კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში იქონიოს შეილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის მარეგულირებელი ნორმები (იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე აკოცი თურქეთის წინააღმდეგ (Akkoc v. Turkey), nos. 22947/93, 22948/93, 2000, კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. United Kingdom), no. 27229/95, 2001, ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Z and others v. United Kingdom), no. 29392/95, 2001, რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. The United Kingdom), no. 2694/08, 2012), მაშინ, როდესაც კერძო პირის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, სახელმწიფოებს არ აკისრიათ ვალდებულება, კანონმდებლობით კომპენსაციის სახედ გათვალისწინებული ჰქონდეთ მორალური ზიანი, იმ შემთხვევაში, თუკი ხელმყოფი პირი არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი და აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით, არ იკვეთება სახელმწიფოს არც პირდაპირი და

არც ირიბი პასუხისმგებლობა (იხ. მაგალითად ადამიანის უფლება-თა ეკროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე ზავოლოკა ლატვიის წინააღმდეგ (Zavoloka v. Latvia), no. 58447/00, 2009, ბრინკატი და სხვები მაღატის წინააღმდეგ (Brincat and others v. Malta), nos. 60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 2014).

საკასაციო პალატა უპირველესად აღნიშნავს, რომ მოსარჩელე-ები არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ არა როგორც გარდაცვლილი შვილის უფლებამონაცვლები, არამედ პირადად, როგორც შვილის გარდაცვალებით უშუალოდ დაზარალებული პირები. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ კანონმდებლობაში სათანადო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ 19.07.2018წ. გადაწყვეტილებაში საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v. Georgia) (no. 58240/08) მიუთითა გარდაცვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება), რომლის თანახმად, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენადაც კონვენცია ინკორპორირებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით, ისევე, როგორც შიდა სამართლის სხვა ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-... პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველ-თაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი სასამართლო პრაქტიკა შეესატყვისება ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახულ მოთხოვნებს მშობლისათვის შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საჭი-

რო სათანადო სამართლებრივი საშუალებების არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სათანადო საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ჩამოყალიბებულმა ერთგვაროვანმა სასამართლო პრაქტიკამ გვერდი აუარა საკანონმდებლო ვაკუუმს და შესაბამისი პირობების არსებობისას, დასაშვებად აქცია შვილის გარდაცვალების შედეგად მშობლისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შვილის გარდაცვალებით განცდილი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში ძირითად კრიტიკის საგნად არის ქცეული ამგვარი ზიანის ანაზღაურების უპირობო გამორიცხვა. ევროპული სასამართლო ხელშემყვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ აუცილებელია ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში გაითვალისწინონ აღნიშნული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო სამართლებრივი საშუალებები, თუმცა სტრასბურგის სასამართლო თავად სახელმწიფოებს უზრუნველყებს მიხედულების თავისუფალ ფარგლებს ამგვარი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დეტალური საკითხების განსაზღვრაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო მოხელის ბრალეული ქმედების შედეგად პირის გარდაცვალებით გამოწვეული უდიდესი ტრაგედია გარდაცვლილი პირის მშობლებში უდავოდ იწვევს განსაკუთრებით მტკიცნეული სულიერი განცდების წარმოქმნას. საგამონაკლისო შემთხვევების გარდა (მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ მშობლებს არანაირი ურთიერთობა არ აქვთ გარდაცვლილ პირთან), შვილის გარდაცვალებას მოჰყვება მშობლების სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის №ას-660-660-2018 გადაწყვეტილებაზე (წ64), სადაც საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. შესაბამისად, მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც,

როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.ნ. მორალური ზიანის პრეზუმუცია და ზიანის მიმყენებლის მიერ სანინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.“ ანალოგიური განმარტებებია მოცემული 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-979-940-2014 განჩინებაში.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება არა მხოლოდ ზოგადად შვილის გარდაცვალების ფაქტს, არამედ იმ გარემოებებს, თუ რის შედეგად და რა ვითარებაში გარდაიცვალა დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი – ლ. მ-ე. საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელია ფაქტობრივ გარემოებათა სპეციფიკურობა, რამდენადაც ლ. მ-ის გარდაცვალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია, კერძოდ, სისხლის სამართლწარმოების ფარგლებში დადგენილ იქნა და სადაც არ არის ის გარემოება, რომ ლ. მ-ე გარდაცვალების მომენტისათვის ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, ჯერ კიდევ იმყოფებოდა მივლინებაში და ქალაქ ქუთაისიდან ქალაქ თბილისში ბრუნდებოდა ავტომობილით, რომელსაც ნასყამ მდგომარეობაში მართავდა დეტექტივი ლ. მ-ი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მივლინებაში მყოფი ლ. მ-ის უსაფრთხო გადაადგილება დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას განეკუთვნებოდა. სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრებული უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნის ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვა შედეგად ლ. მ-ის მოულოდნელი გარდაცვალება. შესაბამისად, დაზარალებულ პირთა მძიმე სულიერი ტკივილების წარმოშობა განაპირობა ლ. მ-ის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ.

ამასთან, საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს მიუთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის №ბს-78-78(კ-12) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც წარდგენილი სარჩელი დაკავშირდა ნაწილობრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რამდენიმე ფიზიკურ პირს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით. მოხმობილ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდა არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე შვილის უკა-

ნონიდ დაკავებას, მის წამებით სიკვდილს, წლების განმავლობაში ეფექტური მართლმსაჯულების განუხორციელებლობას შვილის დაღუპვით განცდილი უდიდესი სულიერი ტანჯვის ფონზე, ასევე, მოპასუხეთა მიერ აღნიშნული საქმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით მისთვის უშუალო ზიანის მიყენებას.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის №ბს-1107-1096(კ-11) გადაწყვეტილებაში ასევე აღინიშნა, რომ „მოსარჩევები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე სამსედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩევები აღნიშნავდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება მათვის პირვენულად დამთრგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, ნ. ხ-ი, გარდაცვლილის მამა, ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძენად და გადმოსასვენებლად, ე. მ-ს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოქმედნის მიზნით, სამსედრო-საველე სასამართლოს თავჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგათ მორალური ზიანი.“ საქმეზე არსებულმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ საბოლოოდ განაპირობა წარდგენილი სარჩევის ნაწილობრივ დაქმაყოფილება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ფიზიკური პირებისათვის მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდის დაკისრება.

განსახილველ საქმესთან მიმართებით, საკასაციო პალატა ასევე დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელეებს მრავალი წლის მანძილზე (დაახლოებით 10 წლის განმავლობაში) მოუწიათ უდიდესი ძალისხმევა და სამართლებრივი ბრძოლა იმისათვის, რომ მათი შვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ჯერ განახლებულიყო, ხოლო შემდგომ კი დასრულებულიყო გამოძიება და დამდგარიყო საბოლოო განაჩენი. 2008 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში მოსარჩელეები აქტიურად ცდილობდნენ სისხლის სამართლის საქმეზე სხვადასხვა საპროცესო მოქმედების ინიცირებასა თუ მათი განხორციელების დაჩქარებას, რაც, ცხადია, მათვის დამატებით სტრესულ გარემოს ქმნიდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა იმ ფსი-

ქიკურ ტრაგმას, რომელიც მათ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული თავდაპირველი შოკით მიადგათ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი ლ. მ-ის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაზე, რომლის თანახმადაც, მას აქვს გიდ. მოციმიციმე არითმია, პერმანენტული არტერიული ჰიპერტენზია I, გულის უკარისობა, პროსტატის ადენომა, შაქრიანი დაბეტი ტ.2. დეკომპენსირებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მორალური ტრავმის შედეგები წლების შემდგომი იჩენს თავს. ამას განაპირობებს მორალური ტრავმის განგრძობადი ხასიათი, კერძოდ, ტრავმით გამოწვეული სულიერი ტანჯვა არ არის იმუნიტერი ან დროის კონკრეტულ მონაკვეთში განცდილი. იგი გრძელდება ხანგრძლივად, ტრავმის წარმოშობიდან მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, თავად სულიერი ტანჯვის მიმართ ადამიანის ჯანმრთელობის მდგრადობა არის ინდივიდუალური, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა ერთი და იმავე ინტენსიუობის მორალურმა ტრავმამ სხვადასხვა ადამიანში ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები გამოიწვიოს. ამდენად, წარმოუდგენელია არსებობდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანების უნივერსალური საზომი, რომლის ფარგლებშიც ყველა პრის შიმართ იქნებოდა შესაძლებელი მორალური ზიანის არსებობა-არარსებობის საკითხის განსაზღვრა. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებლებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ლ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გარეშეც, ცალსახად სახეზეა მოსარჩეულეთათვის შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული პრეზუმირებული მორალური ზიანის არსებობა, რომლის გაბათილებაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენით თუ რელევანტური მსჯელობით ვერ შეძლო. თავის მხრივ, წარმოდგენილ ცნობაში გადმოცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანებები თავისი ბუნებით სავსებით დასაშვებია გამოწვეული იყოს სწორედ ლ. მ-ისათვის შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ხანგრძლივი სულიერი ტანჯვითა და განგრძობადი ძლიერი ემოციური სტრესით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება მოსარჩეულეთათვის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მორალური ზიანის მიყენება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯველი ტანჯველი შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშეელოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოწყვეტილი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, არსებითია გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ლ. მ-ე მართალია, გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, თუმცა არა უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების, უფრო კონკრეტულად კი, პოლიციელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების შედეგად. ამასთან, მოსარჩელეთათვის ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლ. მ-ის ოჯახზე სახსრების გაცემის ფაქტს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 2008 წლიდან 2017 წლის ჩათვლით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლ. მ-ის ოჯახზე გაცემულმა თანხამ ჯამში 25 000 ლარს გადააჭარბა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, მითითებული სახსრების გაცემას გააჩნდა მაკომპენსირებელი ბუნება და შესაბამისი კანონისმიერი საფუძველი, თუმცა თანხების გაცემის ფაქტი, ცხადია, მეტყველებს უშუალოდ მოსარჩელეთა და ზოგადად, ლ. მ-ის ოჯახის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გულისხმიერ დამოკიდებულებაზე. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოსარჩელეთა ოჯახზე თანხების გაცემის ფაქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებებზეც, კერძოდ, გარდაცვლილი ლ. მ-ე იყო 24 წლის, მას დარჩა მეუღლე და შვილი, ასაში შესული მშობლები, ერთადერთი მცირე ფართის საცხოვრებელი, ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნა, მის მშობლებს მოუწიათ მრავალი წლის განმავლობაში აქტიური ბრძოლა ლ. მ-ის გარდაცვალების ფაქტზე სამართლის ძიებისათვის. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა გონივრულად, ადეკვატურად და სამართლიანად მიიჩნევს მორალური ზიანის სახით მოსარჩელეთა სასარგებლოდ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 25 000 (ოცდასუთი ათასი) ლარის დაკისრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელეების – ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის სახით 25 000 (ოცდასუთი ათასი) ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ც ჟ ვ ი ა:

1. ლ. მ-ისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო სა-ჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილე-ბა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღე-ბულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურე-ბის თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. მოპასუხება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელეებს – ლ. მ-ისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ანაზ-ღაურება;
6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწ-ყვეტილება დარჩეს უცვლელი;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის სახით დაკისრებული განაცდური ხელფასის სახით ოდენობის კორექტირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1202(კ-19)

25 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სიირტლაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაუ-
რება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 1 თებერვალს ლ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურა-
ტურის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მა-
ტერიალური ზიანის – 54 745 ლარის (44 745 ლარი განაცდური ხელ-
ფასი და 10 000 ლარი ჯარიმის სახით გადახდილი თანხა) და მორა-
ლური ზიანის – 1650 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგის 2018 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით საქართვე-
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირ-
ველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქარ-
თველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგის 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს მთავარ პრო-
კურატურას მოსარჩელე ლ. კ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის
სახით – 1650 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის სახით – 54 745
ლარის (44 745 ლარი განაცდური ხელფასი და 10 000 ლარი ჯარიმის
სახით გადახდილი თანხა) ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა პალატის 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელა-
ციონ წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატუ-
რამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და

ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებულ, სახელმწიფოს მხრიდან მიენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიებით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ წინაპირობას ქმნიდა ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის განაჩენით, საქმეზე №1/აგ-968-16, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2010 წლის 02 მარტის განაჩენი, ლ. კ-ე ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამამართლებელი განაჩენი იწვევდა ლ. კ-ის რეაბილიტაციას, ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნის საფუძველზე, რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების შედეგად მიენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელის უკანონო ბრალდება ნარმოადგენდა მორალურ ზიანს, ამასთან, დადგენილი იყო მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ მორალური ზიანის სახით განსაზღვრული თანხის იდენტობა გონივრული იყო და წარმოადგენდა მოსარჩელის სამართლიან დაკმა-

ყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინება საკასაციო წესით
გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელ-
მაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტი-
ლებით სარჩელის დაკაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, დაუშვებებელია კასატორის სასამართლებ-
ლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკის-
როს პროკურატურას, ვინაიდან, ლ. კ-ეს მსჯავრი დადებული ჰქონ-
და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლოს გადაწ-
ყვეტილების საფუძველზე. ასევე უსაფუძვლოა პროკურატური-
სათვის ლ. კ-ის სასარგებლოდ გადახდილი ჯარიმის 10 000 ლარის
დაკისრება, ვინაიდან, აღნიშნული თანხის დამატებითი სასჯელის
– ჯარიმის სახით დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიღებუ-
ლი იქნა უშუალოდ სასამართლოს მიერ.

ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ,
2017 წლის 21 დეკემბრის ცნობაზე დაყრდნობით სასამართლომ
დაადგინა, რომ საქართველოს პროკურატურას, ლ. კ-ის სასარ-
გებლოდ უნდა დაეკისროს 14 915 ლარი გამრავლებული 3 წელ-
ზე, რაც უსაფუძვლოა, რადგან, აღნიშნული 14 915 ლარი, რომე-
ლიც შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილ ცნობაში ფიქ-
სირდება 2009 წლის მდგომარეობით, მოცემულია დაბეგვრის გა-
რეშე, რაც ენინააღმდეგება დადგენილ ერთგვაროვან სასამარ-
თლო პრატიკიას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 1 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე –
ვასილ როინიშვილი) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-
სო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვე-
ბობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს
გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

ამასთან, მოსამართლე – ვასილ როინიშვილის საქართველოს სა-
კონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის გამო, 2020 წლის 24
ივნისს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ელექტრონუ-
ლი პროგრამის მეშვეობით განაწილდა მოსამართლე – ქეთევან ცინ-
ცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2021 წლის 19 მაისის განჩინებით საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის
„ა“ ქეებუნძტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული საქარ-
თველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი და მი-
სი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიზნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, 2010 წლის 2 მარტის განაჩინით დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ლ. კ-ეს შორის. ლ. კ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ლ. კ-ის მიმართ დანიშნული სასჯელი ჩაითვალა პირობით, ხოლო ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 03 (სამი) წელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულ ლ. კ-ეს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ლ. კ-ეს 3 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საარბიტრაჟო საქმიანობის უფლება.

2016 წლის 19 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორმა, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბრალდებულების ლ. კ-ისა და სხვათა მიმართ მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 02 მარტის განაჩინის გადასინჯვა. საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის განაჩინით, საქმეზე №1/აგ-968-16 გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 02 მარტის განაჩინი. ლ. კ-ე ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით ნარდგენილ

ბრალდებაში. განემარტა გამართლებულს, რომ მას უფლება ჰქონდა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობს სახსრებიდან.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულია თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დაკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეკროპული კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ხოლო 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის

მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროექტურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ განსახილველ საქმეში, მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის აანაზღაურების დაკისრების საფუძველს ქმნიდა მოსარჩელის მსჯავრდება და შემდგომ მისი რეაბილიტირება (მსგავს საქმეებზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2-17) გადაწყვეტილება; 2009 წლის 8 აპრილის №ბს-972-936(3-08) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება, განსახილველ შემთხვევაში ლ. კ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით – 1650 ლარის დაკისრებას და აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არსებული ფაქტობრივი მოცემულობის (პირობითი მსჯავრის ხანგრძლივობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.) გათვალისწინებით პროპორციულად მიიჩნევს, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ – 1650 ლარის დაკისრებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მართალია იზიარებს მოპასუხისათვის ლ. კ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის დაკისრების საფუძვლიანობას, მაგრამ არ იზიარებს ზიანის სახით დაკისრებული განაცდური ხელფასის თანხის ოდენობას – 44 745 ლარს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უკანონო მსჯავრდების შედეგად მიუღებელი შემოსავლის აანაზღაურებასთან დაკავშირებით დადგენილია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა,

რომლის თანახმადაც, რეაბილიტირებული პირისათვის, გათვალისწინებულია მატერიალური ზიანის სახით იმ თანხის ოდენობით ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების არ არსებობის პირობებში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ბს-306(2კ-20) განჩინება; 2021 წლის 2 ივნისის №ბს-873(2კ-20) განჩინება; 2018 წლის 15 ნოემბრის №ბს-496-496(კ-18) განჩინება).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ – სისი შემოსავალების სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის ცნობაზე, რომლის თანახმადაც, შპს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში“, 2009 წელს, ლ. კ-ის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენდა 14 915 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადი – 2983 ლარს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. კ-ეს უნდა აუნაზღაურდეს ის თანხა, რომელსაც იგი მიიღებდა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების არ არსებობის პირობებში, კერძოდ, 2009 წლის წლიური ხელზე ასაღები შემოსავალი ანუ 11 932 ლარი (14 915 ლარს – 2 983 ლარი) უნდა გამრავლდეს სამზე, რაც ჯამში შეადგენს – 35 796 ლარს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ თანხას ასევე უნდა დაემატოს ლ. კ-ის მიერ ჯარიმის სახით გადახდილი თანხა – 10 000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო ჯარიმის თანხასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისათვის თანხის ანაზღაურების/დაბრუნების საფუძველი წარმოშობილია არა სახელშეკრულებო ან/და სხვა საფუძვლებიდან, არამედ მოპასუხის ქმედებიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ, საფუძველს აცლის კასატორის პოზიციას მისთვის ჯარიმის თანხის დაკისრების უსაფუძღლობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ დ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 1650 (ათას ექვსასას ორმოცდაათი) ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის სახით – 45 796 ლარის (35 796 ლარი მიუღებელი ხელფასი და 10 000 ლარი ჯარიმის სახით გადახდილი თანხა) ანაზღაურება.
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივარდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge